საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2011
№ 307 (13 604) ფასი 80 თეთრი

# 50-ე დუბლის მოლოდინში

13+11 ნიუ ჯერსის წინააღმდეგ



12

# 2011 წლის საუკეთესო ისევ მორაგბე, ამჯერად მამუკა გორგოძე

## სპორტის სამინისტრომ წელი შეაჯამა



10,13 ინტერვიუ წლის სპორტსმენთან

## ქართველები ბარსელონაში მიდიან



TOP 16: მარკოიშვილისა და შერმადინის კანტუ ბარსასთან და მაკაბისთან მოხვდა

კალათბურთი. ევროლიგა 14

# მარადონა საემიროების მწვრთნელად?

ლეგენდარული დიეგო მარადონა, რომელიც არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში კლუბ „ალ-ვასლს“ წვრთნის, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარდგენილ კანდიდატთა სიაში მოხვდა. არგენტინელის თქმით, ის დიდი სიამოვნებით იმუშავებდა საემიროების ნაკრების დამრიგებლად.

გუნდის წინა მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი სექტემბერში, ლიტვასთან 1:3 წაგების შემდეგ დაითხოვეს პოსტიდან.





# 100 კეპი და სწორი სიტყვები

## უფრო თამამად ნათქვამი...

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# 100 კეპი და სწორი სიტყვები

ლევან კობიაშვილმა საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი, 100 მატჩი ითამაშა, რაც პატარა საქმე ნამდვილად არ არის.

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა სტაბილურობით, ყოველთვის გულიანად აკეთებდა საქმეს. ალბათ, არავის უნახავს მისი ქედმაღლობა და ამის გამოც ის განსაკუთრებულად უყვარს გულშემატკივარს.

ლევანმა საფეხბურთო კარიერაში ბევრი ნახა, არცთუ ცოტას მიაღწია და ისევ აგრძელებს თამაშს.

კობიაშვილის რეგალიების ჩამოთვლას არ შევუდგებით — 100 თამაში დასასრული ნამდვილად არ არის, უბრალოდ, უკან მოტოვებული დიდი ნაწილია იმ საქმის, რაც მან კარგად იცის.

ის ახლა ბერლინის „ჰერტას“ ფეხბურთელია, უკვე მერამდენე სეზონია, ბუნდესლიგაში თამაშობს, თუმცა ამჯერად მას გერმანულ ამბებზე არაფერი ვკითხეთ – მან ხომ წლეულს მეასე „კეპი“ მოინაგრა...

მას არ უყვარდა მკვეთრი განცხადებების გაკეთება, ახლა კი, ალბათ, უფრო თამამად ამბობს სათქმელს...



**- 100 სანაკრებო თამაში – როგორი ემოციით შეხვდი ამ მონაგარს?**

- როგორ გითხრათ... რაღაც განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა ნამდვილად არ მაქვს, ნაკრებში ჩატარებული ასი შეხვედრის გამო თავაწეული დავდივარ-მეთქი, ასე არ არის. იყო ისეთი სანაკრებო თამაშებიც, ბედნიერების წუთები რომ მოჰქონდა და კარგია, რომ ეს შევძელი.

**- ანუ ასი თამაშიდან უმრავლესობა ისეთი იყო, მოედანს თავაწეული რომ ვერ ტოვებდი...**

- ალბათ, ამიტომაც შინაგანად განსაკუთრებულ ემოციებს ვერ ვგრძნობ. წინა შესარჩევში ხორვატიას რომ მოვუგეთ, ასეთი მატჩი ბევრი არ ყოფილა და როცა საქართველოს ნაკრებზეა ლაპარაკი, თავს უხერხულადაც კი ვგრძნობ. მოკლედ, მიჭირს სწორი სიტყვების მოძებნა ას სანაკრებო თამაშზე...

**- იმაზეც ძნელია სწორი სიტყვების მოძებნა, რაც ბოლო დროს ხდება ქართულ ფეხბურთში და საქართველოს ნაკრების ირგვლივ?**

- კალაძის ნაკრებიდან წასვლა, ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელების თემა, დავით მუჯირის წერილი... სალაპარაკო მართლაც ბევრია და შესაძლოა, ამ ყველაფერზე ადრევე უნდა გამომეთქვა აზრი. ზოგჯერ უარი მითქვამს კომენტარზე, არ მიპასუხია ჟურნალისტის ზარისთვის, მაგრამ ამჯერად ალბათ საჭიროა, რომ რაღაც ითქვას.

**- კალაძის ნაკრებიდან წასვლით დავიწყოთ...**

- მიულებელია ის კრიტიკა, რაც ფეხბურთელ კალაძეს დაატყდა. იმ ფორმაზე, თუ როგორ წავიდა ის ნაკრებიდან, ყველას საკუთარი აზრი აქვს და კალაძესაც აქვს უფლება, თვითონ აირჩიოს, პოლიტიკაში წავა თუ სხვა სფეროში. ამის გამო კალაძეზე სულ ის კი არ უნდა იძახონ, ნაკრებში ორი ავტოგოლი გაიტანაო. მან ფეხბურთში ძალიან ბევრს მიაღწია და თუ ვიღაცას ჰგონია, რომ ეს ცოტაა და კალაძე მადლობას არ იმსახურებს, ძალიან ცდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კახა მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდებისთვის – მან ხომ ყველაფერს საკუთარი შრომით მიაღწია.

**- დავით მუჯირის ცნობილი წერილიც რეზონანსული გამოდგა. გამოითქვა ასეთი ვერსიაც – მუჯირი კობიაშვილის მეგობარია და ამ წერილით ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელის პოზიცია გაახმოვანაო...**

- ჩემი და მუჯირის ურთიერთობა საფეხბურთო სამყაროში ყველამ იცის და გასაგებია, რომ ზოგს ასეთი აზრი გაუჩნდა. როცა ვესაუბრე, ვუთხარი, მე რომ ნაკრებში ვარ, ეს არაფერ შუაშია, ჩემ გამო ნუ მიიღებ ამ გადაწყვეტილებას-მეთქი. მუჯირის ამ წერილს არასასურველი რაღაცები მოჰყვა...

**- რას გულისხმობ?**

- ფეხბურთელი ვარ და კრიტიკა არაერთხელ მიმიღია. როცა ის გაკრიტიკებს, ვინც ფეხბურთშია და რეალურად იცის, რა ვითარებაა, ასეთი კრიტიკა გასაგებია და ამას შეურაცხყოფით არ უნდა უპასუხო. მეტს აღარ დავაკონკრეტებ, ფაქტია, რომ მუჯირს ზოგმა შეურაცხყოფით უპასუხა.

**- კულუარებში არ წყდება იმაზე ლაპარაკი, რომ თემურ ქეცბაია ნაკრების ფეხბურთელებთან ურთიერთობაში ერთობ ხისტია...**

- ჩემთვის ძნელია მწვრთნელზე ლაპარაკი. მე არასდროს მქონია პრობლემა მათთან ურთიერთობაში. თუ რამე არ მომეწონება, ამას პირდაპირ ვეუბნები და ეს პრესაში არ გადამაქვს. ისე კი, სხვათა გარდა, ფელიქს მაგათთან მიმუშავია და არა მგონია, ვინმე მასზე ხისტი იყოს ურთიერთობაში.

**- მივადექით ნაკრების ვეტერანების თემასაც. შენ და ქეცბაიას ამ საკითხზე არ გისაუბრიათ?**

- არა, ასეთი საუბარი არ ყოფილა. ჯობს, ყველაფერს წერტილი დაესვას. ასე ვფიქრობ – რადგან ქეცბაია არ აკეთებს განცხადებას ნაკრების ვეტერან ფეხბურთელებზე, ალბათ, საჭიროდ მიიჩნევს, რომ ჩვენ ისევ ვითამაშოთ ეროვნულ გუნდში.

**- 34 წლის ხარ, ფეხბურთში მრავლისმნახველი გეთქმის. საქართველოს ნაკრებს უწინდელზე გაცილებით ძლიერ ჯგუფში მოუწევს თამაში. თუ გუნდს არ აქვს ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი, სანაკრებოდ რა მოტივაცია რჩება ლევან კობიაშვილს?**

- დიდი ხანია, ვფიქრობ, წავიდე თუ არა ნაკრებიდან. ჩემთვის ეს არ არის ადვილი გადასაწყვეტი. კლუბში თამაში სულ სხვაა, იქ კონტრაქტი და კონკრეტული ვალდებულებები გაქვს, ნაკრებში კი, თუ საჭიროდ მიმიჩნევენ, თავს იმის უფლებას ვერ მივცემ, რომ არ ჩამოვიდე. ჩემი ასაკის მიუხედავად, ვარჯიშისა და თამაშისგან ისევ დიდ სიამოვნებას ვიღებ. არ დამითვლია, რამდენი საათი გამიტარებია ვარჯიშებსა და თამაშებში, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ჩემი ცხოვრებაა. მიხარია ნაკრებში თამაშიც, ყოველი მატჩისთვის ერთი თვით ადრე ვემზადები ფსიქოლოგიურად. რა თქმა უნდა, სანაკრებო შეხვედრებიდან ხშირად ცუდ ხასიათზე ვბრუნდები კლუბში, მაგრამ ხომ ყოფილა კარგი მატჩები და ეს ცოტაც კი მილვივებს ნაკრებში კვლავ თამაშის სურვილს.

**- იმაზე თუ ჩამოყალიბდი, რას გააკეთებ ფეხბურთელის კარიერის შემდეგ?**

- პოლიტიკა და სხვა რამ ჩემი საქმე არ არის. ფეხბურთელობის შემდეგ საქართველოში ჩამოვალ და ისევ ფეხბურთში ვიქნები, კონკრეტულად რას გავაკეთებ, ჯერ არ ვიცი, მთავარია, ისეთი გარემო შეიქმნას, ფეხბურთში დარჩენა შესაძლებელი იყოს...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი




# სანდრო გურული კარპატიდან წავა

რამდენიმე დღის წინ **სანდრო გურულის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. ლვოვის "კარპატის" 26 წლის ქართველმა შემტევმა გვითხრა, რომ არასაკმაო სათამაშო პრაქტიკის გამო კლუბის ხელმძღვანელობასთან დალაპარაკებასა და მათი პოზიციის გაგებას აპირებდა. "თუ "კარპატის" არ ვჭირდები, სხვა კლუბს მოვძებნი", - თქვა გურულმა.

როგორც ჩანს, ამ საუბარმა მას კლუბის შეცვლის აუცილებლობა აფიქრებინა. უკრაინული პრესის ცნობით, დიდი ალბათობით, გურული "კარპატის" ამ ზამთარსვე დატოვებს. ჯერჯერობით უცნობია, სანდრო უკრაინაში დარჩება თუ დასავლეთ ევროპაში დაბრუნდება. ისიც გასარკვევია, "კარპატი" მას გაყიდის თუ გაანათხოვრებს.

უკრაინის ამ ჩემპიონატში გურულის ანგარიშზე მხოლოდ 7 მატჩია, აქედან შეუცვლელად მან მხოლოდ ერთხელ ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპარტაკი

# რამდენი?

## ტრანსფერზე ერთბაშად ცხრა

ცხინვალის „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** ორი კვირის წინ განაცხადა, რომ გუნდის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას გეგმავდა და ასეც მოხდა - 9 ფეხბურთელი ტრანსფერზეა დაყენებული: მეკარე **ნიკა დაუშვილი**, მცველები - **ბოიომო ფრიდოლინი, გიორგი ციმაკურიძე, გიორგი სეფიაშვილი, გიორგი ალავიძე**, ნახევარმცველები - **გაგა თიბილაშვილი, კობა შალამბერიძე**, თავდამსხმელები - **რეზო ჯიქია** და **ზვიად მეტრეველი.**

მათ, ვინც ტრანსფერზეა დაყენებული, სხვა გუნდში გადასვლაში ხელს არ შევუშლით და შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმარებით კიდეც - ასეთია „სპარტაკის“ ხელმძღვანელთა პოზიცია.

ჯერჯერობით სპარტაკელები შვებულებაში არიან. გუნდი სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 4 იანვარს თბილისში შეუდგება.

მთავარი გუნდისგან განსხვავებით, „სპარტაკის“ დუბლიორები კვლავაც ვარჯიშობენ. გუშინ ისინი აზერბაიჯანის ქალაქ თაუზში ადგილობრივ „თურანს“ ეთამაშნენ. "სპარტაკის" შემადგენლობიდან ერთადერთი გოლი 65-ე წუთზე შემტევმა ნახევარმცველმა **გიორგი ხარაზიშვილმა უჩა ბურძენაძის** პასით გაიტანა. ქართველი ლეგიონერების გარეშე მოთამაშე "თურანმა" ეს შეხვედრა 2:1 მოიგო.

ამ მატჩში ცხინვალელთა გუნდიდან შემტევი ნახევარმცველი **ერეკლე ხაჭვანი** გამოირჩეოდა და აზერბაიჯანელები მისით დაინტერესდნენ. მოჰყვება თუ არა ამ ინტერესს გაგრძელება, მომავალი გვიჩვენებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საფეხბურთო მსაჯთა კორპუსი, ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებას გამოთქვამენ ფიფას არბიტრის, საქართველოს „XX საუკუნის საუკეთესო მსაჯის“ წოდების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის**

**ანატოლი მილჩენკოს**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

*პანაშვიდი: 29, 30 XII; მისამართი: ყაზბეგის, 24.*
*გამოსვენება: 31 XII წმ. ანტონ მარტყოფელის ეკლესიიდან 14 საათზე.*
*მისამართი: საბურთალოს, 44 (ყოფილ იპოდრომთან).*

---

**სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების ფილიალი საქართველოში და ლევან ჟორდანიას საქველმოქმედო ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი საფეხბურთო მსაჯი, ფიფას არბიტრი**

**ანატოლი მილჩენკო**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, საქართველოს საფეხბურთო სამყაროს.**

---

**საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მე-20 საუკუნის საქართველოს საუკეთესო საფეხბურთო არბიტრის**

**ანატოლი მილჩენკოს**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● უეფა. ქვეყნების რეიტინგი




# საქართველოს მონაგარი

თუკი 2011 წელი ქართულ ფეხბურთში რამით იყო აღსანიშნავი, გამოსარჩევი და მეტ-ნაკლებად დამაიმედებელი, უპირველესად, ქართული კლუბების ევროთასებზე გამოსვლაა. ცხადია, ეს არ იყო წარმატებული ევროსეზონი, ჩვენი წარმომადგენლები ჩემპიონთა და ევროპის ლიგების ჯგუფურ ეტაპებზე ვერ გავიდნენ. მეტიც, დავინახეთ, რომ ევროპის საშუალო დონეზეც არ ვართ, მაგრამ, უნიათო წინა წლების შემდეგ, წლევანდელმა ევროსეზონმა ოდნავ მაინც დაგვაიმედა: სამმა ქართულმა გუნდმა ევროასპარეზის მესამე რაუნდამდე გააღწია, ორი მათგანი ("ზესტაფონი" და "დინამო") ევროპის ლიგის პლეი ოფში აღმოჩნდა. რაც ასევე მნიშვნელოვანია, პირწმინდად არც ერთი დამარცხებულა. ყველაზე ადრე გავარდნილმა "გაგრამ" **თემურ ქეცბაიას** ყოფილ კლუბთან, ფამაგუსტას "ანორთოსისთან" საშინაო შეხვედრა მოიგო (2:0) და ნამუსი ამით მაინც მოიწმინდა.

ეს მცირეოდენი წინსვლა 2011 წლის ბოლოს გამოქვეყნებულ უეფას რეიტინგშიც აისახა, სადაც ამ ორგანიზაციის წევრ 53 ქვეყანას ქულები ბოლო ხუთი ევროსეზონის მიხედვით ერიცხება.

**პირველი ათეული**

| ქვეყანა | ქულა |
|---|---|
| 1. ინგლისი | 81 535 |
| 2. ესპანეთი | 74 614 |
| 3. გერმანია | 70 686 |
| 4. იტალია | 58 124 |
| 5. საფრანგეთი | 53 344 |
| 6. პორტუგალია | 52 513 |
| 7. რუსეთი | 46 998 |
| 8. უკრაინა | 43 799 |
| 9. ჰოლანდია | 41 115 |
| 10. საბერძნეთი | 35 700 |
| 31. საქართველო | 8 666 |

გავიხსენოთ საქართველოს წინა წლების შედეგებიც, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის საერთო დინამიკაზე.

| წელი | ადგილი |
|---|---|
| 2007 | 36 |
| 2008 | 38 |
| 2009 | 38 |
| 2010 | 37 |
| 2011 | 31 |

წლევანდელი შედეგებით საქართველომ გაუსწრო ირლანდიას, მოლდოვას, ლიტვას, უნგრეთს, ლატვიას, ანუ იმ ქვეყნებს, სადაც ჩვენზე მდიდარი საფეხბურთო კლუბები ჰყავთ. ცხადია, მოლდოვასთან უპირატესობა "ზესტაფონის" "დაჩიასთან" და თბილისის "დინამოს" "მილსამისთან" გამარჯვებებმაც განაპირობა – ქართულმა კლუბებმა ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგეს და გამოჩნდა, რომ მოლდოვური კლუბების ხუთი მილიონი ჩვენების ორ-სამს ვერ სჯობია.

ზოგადად, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის კლუბებს შორის ძალთა ბალანსი შეიცვალა, დასავლელებს ძველებურად აღარ ულხინთ. მაგალითად, თბილისში ჩამოსულმა ბელგიური "ბრიუგეს" პრესსამსახურის წარმომადგენელმა გვითხრა, რომ ეკონომიკურ კრიზისამდე "ბრიუგეს" ბიუჯეტი 50 მილიონ ევროს შეადგენდა, 2008 წლის შემდეგ კი 30 მილიონამდე შეუმცირდათ.

ცხადია, ეს თანხა ჩვენი ნებისმიერი კლუბისთვის სანატრელია. მეტიც, ყველა ქართული კლუბის, ნაკრებისა და საფეხბურთო ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტები რომ შევკრიბოთ, 30 მილიონი ევრო მაინც ვერ გამოვა, ამ დროს კი ლაპარაკია ევროპის ერთ-ერთ საშუალოდ დაფინანსებულ კლუბზე. თავისთავად ცხადია, შემცირებული ბიუჯეტი შემცირებულ მადას, ნაკლებ ტრანსფერსა და გასაქანს ნიშნავს და ეს "ზესტაფონი"-"ბრიუგეს" შეხვედრაზეც აისახა - საქართველოს ჩემპიონმა ბელგიურ გრანდთან თბილისში მაინც გაიბრძოლა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. არც ავსტრიულ "შტურმს" ულხინდა და ზესტაფონელებს მეტი თავდაჯერებულობა და ასეთ მატჩებში მონაწილეობის მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ, გადაულახავ ბარიერს ავსტრიელები ნამდვილად არ წარმოადგენდნენ.

მსგავსი მდგომარეობაა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სხვა კლუბებშიც. "დინამოსა" და აეკ-ის დაპირისპირებისას ათენური კლუბი უფრო უარეს დღეში იყო, ვიდრე "ბრიუგე" და "შტურმი". თბილისში ჩამოსული ბერძენი ფეხბურთელები უვარჯიშებლები იყვნენ, რადგან ხუთი თვის ხელფასი არ აეღოთ და საქართველოში სტუმრობამდე გაფიცვას აპირებდნენ. იმ დროს კი, როდესაც ევროპელებს გაუჭირდათ, ჩვენი კლუბების დაფინანსება 2008-წლამდელ დონეზე შენარჩუნდა, თბილისის "დინამოსა" და "მეტალურგის" კი ოდნავ გაიზარდა კიდეც. მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ კლუბები ძველებურად შუა სეზონში არ დაშლილიყვნენ და შეეძინათ სტაბილურობა, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს.

ახლა კი ვნახოთ, ევროთასებზე მონაწილეობისთვის რა თანხებს მიიღებენ უეფასგან ჩვენი კლუბები.

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| მონაწილეობა | 200 000 |
| 1 საკვალიფიკაციო | 130 000 |
| 2 საკვალიფიკაციო | 130 000 |
| 3 საკვალიფიკაციო | 130 000 |
| პლეი ოფი | 100 000 |

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| 1 საკვალიფიკაციო | 90 000 |
| 2 საკვალიფიკაციო | 90 000 |
| 3 საკვალიფიკაციო | 90 000 |
| პლეი ოფი | 90 000 |

** შენიშვნა: თანხები ევროებში*

■ ■ ■

საბოლოოდ, ევროთასების მონაწილე ქართული კლუბების ბიუჯეტი შემდეგნაირად შეივსო:

| | |
|---|---|
| ზესტაფონი *(2 ეტაპი ჩ.ლ. +ევროპის ლიგის პლეი ოფი)* | 550 000 |
| დინამო *(3 ეტაპი ევრ.ლ. + პლეი ოფი)* | 360 000 |
| მეტალურგი *(3 ეტაპი ევრ.ლ.)* | 270 000 |
| გაგრა *(2 ეტაპი ევრ.ლ.)* | 90 000 |

** შენიშვნა: თანხები ევროებში*

ქართულმა კლუბებმა წლეულს ბევრად მეტი მიიღეს, ვიდრე ოდესმე, ჯამურმა მაჩვენებელმა კი პირველად გადააჭარბა მილიონევროიან ზღვარს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტორპედო

# ოთხეულის წასვლა დადასტურდა

ქუთაისის „ტორპედოს" პრესსამსახურმა დაადასტურა ინფორმაცია, რომელიც "ლელომ" გუშინ შემოგთავაზათ: ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კლუბმა კონტრაქტები გაუუქმა **დაჩი ფოფხაძეს, სევასტი თოდუას, დავით ბოლქვაძესა და გია მეგრელაძეს.**

27 წლის მარჯვენა მცველი ფოფხაძე "ტორპედოში" 2010 წლის აგვისტოში ჩაირიცხა და 60 მატჩი ჩაატარა, რაც მხოლოდ "ტორპედოს" ყოფილ კაპიტან თოდუას მაჩვენებელს ჩამოუვარდება – 35 წლის ცენტრალურმა მცველმა 61 მატჩი გამართა, აქედან უმეტესწილად გუნდი მოედანზე კაპიტნის სამკლავურით გაჰყავდა.

31 წლის ბოლქვაძემ „ტორპედოში" სულ 20-ჯერ ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა, 33 წლის ფორვარდმა მეგრელაძემ კი ჩემპიონატსა და თასზე 31 მატჩში 12 გოლი მიითვალა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ბენდელას თასი

## პატარებს უკვე ჰყავთ ჩემპიონი – დღეს დიდების ჯერია: სეუ vs თსუ

მთავრდება "ბენდელას თასის" გათამაშება, რომელიც საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" მოედნებზე ტარდება.

გუშინ დასრულდა ბავშვთა ტურნირი, რომლის ფინალში "დინამოს აკადემია" "ჩემპიონს" შეხვდა. **ლაშა კუკულავასა** და **გიგი გულედავას** გოლებით დინამოელებმა 2:0 გაიმარჯვეს და მთავარ პრიზს დაეუფლნენ, გუნდის თავკაცი **ვალერი გაგუა** კი საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ მამის, **რევაზ გაგუას** კვალზე დამდგარი 31 წლის სპეციალისტისთვის ეს პირველი წარმატება არ იყო, მის გუნდებს ტიტულები აქამდეც მოუპოვებიათ.

*"სეზონის დაწყებამდე "დინამოს აკადემიაში" შერჩევა გვქონდა და მართლაც გამორჩეული 16 ბავშვი დავიტოვეთ. მიხარია, ეს საპატიო პრიზი რომ მოვიპოვეთ., ბიჭებმა ეს დაიმსახურეს და იმედია, შემდგომშიც არაერთ წარმატებას მიაღწევენ,"* – გვითხრა გაგუამ.

გუშინ ფინალისტები გამოვლინდნენ უფროსებში. თსუ-მ "ბასკი" 3:1 დაამარცხა.

ზედიზედ მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს „სამედიცინო" და სეუ, რომელიც ამ ტურნირზე ძლიერი შემადგენლობით თამაშობდა - მეკარე **რევაზ თევდორაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი ნავალოვსკი, დავით თარგამაძე, სერგი ორბელაძე, გიორგი ჩივაძე, გიორგი კახელიშვილი, ბაჩანა ცხადაძე, შოთა კუბლაშვილი, დავით გოგოლაძე.** მართალია, თარგამაძე უკრაინაში გაფრინდა, ცხადაძე კი აზერბაიჯანში თვის ფეხბურთელის პრიზის მისაღებად წავიდა, მაგრამ ნახევარფინალში სეუ-მ არნემის "ვიტესის" ქართველები **გურამ კაშია** და **გიორგი ჭანტურია** დაიმატა.

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის დარად (5:3), სეუ-მ ამჯერადაც გაიმარჯვა – 1:0 (გოლი **დავით ოდიკაძის** ანგარიშზეა), ასე რომ, დღეს ფინალში სეუ თსუ-ს დაუპირისპირდება.

**მერაბ მამულაშვილი**




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● გაგრა

# მინუს ოთხი, ალბათ, მეხუთეც

"გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელ **მიხეილ აფხაზავას** ცნობით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კლუბი აღარ ითანამშრომლებს **დათა სიჭინავასთან, ზვიად ჩხეტიანთან** და **გიორგი გაბედავასთან.** გუნდიდან გათავისუფლებულია **ბექა ქართველიშვილიც**, რომელიც კლუბში ირიცხებოდა, მაგრამ მასთან კონტრაქტი არ აკავშირებდა. განიხილება **მიკოლა ნაკონეჩნის** საკითხიც, სავარაუდოდ, გუნდს ისიც დატოვებს.

„გაგრა"ანთალიურ შეკრებამდე „ზესტაფონთან" მის საწვრთნელ ბაზაზე ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ცხადაძეს ჩემპიონობა ურჩევნია

გუშინ გაცნობეთ, რომ **ბაჩანა ცხადაძე** აზერბაიჯანის ჩემპიონატის დეკემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს, გუშინ კი ბაქოს "ინტერის" 24 წლის თავდამსხმელის კომენტარიც გავრცელდა.

*"ეს აღიარება ძალიან გამიხარდა და მას ჩვენი კლუბის ერთგულ გულშემატკივრებს ვუძღვნი. ეს პრიზი ჩემთვის ნამდვილი საახალწლო საჩუქარია. თუმცა იმასაც ვაცნობიერებ, რომ ფეხბურთი გუნდური სახეობაა და მთავარია, რას მიაღწევ გუნდთან ერთად. ასე რომ, პირად აღიარებაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის აზერბაიჯანის ჩემპიონობაა, რასაც, იმედია, ამ სეზონშივე მივაღწევ"*, - განაცხადა ცხადაძემ, რომელმაც იქვე ახალი წელი სრულიად აზერბაიჯანსაც მიულოცა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### კახა კალაძის ყველა სანაკრებო მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ამხანაგური მატჩი | 27.03. 1996 | კვიპროსი – საქართველო | 4:1 |
| 2. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | 14. 06. 1997 | პოლონეთი-საქართველო | 4:1 |
| 3. ამხანაგური მატჩი | 05. 12. 1997 | ლიბანი-საქართველო | 4:2 |
| 4. ამხანაგური მატჩი | 08. 12. 1997 | ლიბანი-საქართველო | 3:2 |
| 5. მჩშ. მატჩი | 10. 09. 1997 | საქართველო-იტალია | 0:0 |
| 6. მჩშ მატჩი | 24. 09. 1997 | მოლდოვა-საქართველო | 0:1 |
| 7. საერთაშორისო ტურნირი | 06. 02. 1998 | საქართველო-ლატვია | 2:1 |
| 8. საერთაშორისო ტურნირი | 08. 02. 1998 | საქართველო-ალბანეთი | 3:0 |
| 9. საერთაშორისო ტურნირი | 10. 02. 1998 | საქართველო-მალტა | 3:1 |
| 10. ამხანაგური მატჩი | 02. 05. 1998 | ტუნისი-საქართველო | 1:1 |
| 11. ამხანაგური მატჩი | 19. 08. 1998 | უკრაინა-საქართველო | 4:0 |
| 12. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | 05. 09. 1998 | საქართველო-ალბანეთი | 1:0 |
| 13. ეჩშ. მატჩი | 10. 10. 1998 | ლატვია-საქართველო | 1:0 |
| 14. ეჩშ. მატჩი | 14. 10. 1998 | საბერძნეთი-საქართველო | 3:0 |
| 15. ამხანაგური მატჩი. | 20. 03. 1999 | საქართველო-უკრაინა | 0:1 |
| 16. ეჩშ. მატჩი. | 27. 03. 1999 | საქართველო-სლოვენია | 1:1 |
| 17. ეჩშ. მატჩი. | 28. 04. 1999. | საქართველო-ნორვეგია | 1:4 |
| 18. ეჩშ. მატჩი | 30. 05. 1999 | ნორვეგია-საქართველო | 1:0 |
| 19. ეჩშ. მატჩი | 04. 09. 1999 | სლოვენია-საქართველო | 2:1 |
| 20. ეჩშ. მატჩი | 08. 09. 1999 | საქართველო-ლატვია | 2:2 |
| 21. ეჩშ. მატჩი | 09. 10. 1999 | ალბანეთი-საქართველო | 2:1 |
| 22. ამხანაგური მატჩი | 29. 03. 2000 | ისრაელი-საქართველო | 1:1 |
| 23. მჩშ. მატჩი | 07. 10. 2000 | ლიტვა-საქართველო | 0:4 |
| 24. მჩშ. მატჩი | 11. 10. 2000 | იტალია-საქართველო | 2:0 |
| 25. ამხანაგური მატჩი | 14. 02. 2001 | საქართველო-უკრაინა | 0:0 |
| 26. მჩშ. მატჩი | 28. 03. 2001 | საქართველო-რუმინეთი | 0:2 |
| 27. მჩშ. მატჩი | 02. 06. 2001 | საქართველო-იტალია | 1:2 |
| 28. მჩშ. მატჩი | 06. 06. 2001 | უნგრეთი-საქართველო | 4:1 |
| 29. მჩშ. მატჩი | 01. 09. 2001 | საქართველო-უნგრეთი | 3:1 |
| 30. მჩშ. მატჩი | 05. 09. 2001 | საქართველო-ლიტვა | 2:0 |
| 31. მჩშ. მატჩი | 06. 10. 2001 | რუმინეთი-საქართველო | 1:1 |
| 32. ამხანაგური მატჩი | 21. 08. 2002 | თურქეთი-საქართველო | 3:0 |
| 33. ეჩშ. მატჩი | 08. 09. 2002 | შვეიცარია-საქართველო | 4:1 |
| 34. ეჩშ. მატჩი | 30. 04. 2003 | საქართველო-რუსეთი | 1:0 |
| 35. ეჩშ. მატჩი | 11. 06. 2003 | ირლანდია-საქართველო | 2:0 |
| 36. ამხანაგური მატჩი | 27. 05. 2004 | საქართველო-ისრაელი | 0:1 |
| 37. ამხანაგური მატჩი | 18. 08. 2004 | მოლდოვა-საქართველო | 1:0 |
| 38. მჩშ. მატჩი | 04. 09. 2004 | თურქეთი-საქართველო | 1:1 |
| 39. მჩშ. მატჩი | 08. 09. 2004 | საქართველო-ალბანეთი | 2:0 |
| 40. მჩშ. მატჩი | 17. 11. 2004 | საქართველო-დანია | 2:2 |
| 41. მჩშ. მატჩი | 26. 03. 2005 | საქართველო-საბერძნეთი | 1:3 |
| 42. მჩშ. მატჩი | 30. 03. 2005 | საქართველო-თურქეთი | 2:5 |
| 43. მჩშ. მატჩი | 04. 06. 2005 | ალბანეთი-საქართველო | 3:2 |
| 44. მჩშ. მატჩი | 17. 08. 2005 | ყაზახეთი-საქართველო | 1:2 |
| 45. მჩშ. მატჩი | 03. 09. 2005 | საქართველო-უკრაინა | 1:1 |
| 46. მჩშ. მატჩი | 07. 09. 2005 | დანია-საქართველო | 6:1 |
| 47. მჩშ. მატჩი | 08. 10. 2005 | საქართველო-ყაზახეთი | 0:0 |
| 48. მჩშ. მატჩი | 12. 10. 2005 | საბერძნეთი-საქართველო | 1:0 |
| 49. ამხანაგური მატჩი. | 12. 11. 2005 | ბულგარეთი-საქართველო | 6:2 |
| 50. ამხანაგური მატჩი | 16. 11. 2005 | საქართველო-იორდანია | 3:2 |
| 51. ამხანაგური მატჩი | 27. 05. 2006 | ახალი ზელანდია-საქართველო | 3:1 |
| 52. ამხანაგური მატჩი | 31. 05. 2006 | პარაგვაი-საქართველო | 1:0 |
| 53. ამხანაგური მატჩი | 07. 10. 2006 | გერმანია-საქართველო | 2:0 |
| 54. ეჩშ. მატჩი | 11. 10. 2006 | საქართველო-იტალია | 1:3 |
| 55. ეჩშ. მატჩი | 02. 06. 2007 | ლიტვა-საქართველო | 1:0 |
| [illegible] | 06. 06. 2007 | საფრანგეთი-საქართველო | 1:0 |
| 57. ამხანაგური მატჩი | 22. 08. 2007 | ლუქსემბურგი-საქართველო | 0:0 |
| 58. ეჩშ. მატჩი | 08. 09. 2007 | საქართველო-უკრაინა | 1:1 |
| 59. ამხანაგური მატჩი | 16. 11. 2007 | ყატარი-საქართველო | 1:2 |
| 60. ეჩშ. მატჩი | 21. 11. 2007 | საქართველო-ლიტვა | 0:2 |
| 61. ამხანაგური მატჩი | 06. 02. 2008 | საქართველო-ლატვია | 1:3 |
| 62. ამხანაგური მატჩი | 26. 03. 2008 | ჩრ. ირლანდია-საქართველო | 4:1 |
| 63. მჩშ. მატჩი | 06. 09. 2008 | საქართველო-ირლანდია | 1:2 |
| 64. მჩშ. მატჩი | 10. 09. 2008 | იტალია-საქართველო | 2:0 |
| 65. მჩშ მატჩი | 11. 02. 2009 | ირლანდია-საქართველო | 2:1 |
| 66. მჩშ მატჩი | 05. 09. 2009 | საქართველო-იტალია | 0:2 |
| 67. მჩშ მატჩი | 10. 10. 2009 | ჩერნოგორია-საქართველო | 2:1 |
| 68. მჩშ მატჩი | 14. 11. 2009 | ბულგარეთი-საქართველო | 6:2 |
| 69. ამხანაგური მატჩი | 03. 03. 2010 | საქართველო-ესტონეთი | 2:1 |
| 70. ამხანაგური მატჩი | 11. 08. 2010 | მოლდოვა-საქართველო | 0:0 |
| 71. ეჩშ მატჩი | 03. 09. 2010 | საბერძნეთი-საქართველო | 1:1 |
| 72. ეჩშ მატჩი | 07. 09. 2010 | საქართველო-ისრაელი | 0:0 |
| 73. ეჩშ მატჩი | 08. 10. 2010 | საქართველო-მალტა | 1:0 |
| 74. ეჩშ მატჩი | 12. 10. 2010 | ლატვია-საქართველო | 1:1 |
| 75. ამხანაგური მატჩი | 17. 11. 2010 | სლოვენია-საქართველო | 1:2 |
| 76. ამხანაგური მატჩი | 09. 02. 2011 | სომხეთი-საქართველო | 1:2 |
| 77. ეჩშ მატჩი | 26. 03. 2011 | საქართველო-ხორვატია | 1:0 |
| 78. ეჩშ მატჩი | 29. 03. 2011 | ისრაელი-საქართველო | 1:0 |
| 79. ეჩშ მატჩი | 03. 06. 2011 | ხორვატია-საქართველო | 2:1 |
| 80. ამხანაგური მატჩი | 10. 08. 2011 | პოლონეთი-საქართველო | 1:0 |
| 81. ეჩშ მატჩი | 02. 09. 2011 | საქართველო-ლატვია | 0:1 |
| 82. ეჩშ მატჩი | 06. 09. 2011 | მალტა-საქართველო | 1:1 |
| 83. ეჩშ მატჩი | 11. 10. 2011 | საქართველო-საბერძნეთი | 1:2 |

კარიერა

# გმადლობთ, კაპიტანო!

## დოსიე

**კახა კალაძე: დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს სამტრედიაში.**

■ საკლუბო კარიერა: 1993-94. „სამტრედია". 3 მატჩი, „დინამო" (თბ) 1 მატჩი; 1994-97 - „დინამო" (თბილისი) 71 (1 გოლი); 1998-2000 - „დინამო" (კიევი, უკრაინა) 63 (6 გოლი), 2001-2010 - „მილანი" (იტალია) 194 (12 გოლი); 2010 წლის აგვისტოდან დღემდე - „ჯენოა" (იტალია) 37 (1 გოლი)

■ სანაკრებო კარიერა: 1993-95 - საქართველოს 16, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებები; 1995-96 - საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები; 1996-2011 - საქართველოს ეროვნული ნაკრები; 83 მატჩი (1 გოლი).

■ ტიტულები: საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი, სუპერთასის გამარჯვებული; უკრაინის სამგზის ჩემპიონი, სამგზის თასის მფლობელი; იტალიის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი; ევროპის სუპერთასის ორგზის გამარჯვებული; კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული; ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი: 2001, 2002, 2003, 2006 (ჟურნალისტების გამოკითხვით) და 2008 (პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამოკითხვით) წლებში.

■ 2007 წელს გახდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის" ლაურეატი; 2009 წელს გახდა საგამომცემლო სახლ „სახე(ლ)ების" ლაურეატი.

საკლუბო დონეზე ყველაზე ტიტულიანი ქართველი ფეხბურთელი **კახა კალაძე** საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან წავიდა! სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩვენი აზრით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ქართულ სპორტში ამაზე „ხმაურიანი" მოვლენა არაფერი მომხდარა! ბოლოს და ბოლოს, ქართულ ფეხბურთში ხომ კონკრეტული მოთამაშის ეპოქა დამთავრდა; ჰო, ეპოქა - 15 წელიწადი რომ გრძელდებოდა: 1996 წლის 27 მარტიდან (კახა კალაძემ საქართველოს ნაკრებში პირველი მატჩი რომ ჩაატარა) 2011 წლის 11 ოქტომბრამდე...

... ხშირად და ბევრს უთქვამს: ფეხბურთი ალოგიკური თამაშიაო; ყოველივე ამას კი საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე მომხდარი არაერთი მოულოდნელობით ხსნიან; არის მეორე ვარიანტიც: ფეხბურთში საერთო დონის



გათანაბრების პროცესი (ერთადერთი გამონაკლისი - „ბარსელონას" ტრიუმფული და „არაამქვეყნიური" ასპარეზობა) მიმდინარეობს და ყველაფერს შემთხვევითობას ნუ დააბრალებთო, - ასეთ მოსაზრებასაც ხშირად მოისმენთ. თუმცა, მოდი, გულახდილად ვთქვათ: როცა ერთი და იგივე ფეხბურთელი სამი ქვეყნის ჩემპიონი გახდება, სამი ქვეყნის თასის გათამაშებაში გაიმარჯვებს, ევროპის სუპერთასსა და კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს, შეიძლება ამას შემთხვევითობა ვუწოდოთ? ან, იქნებ, ის ფაქტია „შემთხვევითობა", ამ ფეხბურთელს მსოფლიოს ნაკრებში რომ მიიწვევენ, ანკიდევ, თავის ქვეყანაში ხუთჯერ რომ დაასახელებენ საუკეთესოდ?!. ალარაფერს ვამბობთ, მართლაც, განსაკუთრებულ და გამორჩეულ მიღწევაზეც: ჩვენი თანამემამულე ორჯერ გახდა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული! არ გვინდა, ვინმემ პესიმისტობა დაგვაბრალოს, მაგრამ გულახდილად ვთქვათ: გჯერათ, რომ მსგავს მიღწევას რომელიმე ჩვენებური გაიმეორებს? ჩემპიონთა ლიგის ორჯერ და ერთხელ მოგებას ვინ ჩივის, ჯერ ის ვინატროთ, რომელიმე ქართველი ფეხბურთელი ისეთ კლუბში ალმოჩნდეს, ამ პრესტიჟული ტურნირის... მუდმივი მონაწილე რომ იქნება. თუმცა, ქართველებს ხომ ბევრი „უცნაურობაც" გვახასიათებს: უცხოტომელს გავაფეტიშებთ, იდეალად წარმოვიდგენთ და ამავე დროს კი, ჩვენიანის მართლაც საარაკო და ზღაპრულ მიღწევებს ისე შევცქერით, ვითომდა, ჩვეულებრივი ამბავიაო; ჰო, ვითომ ის იყო ჩვეულებრივი ამბავი, ქართველმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგა ორჯერ რომ მოიგო (ერთადერთი შემთხვევა პოსტსაბჭოთა სივრცეში), ან 15-წლიანი სანაკრებო კარიერა და მშობლიური ქვეყნის ნაკრების მაისურით ჩატარებული 83 შეხვედრა (აქედან 50 - კაპიტნის რანგში და ესეც სარეკორდო მიღწევაა); რა თქმა უნდა ზემოთ ნახსენები მიღწევები „ჩვეულებრივი" კი არა, განსაკუთრებულზე-განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, მაგრამ „ქართული სინამდვილეც" არ დაგვავიწყდეს: ზუსტ მიზეზს ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს ბევრი ჩვენებური „გულმავიწყიც" გამხდარა და, უკაცრავად და დაუნახავიც! ჰო, იმის მაგივრად, 15-წლიანი სანაკრებო კარიერისათვის კაცისათვის მადლობა გადაეხადათ, „მარცხნიდან და მარჯვნიდან" კრიტიკა და ქილიკი მოაყოლეს; თითქოს, საქართველოს ნაკრების ისტორიაში არაერთი ფეხბურთელი გვყოლოდეს, 80-ზე მეტი მატჩი რომ ექნებოდა ჩატარებული და აქედან 50 კაპიტნის რანგში! თითქოს, მსოფლიო ფეხბურთის გრანდ „მილანში" **პაოლო მალდინის, ალესანდრო ნესტას, ანდრეა პირლოს, ანდრეი შევჩენკოს, კლარენს ზეედორფის, ფილიპო ინძაგის, ჯენარო გატუზოსა** და **კაფუს** გვერდით... 10 წლის განმავლობაში ჩვენიანს არ ეთამაშოს; თითქოს, არც ის ფაქტი ყოფილა, როცა უახლოესი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული პიროვნული ტრაგედიის მიუხედავად, მოედანზე გამოვიდა და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა...

...საბედნიეროდ, საქართველოში მაინც ალმოჩნდა გარკვეული კატეგორია, ჩვენი ყველაზე ტიტულიანი ფეხბურთელისათვის... მადლობა რომ არ დაივიწყა! უპირველესად, აწ უკვე ყოფილ თანაგუნდელებს ვგულისხმობთ, წლების განმავლობაში ნაკრების კაპიტნის გვერდით რომ თამაშობდნენ; აი, თუნდაც **ლევან კობიაშვილი** ვახსენოთ, „მსოფლიო სპორტთან" ინტერვიუში ჩვეული გულახდილობით რომ ისაუბრა საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელზე. **ჩვენც ამათ რიცხვს მივეკუთვნებით და გვინდა, რომ საკლუბო დონეზე ყველაზე ტიტულიან ქართველ ფეხბურთელს კახა კალაძეს საქართველოს ნაკრებში გატარებული 15-წლიანი (!) კარიერისთვის მადლობა გადავუხადოთ!**

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ფეხბურთელი-კალაძის კარიერა კიდევ გრძელდება (ამჯერად, მხოლოდ საკლუბო დონეზე), თანაც სადმე მეორეხარისხოვან ჩემპიონატში კი არა, ისევ იტალიაში; ამიტომაც არის, რომ მის საფეხბურთო კარიერაზე დაწვრილებით არ ვისაუბრებთ, სამაგიეროდ, კალაძე-ფეხბურთელზე ხვალ ისეთი პიროვნებების შეფასებებს შემოგთავაზებთ, ქართული (და არა მარტო) საფეხბურთო სამყარო კარგად რომ იცნობს...*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა. XVIII ტურის გამოხმაურება



# რეაქტიული ბეილის კვალი

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა** ნორვიჩში გამარჯვების შემდეგ 22 წლის უელსელი ნახევარმცველისთვის, ამ შეხვედრაში ორი გოლის ავტორისთვის, **გარეთ ბეილისთვის** ქების სიტყვები არ დაიშურა. ბეილმა „დეზები", არც მეტი, არც ნაკლები, საჩემპიონო ბრძოლაში ჩართო. 18 ტურის შემდეგ ჩრდილოლონდონელები უახლოეს მდევარს, „ჩელსის" 4 ქულით უსწრებენ, მანჩესტერელ ლიდერებს კი შვიდით ჩამორჩებიან და ყველა ამ გუნდზე ერთი თამაშით ნაკლებიც აქვთ ჩატარებული. სხვა სიტყვებით, „ტოტენჰემ ჰოთსპურზე" შეიძლება ითქვას, რომ 1961 წლის შემდეგ პირველად, შეუძლია გახდეს ჩემპიონი... ყოველ შემთხვევაში ადრე ამაზე ვერც იოცნებებდა.

ინგლისური გაზეთები და საიტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უელსელმა მისთვის უჩვეულო, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე შეუდარებლად ითამაშა და ჩაროზად მეორე გოლიც შეაგდო, როდესაც თითქმის მთელი მოედანი გადაირბინა.

*„გარეთი საუცხოოა"* — თქვა რედნაპმა, რომლის გუნდის ასეთ დაწინაურებაში დიდი როლი თავად კონკურენტებმა შეიტანეს. მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტიმ", „არსენალმა", „ჩელსიმ" და „ლივერპულმა" „ბოქსინგ დეიზე" ფრედ ითამაშეს. მწვრთნელმა დასძინა:

*„მეორე გოლის დროს, როდესაც ბეილმა სისწრაფე აკრიფა, აშკარად დაეტყო, რომ მისი გამჩერებელი არავინ იყო. მას დიდი ფეხბურთელის ყველა თვისება აქვს. ის განსაკუთრებულია. თან, ამ შეხვედრაში ფრთაზე კი არ ვათამაშე, შუა სამეულში ჩავრთე. საქმე ის არის, რომ ხანდახან ის აუტის ხაზთან დგას და ფაქტობრივად ცდება, რადგან ბურთი სხვაგანაა. მაგრამ, როდესაც გარეთი გარღვევაზეა, მისი შეჩერება შეუძლებელი გახლავთ"*

შემდეგ „ტოტენჰემის" მწვრთნელს ჰკითხეს, აპირებს თუ არა ის უელსელის გაყიდვას — ბოლოხანს ამ თემაზე ხომ ბევრს ლაპარაკობდნენ.

*„მისი გაყიდვა რომ გვინდოდეს, ამდენი ხანი გავყიდდით. აქ ყველაფერი მარტივია — თუ რაიმე ჯილდოების მოპოვებას აპირებ, ასეთ ფეხბურთელს ვერ შეელევი. გარდა ამისა, ბეილის საკადრისი ფულისა და ხელფასის გადამხდელი მხოლოდ სამი გუნდია ამჟამად: „ბარსელონა", „რეალი" და „მანჩესტერ სიტი"*.

ნორვიჩელებმა ბეილს ვერაფერი დაუპირისპირეს, თუმცა... ტრიბუნიდან ხალხის ერთი ჯგუფი ყვიროდა, შიმპანზეს ჰგავსო. ამაზე რედნაპმა თქვა:

*„ეს უპატივცემულობაა. გული მერევა ასეთ შეძახილებზე"*.

დღეისათვის „სფურზს" ბოლო 10 შეხვედრიდან 8 მოგებული აქვს, თუმცა მწვრთნელი ამბობს, რომ გარანტირებული არაფერია. ჩრდილოლონდონელები იანვრის ბოლომდე შინ „ვესტ ბრომვიჩთან", „ევერტონთან", „ვულვზთან" და „უიგანთან" შესახვედრად ემზადებიან. დიახ, არაფერი შეგვშლია, ეს შეხვედრები რედნაპის ბიჭებს „უაით ჰართ ლეინზე" აქვთ ჩასატარებელი. გარდა ამისა, „დეზებს" თებერვლამდე ორი სტუმრობაც ელით: ახლა, 31 დეკემბერს, „სუონსისთან" და 22 იანვარს „მანჩესტერ სიტისთან" „ეტიჰედ სთედიუმზე".

რედნაპი: *„ნორვიჩში დიდი თამაში გვქონდა, რადგან კონკურენტებმა ქულები დაკარგეს და ჩვენ რადაც უნდა დაგვჯდომოდა, უნდა მოგვეგო. ამ ტურმა ყველას გვაჩვენა თუ რა ძნელია ქულების დაგროვება. მეგონა „ბოქსინგ დეიზე" ყველა ლიდერი მოიგებდა, მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა. ახლა წინ რამდენიმე რთული მატჩი გველის. მოგეხსენებათ, უკვე ყველა გუნდი ტყავის გადასარჩენად ფრჩხილებით იბრძვის და ყველას დამარცხება ძნელია"*.

არსენალი

# სონგის თხოვნა

„არსენალის" ნახევარმცველი, 24 წლის კამერუნელი **ალექს სონგი** ლეგენდარული **ტიერი ანრის** ქირაობის იდეით აღფრთოვანებულია და იმედოვნებს, რომ „მეთოფეთა" თავკაცი, **არსენ ვენგერი** შანსს ხელიდან არ გაუშვებს. შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ ლონდონში გატარებული რვა საუცხოო სეზონის შემდეგ 34 წლის ანრი დღემდე „არსენალის" საუკეთესო ბომბარდირად რჩება. ფრანგმა ფორვარდმა „მეთოფეთა" გუნდი 2007 წელს დატოვა — ჯერ „ბარსელონაში" გადაბარგდა, შემდეგ კი ამერიკულ „ნიუ იორკ რედ ბულში".

ვენგერმა, რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული ფორვარდი დროებით, „მეიჯორ ლიგ სოკერის" ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე „არსენალს" დაუბრუნდეს. ზემოხსენებული სონგი დარწმუნებულია, რომ ასეთ შემთხვევაში „ემირეით სთედიუმზე" დიდი ზეიმის პერიოდი დადგება და „არსენალიც" წარმატებებს მიაღწევს.

*„როდესაც ანრი ვარჯიშობს, თავლი მისკენ გამირბის და თავად ველარაფერს ვახერხებ. შემდეგ, კუდში დავდევ და დაუსრულებლად ვუმეორებ ერთსა და იმავეს: შენ ჯერ კიდევ შეგიძლია ჩვენთან თამაში — უთხრა კამერუნელმა ფრანგულ გაზეთ „ეკიპს" და დასძინა — ის, რასაც ამ კაცმა თავისი შესანიშნავი კარიერის განმავლობაში მიაღწია, ენით აუწერელია. მას ფეხბურთში არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი. დღეს ჩვენ შანსი გვეძლევა, რომ ის დავიმატოთ და არნახულად გავძლიერდეთ. ასეთი სახელის და ნიჭის ფეხბურთელი ძალიან გაგვამდიდრებს"*.



ბოლტონი

# კოილის ერთი თვე

„ბოლტონ უონდერერზმა" გადაწყვიტა მწვრთნელ **ოუენ კოილს** იანვარიც მისცეს — წინ სატრანსფერო ბაზრობაა, რომელმაც, შესაძლოა, ბოლოსწინა ადგილზე მყოფ გუნდს გადარჩენის პერსპექტივა დაანახვოს. „ბოქსინგ დეიზე" ბოლტონელები „ნიუკასლთან" დამარცხდნენ და ეს, მიმდინარე სეზონში, მერვე წაგება იყო შინ ჩატარებულ ცხრა შეხვედრაში. თუ პრემიერლიგის ცხრილს გაიხსენებთ, „ბოლტონი" ბოლო ადგილზე მყოფ „ბლექბერნს" ერთი ქულით აღემატება.



ახლა გადავხედოთ ბოლტონელთა უახლოეს კალენდარს. 31 დეკემბერს „უონდერერზს" „ვულვერჰემპტონთან" აქვს პრინციპული დაპირისპირება. „მგლები" კოილის ბიჭებს ოთხი ქულით უსწრებენ და პირდაპირ გასავარდნთა ზონის წინ არიან. ამის შემდეგ, 4 იანვარს, „ბოლტონი" ლივერპულში „ევერტონს" ხვდება. ამ ორმა თამაშმა 45 წლის მწვრთნელის მდგომარეობა ცუდიდან უარესისკენ შეიძლება შეცვალოს. გამოსავალი? ამბობენ, რომ კლუბის პატრონი, **ედი დევისი** და თავმჯდომარე, **ფილ გერტსაიდი** კოილს იმ 7 მილიონ ფუნტს მისცემენ, რომელსაც 26 წლის **გერი კეჰილში** „ჩელსი" გადაუხდით. რამდენადაც ცნობილია, კეჰილის ნაცვლად „უონდერერზი" „ნიუ იორკ რედ ბულზის" მცველს, 24 წლის ამერიკელ **ტიმ რიმს** შეიძენს. რიმი 2 მილიონი ფუნტი ღირს. ამბობენ, რომ კოილს ერთი თავდამსხმელი და ერთი მცველიც სჭირდება.

თუმცა, რა 7 მილიონი უშველის იმ თამაშებს, რომლებიც „ბოლტონს" ახალი წლის დღეების შემდეგ, იანვრის თვეში ელის? ჩამოვთვალოთ: კოილს და მის გუნდს „მანჩესტერ იუნაიტედთან", „ლივერპულთან" და „არსენალთან" უწევთ შეხვედრა.

კოილმა თქვა: *„მინდა რამენაირად მივაღწიო იმას, რომ ერთმა და იმავე ხალხმა ერთი და იგივე შეცდომები დაუსრულებლად არ დაუშვას. თან, მე ბავშვებზე კი არ მოგახსენებთ, არამედ ზრდასრულ ხალხზე, რომლებსაც ასეთი რამ წესით არ უნდა მოსდიოდეს"*.

ვეტერანი მეკარე, 36 წლის ფინელი **იუსი იაასკელაინენი** ამბობს, რომ მიმდინარე სეზონში გუნდმა კრიტიკულ მინიმუმს მიაღწია.

*„შემდეგ ორ თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — თქვა ფინელმა — საერთოდაც, მდგომარეობიდან გამოსასვლელად ორი-სამი გამარჯვება გვჭირდება. თან, იანვარში ისეთი მეტოქეები გველიან, რომ იოლი მისახვედრია — „ვულვერჰემპტონთან" და „ევერტონთან" შეხვედრებს ორმაგი დატვირთვა ენიჭება. სამწუხაროდ, შარშანდელი შემადგენლობიდან ოთხი თუ ხუთი ფეხბურთელი გამოგვაკლდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ახლები დაგვემატებიან და ყველაფერი სასიკეთოდ მოტრიალდება"*.

ჩელსი

# ფერნანდოს ხელი არ ახლოთ



„ჩელსის" ესპანელმა ვარსკვლავმა, 23 წლის **ხუან მატამ** თანაგუნდელი და თანამემამულე, 27 წლის **ფერნანდო ტორესი** დაიცვა. მატამ თქვა, რომ „ელ ნინიო" აუცილებლად დაიწყებს გოლების გატანას.

შეგახსენებთ, რომ ტორესი „ლურჯების" მწვრთნელმა, **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** „ბოქსინგ დეიზე", „ფულჰემის" წინააღმდეგ შეხვედრაში, სასტარტო შემადგენლობაშივე ათამაშა, მაგრამ ყოფილმა ლივერპულელმა კვლავ ვერ მოახერხა მეტოქის კარში ბურთის შეგდება. სტატისტიკა მეტყველებს, რომ ფორვარდს დასავლეთ ლონდონში გადაბარგების შემდეგ 27 შეხვედრაში სამად სამი გოლი აქვს გატანილი, არადა მასში „ლურჯებმა" 50 მილიონი ფუნტი გადაიხადეს.

სულ სხვანაირად არის „სტემფორდ ბრიჯზე" ამ შემოდგომაზე გადასული მატას საქმე. მან ორშაბათის დასავლეთლონდონურ დერბიში კვლავ გაიტანა და ეს მისთვის უკვე მეხუთე პრემიერლიგური გოლი გახლდათ. მატამ თქვა:

*„იმ შეხვედრის პირველ ტაიმში ფერნანდომ ერთ ეპიზოდში კარგად შეუტია, მაგრამ მეკარემ აუღო. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ის ვარჯიშებზე ძალიან მონდომებულია და გოლების გატანასაც მალე დაიწყებს. ეს, უბრალოდ, დროის ამბავია. ფერნანდოს კარიერის განმავლობაში ყოველთვის გაჰქონდა და, რასაკვირველია, „ჩელსისთვისაც" მალე დაიწყებს ჩვეული საქმის კეთებას"*.

როგორც მოგახსენეთ, ორშაბათს მატამ გოლი შეაგდო — „ჩელსისა" და „ფულჰემის" შეხვედრა 1:1 დასრულდა. ესპანელი თავისმა გოლმა, ბუნებრივია, გაახარა, მაგრამ იმასაც კარგად ხვდება, რომ დაწინაურებულ მანჩესტერულ გუნდებს სავარაუდოდ, ველარ დაეწევიან.

*ჩემი გოლი საკმარისი არ აღმოჩნდა და ჩვენ, ყველანი, უკმაყოფილოები ვართ, რადგან სამი ქულის მოპოვებას ვგეგმავდით. არადა, გოლის გატანა ბევრჯერ შეგვეძლო, განსაკუთრებით ბოლო 15 წუთში. ხელსაყრელ პოზიციაში იყვნენ ტორესი, დიდიე დროგბა და რაულ მეირელეში, მაგრამ ბურთი კარში არა და არ შევიდა. თან, „ფულჰემის" მეკარემ, დევიდ სტოკდეილმა რამდენჯერმე საუცხოოდ იხსნა კარი აშკარა გოლისგან. მინდა შევაქო და კარგი თამაში მოვულოცო. ჩვენ ვცდილობდით ბურთი სწრაფად გაგვეთამაშებინა, მაგრამ როდესაც მოწინააღმდეგე მთელი გუნდით დაცვაში დგას და სივრცეებს არ გიტოვებს, ამის გაკეთება ძალიან ძნელია"*.

„ბოქსინგ დეის" შემდეგ დასავლეთლონდონელები მანჩესტერელ ლიდერებს 11 ქულით ჩამორჩებიან და ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი არა, ოთხეულისთვის აქვთ საბრძოლველი. მატა განაგრძობს:

*„პრემიერლიგის ზედა ოთხეულში დამკვიდრება ძალიან ძნელია, რადგან ამავე მიზნისთვის ბევრი გუნდი იბრძვის. ჩვენი კონკურენტები შესანიშნავ სეზონს ატარებენ. შემიძლია დავასახელო „არსენალი", „ტოტენჰემი", „ლივერპული". ერთი სიტყვით, წინ დიდი ბრძოლები გველის. ჩვენი შემდეგი თამაშიც აუცილებლად მოსაგებთა კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ „ასტონ ვილა" ის გუნდი არ არის, რამე იოლად რომ დაგვითმოს. ერთი სიტყვით, ახალ წლამდე ექვსი ქულის მოპოვების გეგმა ჩაგვივარდა"*.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და პოლიტიკა



ნიკოლა სარკოზი პარკ დე პრენსის ტრიბუნებზე

# პრეზიდენტის საქმე

*ნაწილი მეორე*

"კოლონი კეპიტალი" ყოველწლიურად 20 მილიონ ევროს კარგავდა "პარი სენ-ჟერმენის" გამო, ამიტომ 2010 წლის ივნისში კომპანია მოლაპარაკების გაგრძელებას დათანხმდა. 5 თვის შემდეგ მხოლოდ სარკოზის ჩარევამ გამოიღო შედეგი. ყატარელი ბიზნესმენებისადმი დამოკიდებულება მას მერე შეიცვალა, რაც "ლიბერასიონმა" გაარკვია, რომ ისინი უმსხვილეს ფრანგულ კომპანიებში – "სუეცში" (ინტერესი აქვს კომუნალურ, გაზისა და ენერგეტიკის სფეროში), "ვინსიში" (სამშენებლო ბიზნესი), "ეარბასსა" (ავიამშენებლობა) და "არევასში" (ატომური ენერგეტიკა) ფლობდნენ სოლიდურ წილს.

**ნიკოლა სარკოზიმ** პირადად იზრუნა **შეიხ თამიმთან** შესანიშნავი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ამ მიზნით მან ყატარის შეიხის მეოთხე ვაჟი, ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი, ნოემბრის შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე პირადად დააჯილდოვა საპატიო ლეგიონის ორდენით. გამოცემა So Foot-ის ცნობით, აღნიშნულ შეხვედრაზე საქმიანი დიალოგი გაიმართა შეიხსა და **მიშელ პლატინის** შორის. უეფას პრეზიდენტი კატეგორიული წინაალმდეგი წავიდა, რომ 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ყატარში ჩატარებულიყო, მაგრამ ის მაინც "დაარწმუნეს", რომ "ამ ქვეყანაში ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს". 9 დღის შემდეგ კი პლატინიმ სწორედ ყატარის სასარგებლოდ მისცა ხმა.

კონტრაქტს პსჟ-ის შეძენაზე 2011 წლის ივნისში მოეწერა ხელი. "კატარ სპორტს ინვესტმენტმა" პარიზული კლუბის აქციათა 70% შეიძინა. "*მათ საფრანგეთს მცირე სამსახური გაუწიეს,* - დაიწერა ცოტა ხანში პრესაში. - *მათ ევროპული კლუბის შეძენა სურდათ. თავდაპირველად ლაპარაკი "მანჩესტერ იუნაიტედზე" იყო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. შემდეგ ჰორიზონტზე უფრო იაფი ვარიანტი გამოჩნდა - "პარი სენ-ჟერმენი"*". შეიხმა თამიმმა კლუბის პრეზიდენტად **ნასერ ალ ჰელაიფი** დანიშნა, ადამიანი, ვინც "ალ ჯაზირა სპორტსის" დირექტორია. მალე გაირკვა, რომ ყატარელთა მიზნებში საფეხბურთო კლუბის შეძენა მხოლოდ აისბერგის მწვერვალი იყო. ტელეკომპანიამ უკვე ზაფხულიდან დაიწყო ლიგა 1-ის მატჩების ტრანსლირება აზიაში და ამაში 192 მილიონი ევრო გადაიხადა. გასაგები იყო, რა შანსიც გაუჩნდა საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგას. ორგანიზაციამ ტელეკომპანიას შესთავაზა, მონაწილეობა მიეღო ტენდერში, რათა ტრანსლაციების უფლება საფრანგეთის ტერიტორიაზეც მოეპოვებინა. "ალ ჯაზირას" გამოჩენამ ფრანგულ ფეხბურთს მაშველი რგოლი გადაუგდო. ლიგამ მისგან პირველი შენატანი მიიღო - 510 მილიონი ევრო. მიმდინარე სეზონში "კანალ პლუსი" და "ალ ჯაზირა" ტურის 2-2 შეხვედრას აჩვენებენ. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ლიგა 1-ს შემოსავალი არ მოაკლდება. ეს იმ დროს, როცა პრაქტიკულად ყველას უწევს ქამრების შემოჭერა.

"პარი სენ-ჟერმენი" ამ ალლუმს თავში მოექცა. "კატარ სპორტს ინვესტმენტმა" კლუბში **ლეონარდო** მოიყვანა და სატრანსფერო ბაზარზე 85 მილიონი ევრო დახარჯა. მათ ძალის დემონსტრირებაც შეძლეს და იტალიის ჩემპიონატის ვარსკვლავი **ხავიერ პასტორე** გადაიბირეს. შემდგომი შოკისმომგვრელი ნაბიჯი კი **დევიდ ბექჰემის** მოყვანა უნდა გახდეს. მერე რა, რომ ინგლისელი 36 წლისაა? "*მისი გამოჩენა მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას მოგვიპოვებს. ბექჰემი ნამდვილი ელჩია, ასევე ბრენდი და ნამდვილი მისაბაძი მაგალითი სხვებისთვის,*" – ამბობს ალ ჰელაიფი. ახალი პრეზიდენტი კლუბისგან პირველივე სეზონში ჩემპიონატის მოგებას და უახლოესი სამი წლის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლას ითხოვს. ამასთან, ის იმაზეც ზრუნავს, რომ ჩემპიონატში კონკურენცია გაიზარდოს, რათა მის ტელეკომპანიას ხელთ მომხიბლავი პროდუქტი ჰქონდეს. ტელეუფლებების ახალ მფლობელთან ურთიერთობით ლიგა 1-ის ოცივე კლუბი კმაყოფილია. პსჟ აქცენტს შიდა ტრანსფერებზე აკეთებს, რათა ჩემპიონატის მონაწილე კლუბებმა ფული არ დაკარგონ.

ყატარული რევოლუცია ძალებს იკრებს. რეალურად ეს ექსპანსიის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. როდის მოისურვებენ ისინი გაჩერებას, უცნობია. ყატარის სამეფო ოჯახის მონადინებით უკვე 5 საერთაშორისო არხი მაუწყებლობს. ესენი არიან: "აჯ არაბიკი", "აჯ ინგლიში", "აჯ სპორტი", "აჯ დოკუმენტარი" და "აჯ ბალკანსი". 2012 წელს ეთერში გავა "აჯ სპორტ ფრანსი". ტელეკომპანიის მაყურებელთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება და უკვე რამდენიმე ათეულ მილიონს აღწევს. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს "აჯ სპორტზე" 162-მა მილიონმა ადამიანმა უყურა.

"ალ ჯაზირა" საფრანგეთის პროფესიულ ლიგასთან კონტრაქტის გასაფორმებლად ყველაფერს ილონებს - "კანალ პლუსის" შეთავაზებას აუცილებლად გადაფარავს და ტრანსლაციების ექსკლუზიურ უფლებას შეიძენს. ყატარელები ინგლისის პრემიერლიგის ტრანსლაციების შეძენასაც აპირებენ. უცნობია, ისევე გაუხარდება თუ არა **დევიდ კემერონს** მათი ინგლისურ ფეხბურთში დამკვიდრება, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, სარკოზის ჩარევას ფრანგები ცუდად ნამდვილად არ იხსენებენ.

პარი სენ-ჟერმენი

# ანჩელოტი წუთი-წუთზე

გუშინ ფრანგული გაზეთები ლამის ერთხმად წერდნენ, რომ სალამოსთვის "პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობას ოფიციალურად უნდა გამოეცხადებინა პოსტზე **კარლო ანჩელოტის** დანიშვნის შესახებ. ლაპარაკია, რომ იტალიელი სპეციალისტი 2,5-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და ამ დროში 15 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. პოსტზე ის **ანტუან კომბუარეს** შეცვლის. ფრანგი მწვრთნელის გათავისუფლების შესახებ 22 დეკემბერს გახდა ცნობილი, მაგრამ კლუბი ამას დღემდე არ ადასტურებს. ლიგა 1-ისა და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდებზე გუნდის თავკაცად ისევ მისი სახელი წერია.

ანჩელოტის დანიშვნას მიესალმა კარლეტოს დიდი ხნის მეგობარი და "მილანის" სპორტული დირექტორი **არიედო ბრაიდა**. აი, რა განუცხადა მან "გაძეტა დელო სპორტს": "*ანჩელოტისთან ერთად პარიზელებს ევროპაში ნამდვილი გარღვევის გაკეთება შეეძლებათ. კარლო და ლეონარდო თავისი საქმის დიდი პროფესიონალები არიან. დიდი მიზნების მისაღწევად მხოლოდ დიდი ფულის ჩადება საკმარისი არ არის. ამის ნათელი მაგალითი "მანჩესტერ სიტია". ანჩელოტი ნამდვილი პროფესიონალია, მისი დანიშვნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პარი სენ-ჟერმენისთვის*".

ახლა კი ტრადიციულად "ლურჯწითლების" სატრანსფერო გეგმებზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას: "როიტერი" ამტკიცებს, რომ კარლო ანჩელოტის დანიშვნის შემდეგ გუნდი აუცილებლად შეიძენს **ფლორან მალუდას.** 31 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა ყველაზე ეფექტური სეზონი "ჩელსის" რიგებში სწორედ იტალიელის ხელმძღვანელობით ჩაატარა. მიმდინარე სეზონში კი **ანდრე ვილაშ-ბოაშის** ნდობით ვერ სარგებლობს (ძირითად შემადგენლობაში სულ 4-ჯერ მოხვდა) და დროის გატარება უმეტესად სათადარიგოთა სკამზე უწევს. საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს გასაგები მიზეზების გამო ევროპის ჩემპიონატამდე მაქსიმალური სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

RMC Sport-ის ცნობით, პარიზელებმა იანვარში "მილანიდან" შეიძლება **პატო** შეიძინონ. გარიგებას ხელი ალბათ 4 იანვარს მოეწერება. ამ დღეს ამხანაგურ მატჩში გუნდები ერთმანეთს დუბაიში შეხვდებიან. ბრაზილიელის შეძენა პარიზელებს 50 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

დაბოლოს, ერთი შიდა ტრანსფერის შესახებ: "ფრანს ფუტბოლი" ირწმუნება, რომ პარიზელებს "ტულუზიდან" 23 წლის საყრდენი ნახევარმცველის **ეტიენ კაპუს** ყიდვა სურთ. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრის მოქმედ ხელშეკრულებას კლუბთან ვადა 2015 წლამდე აქვს. შესაბამისად, დედაქალაქელებს გვარიანი თანხის, დაახლოებით 10 მილიონამდე ევროს გაღება მოუწევთ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი "ტულუზი" ფეხბურთელის ტრანსფერს იანვარში არ დათანხმდება, ზაფხულზე პარიზელებისგან 9,25 მილიონ ევროზე მეტს ვერ მიიღებს.



ფლორან მალუდამ კარიერა შეიძლება პარკ დე პრენსზე განაგრძოს

დაპირისპირება

# შვეიცარია ფიფას წინააღმდეგ?



"სიონმა" შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციას წინადადებით მიმართა, გაასაჩივროს ფიფას მიერ მიღებული შესაძლო გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის მიერ მისი გარიცხვის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიული კლუბები და ნაკრებები მოკვეთილნი იქნებიან საერთაშორისო შეჯიბრებებიდან, თუკი 13 იანვრამდე შვეიცარიის ფედერაცია "სიონს" ჩემპიონატში ნათამაშებ ყველა იმ შეხვედრაში ტექნიკურ წაგებას არ ჩაუთვლის, სადაც კლუბმა ის ფეხბურთელები გამოიყენა, რომელთაც თამაშის იურიდიული უფლება არ ჰქონდათ. "*აშკარაა, რომ ფიფას მიერ წამოყენებული ულტიმატუმი არ შეესაბამება არც თავად ფიფას და არც შვეიცარიის კანონმდებლობას. თუკი ჩვენი ფედერაცია საერთაშორისოს ახირების დასაკმაყოფილებლად ჩვენს კლუბს საბოლოოდ გაწირავს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელებს გამბედაობა არ ეყოფათ. პლუს, თუკი ასე მოხდა, ჩავთვლით, რომ მათ აღარ ექნებათ შვეიცარიული ფეხბურთის მართვის უფლება,*" – წერია "სიონის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ **ზეპ ბლატერის** კანტორა "სიონის" წინააღმდეგ ასე ანტაგონისტურად მას მერე განეწყო, რაც ამ უკანასკნელმა ევროპის ლიგიდან მისი დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება ყველგან გაასაჩივრა, იქნებოდა ეს სპორტული საარბიტრაჟო თუ სამოქალაქო სასამართლოები. საინტერესოა, რომ პროცესი კლუბმა ყველა ინსტანციაში წააგო. ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ღრმად პატივცემული ორგანიზაციის არაპატივსაცემმა ხელმძღვანელობამ "სიონის" საქციელს საინტერესო სახელი უწოდა: "იურიდიულად შეურაცხმყოფელი".

ამჟამად ევროპულ ტურნირებზე მხოლოდ "ბაზელია" შემორჩენილი, ვინც ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალში "ბაიერნს" უნდა შეერკინოს. იმ შემთხვევაში თუკი შვეიცარია მართლა განკვეთეს, "ბაზელის" მაგივრად გერმანელებს "მანჩესტერ იუნაიტედთან" მოუწევთ დაპირისპირება.

სკანდალის კვალდაკვალ

# გადათამაშება 0:0-დან

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა, რომ "აიაქსი"-"ალკმაარის" ჩაშლილ სათასო მატჩს გუნდები 19 იანვარს "ამსტერდამ არენაზე" ცარიელი ტრიბუნების წინ გადაითამაშებენ. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის შეწყვეტის მომენტში ანგარიში 1:0 იყო "აიაქსის" სასარგებლოდ, თამაში 0:0-დან განახლდება. გაოცებას სწორედ ეს ფაქტი იწვევს, რადგან "ალკმაარის" მთავარმა მწვრთნელმა **გერტ ვერბეეკმა** მოედანზე სიტუაციის დაძაბვის შემდეგ გუნდი მთავარი მსაჯის ნებართვის გარეშე გაიყვანა. მან მხოლოდ ანიშნა არბიტრს, რომ თამაშს აღარ გააგრძელებდა, ნებართვას კი მისგან აღარ დალოდებია. ყვითელი ბარათები, რომლებიც ფეხბურთელებმა მატჩის შეწყვეტამდე მიიღეს, ფედერაციამ გაუქმებულად გამოაცხადა. რაც მთავარია, ფედერაციამ პირდაპირ მიუთითა, რომ მისი ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.



გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. სეზონის შეჯამება

# ეკვატორთან

დღესაც პრიმერას ორი კლუბის სეზონის I ნახევარს შევაჯამებთ - რიგში მე-14 ადგილზე მყოფი „მალიორკაა“, რომელმაც 18 ქულა მოაგროვა და საფეხურით მაღლა მდგომი „გრანადა“ (19 ქულა).

## მალიორკა: სამთავიანთა ბრძოლა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14. მალიორკა | 16 | 4 | 6 | 6 | 15-22 | 18 |

| თარიღი | მეტოქე | ანგარიში |
|---|---|---|
| 28 აგვისტო | ესპანიოლი (შ) | 1:0 |
| 11 სექტემბერი | ბეტისი (გ) | 0:1 |
| 17 სექტემბერი | მალაგა (შ) | 0:1 |
| 21 სექტემბერი | ვილიარეალი (გ) | 0:2 |
| 25 სექტემბერი | სოსიედადი (შ) | 2:1 |
| 1 ოქტომბერი | ოსასუნა (გ) | 2:2 |
| 15 ოქტომბერი | ვალენსია (შ) | 1:1 |
| 23 ოქტომბერი | ატლეტიკო (გ) | 1:1 |
| 27 ოქტომბერი | სპორტინგი (შ) | 1:2 |
| 29 ოქტომბერი | ბარსელონა (გ) | 0:5 |
| 5 ნოემბერი | სევილია (შ) | 0:0 |
| 27 ნოემბერი | რასინგი (შ) | 2:1 |
| 4 დეკემბერი | ბილბაო (შ) | 1:1 |
| 7 დეკემბერი | გრანადა (გ) | 2:2 |
| 11 დეკემბერი | სარაგოსა (გ) | 1:0 |
| 17 დეკემბერი | ხეტაფე (შ) | 1:2 |



„მალიორკა“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც ამ სეზონში უკვე სამი მწვრთნელი წვრთნიდა. „რეალ სოსიედადთან“ საშინაო გამარჯვების (!) შემდეგ თანამდებობიდან გადადგა **მიქაელ ლაუდრუპი**, მისმა დროებითმა შემცვლელმა **მიგელ ანხელ ნადალმა** მხოლოდ „ოსასუნასთან“ საგარეო შეხვედრაში გაიყვანა გუნდი, 2:2-საც მიაღწია „რეინო დე ნავარაზე“, თუმცა შემდეგ ადგილი **ხოაკინ კაპაროსს** დაუთმო, რომელმაც სეზონის 16 ტურიდან 10-ში გაიყვანა კიდევაც „მალიორკა“ სათამაშოდ. ამ პირობებში კიდევ კარგად უასპარეზია „მალიორკას“, რომელმაც არცთუ ნაყოფიერი სატრანსფერო კამპანია აწარმოა.

### რას ვწერდით აგვისტოში

წინასასეზონო სტატიას „შეზღუდული შესაძლებლობების კუნძული“ ვუწოდეთ. აი, რას ვწერდით: *„გუნდის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებებია, ლაუდრუპი საწვრთნელი პროცესით კმაყოფილებას არ ფარავს და აცხადებს, რომ მეტის მიღწევაც შეუძლიათ, მთავარია, გასული სეზონის შეცდომები არ გაიმეორონ - არ შეიძლება ბოლო ტურამდე გაურკვევლობაში ყოფნა. ქულები თავიდანვე უნდა დააგროვონ“.* ლაუდრუპი უკვე წარსულია, თუმცა სეზონის მიზანი სწორად განვისაზღვრავს - პრიმერაში დარჩენა.

### სტატისტიკური მონაგარი

„მალიორკამ“ შინ 12 ქულა მოიპოვა, სტუმრად ამისი ნახევარი, რაც ბუნებრივია - ბალეარელებმა შინ მეტი თამაში ჩაატარეს. ლაუდრუპი გუნდს 4-2-3-1 სქემით ათამაშებდა, ნადალმა წაუექსპერიმენტა - 4-3-1-2 დააყენა, მაგრამ შემდეგ კაპაროსი ლაუდრუპისეულს დაუბრუნდა, ბოლოს კი „კლასიკურ“ 4-4-2-ზე გადავიდა.

გაფრთხილება: 56
2 ყვითელი ბარათი: 0
წითელი ბარათი: 2
პენალტი (გატ): 5/5
პენალტი (გატ) მალიორკას კარში: 2/2
საშუალო დასწრება: 11 900
დარტყმა (ზუსტი): 176 (57)
**დარტყმა (ზუსტი) მალიორკას კარში: 186 (67)**
დარტყმის სიზუსტე: 32,4%
კუთხური: 80
თამაშგარე: 40
ჯარიმა (მათზე): 292 (189)

**გოლები**

| | |
|---|---|
| 5 | ჰემედი |
| 4 | ვიქტორი |
| 2 | გ. კასტრო |
| 1 | დე გუზმანი, ალვარო, რამისი, მეტოქის ავტოგოლი (ტორეხონი, რასინგი) |

**საგოლე პასები**

| | |
|---|---|
| 3 | პერეირა |
| 1 | ჰემედი, ალფარო, ნსუე, კასერესი, ჩიკო |

**გაძევება**

| | |
|---|---|
| 1 | ბიგასი, ნსუე |

**გაფრთხილება**

| | |
|---|---|
| 9 | პინა |
| 7 | ჩიკო |
| 6 | რამისი |
| 5 | კასერესი |
| 4 | ბიგასი |
| 3 | მარტი, ჰემედი, ტისონე, სენდროსი |
| 2 | ტეხერა, გ. კასტრო |
| 1 | პაბლო მარი, ჟოაო ვიქტორი, იენაგა, ვიქტორი, ავატე, პერეირა, ნსუე |

**თამაშები**

**მეკარეები:** დუდუ **ავატე** (16 თ), ხუან ხესუს **კალატაიუდი**, **იერაი** გომესი.

**მცველები:** ივან **რამისი** (15), ხოსე ფლორეს **„ჩიკო“** (15), პაბლო **სენდროსი** (12), ჯანი **ზუიველრონი** (8), პაბლო **კასერესი** (8), მარტი **კრესპი** (1), ჟოზე **ნუნიეში** (1), **კევინ** გარსია (1).

**ნახევარმცველები:** ტომას **პინა** (15), გონსალო **კასტრო** (14), ფერნანდო **ტისონე** (13), მიშელ **პერეირა** (10), ხოსე **მარტი** (9), სერხიო **ტეხერა** (9), პედრო **ბიგასი** (8), **ჟოაო ვიქტორი** (7), აკიჰირო **იენაგა** (4), **პაბლო** ვილიარი (1).

**თავდამსხმელები:** ემილიო **ნსუე** (15), **ვიქტორ** კასადესუსი (14), ტომერ **ჰემედი** (13), ალეხანდრო **ალფარო** (11), **ალვარო** ხიმენესი (7).

**სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა**

**4-2-3-1:** *ავატე - სენდროსი, ჩიკო, რამისი, კასერესი - პინა, ტისონე - ნსუე, ალფარო, გ. კასტრო - ვიქტორი.*

საუკეთესო ფეხბურთელი: მიშელ პერეირა - 10 თამაში, 3 საგოლე პასი.



ბურთით ემილიო ნსუე

## გრანადა: კრიშტიანო რონალდოს ნახევარი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 13. გრანადა | 16 | 5 | 4 | 7 | 10-16 | 19 |

| თარიღი | მეტოქე | ანგარიში |
|---|---|---|
| 28 აგვისტო | ბეტისი (შ) | 0:1 |
| 12 სექტემბერი | მალაგა (გ) | 0:4 |
| 17 სექტემბერი | ვილიარეალი (შ) | 1:0 |
| 20 სექტემბერი | სოსიედადი (გ) | 0:1 |
| 25 სექტემბერი | ოსასუნა (შ) | 1:1 |
| 1 ოქტომბერი | ვალენსია (გ) | 0:1 |
| 16 ოქტომბერი | ატლეტიკო (შ) | 0:0 |
| 22 ოქტომბერი | სპორტინგი (გ) | 0:2 |
| 25 ოქტომბერი | ბარსელონა (შ) | 0:1 |
| 1 ნოემბერი | სევილია (გ) | 2:1 |
| 6 ნოემბერი | რასინგი (შ) | 0:0 |
| 27 ნოემბერი | ბილბაო (გ) | 1:0 |
| 5 დეკემბერი | სარაგოსა (შ) | 1:0 |
| 7 დეკემბერი | მალიორკა (შ) | 2:2 |
| 11 დეკემბერი | ხეტაფე (გ) | 0:1 |
| 18 დეკემბერი | ლევანტე (შ) | 2:1 |



მიუხედავად იმისა, რომ „გრანადას“ 19 ქულა აქვს, ზუსტად იმდენი, რამდენიც მადრიდის „ატლეტიკოს“, მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, ანდალუსიური კლუბი ერთ-ერთი ყველაზე სუსტია პრიმერაში და წესით, ელიტას უნდა გამოეთხოვოს. ბრავო, „გრანადას“ თავკაცს, ასეთი სუსტი თამაშით გუნდს ამდენი ქულა რომ მოაპოვებინა. ანდალუსიელთა აქტივში ისეთი მოგებებია, როგორიც „სან მამესსა“ და „სანჩეს პისხუანზე“, ეს კი ბევრს ნიშნავს.

### რას ვწერდით აგვისტოში

„გრანადა“ 35-წლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდა პრიმერა დივიზიონში. სეზონის დაწყებამდე არავინ მალავდა, რომ გუნდის ერთადერთი ამოცანა იქნებოდა ლიგაში დარჩენა. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის, თუმცა ახალწვეულისთვის გადამწყვეტი მარათონის მეორე ნახევარი იქნება.

### სტატისტიკური მონაგარი

„გრანადამ“ გაიტანა 10 გოლი (16 მატჩში!). ეს ლა ლიგის უარესი მაჩვენებელია. შეგახსენებთ, რომ **კრიშტიანო რონალდომ** 20 გოლი გაიტანა ანუ ანდალუსიურ კლუბზე ორჯერ მეტი! აი, პლუსიც - გუნდმა სულ 16 გოლი გაუშვა, უკეთესი დაცვა მხოლოდ „ბარსელონას“ და „რეალს“ ჰყავთ. **ფაბრი გონსალესი** ამტკიცებს, რომ ამას უმკაცრესი დისციპლინით მიაღწიეს. არ გვაქვს საფუძველი არ დავუჯეროთ მწვრთნელს.

გაფრთხილება: 44
2 ყვითელი ბარათი: 2
წითელი ბარათი: 0
პენალტი (გატ): 1/1
პენალტი (გატ) გრანადას კარში: 2/1
საშუალო დასწრება: 18 300
დარტყმა (ზუსტი): 199 (55)
დარტყმა (ზუსტი) გრანადას კარში: 284 (95)
დარტყმის სიზუსტე: 27,6%
კუთხური: 69
თამაშგარე: 28
ჯარიმა (მათზე): 188 (209)

**გოლები**

| | |
|---|---|
| 2 | სიკეირა |
| 1 | უჩე, მარტინში, ფ. რიკო, აბელი, ხეიხო, მ. რიკო, ი. ლოპესი, იგჰალო |

**საგოლე პასები**

| | |
|---|---|
| 3 | ხარა |
| 1 | მარტინში, სიკეირა, იგჰალო |

**გაძევება**

| | |
|---|---|
| 1 | რომერო, ბენიტესი |



ასე ზეიმობდა გრანადა ლევანტეს დამარცხებას

**გაფრთხილება**

| | |
|---|---|
| 5 | ნიომი, ხარა |
| 4 | ფ. რიკო, სიკეირა, მარტინში |
| 3 | ბენიტესი, რობერტო |
| 2 | უჩე, მოისესი, მაინსი, კორტესი |
| 1 | მ. რიკო, იგჰალო, პამარო, დიახატე |

**თამაშები**

**მეკარეები:** **რობერტო** ფერნანდესი (16 თ), **ჟულიო სეზარი**, **ხოსე ხუანი**.

**მცველები:** გილერმე **სიკეირა** (16), ალან **ნიომი** (15), დიეგო **მაინსი** (11), ინიგო **ლოპესი** (11), პაპე **დიახატე** (8), დავიდ **კორტესი** (3), ნოე **პამარო** (2), მანუელ **ლუსენა** (1) ჟორჟე **რიბეირო**.

**ნახევარმცველები:** დანი **ბენიტესი** (15), **აბელ** გომესი (14), **მიკელ რიკო** (14), **კარლუშ მარტინში** (12), ჰასან **იებდა** (11), **ფრან რიკო** (9), იოან **მოლო** (6), ხაიმე **რომერო** (6), **მოისეს** ურტადო (6).

**თავდამსხმელები:** იკეჩუკვუ **უჩე** (15), ალექსანდრ **ხეიხო** (12), ფრანკო **ხარა** (12), ოდიონ **იგჰალო** (9).

**სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა**

**4-2-3-1:** *რობერტო - ნიომი, მაინსი, ი. ლოპესი, სიკეირა - იებდა, მ. რიკო - ხარა, კარლუშ მარტინში, ბენიტესი - უჩე.*

საუკეთესო ფეხბურთელი: გილერმე სიკეირა (ბრაზილია) - 16 თამაში, 2 გოლი, 1 საგოლე პასი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




## ერთი თითი უდრის ერთ თამაშს

„ლივერპულის“ ურუგვაელ თავდამსხმელ **ლუის სუარესს** „ფულჰემის“ ქომაგებისთვის შუა თითის ჩვენების გამო ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. 24 წლის ვარსკვლავს, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველის, 30 წლის **პატრის ევრას** რასობრივი შეურაცხყოფის გამო რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია უკვე აქვს მოსახდელი, მაგრამ ეს ვერდიქტი ჯერ არ შესულა ძალაში — ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში ლივერპულელის საჩივარს და მის განხილვას ელოდებიან. სამაგიეროდ, „თითის საქმეზე“ გამოტანილი განაჩენი მყისვე ამოქმედდა — სუარესი პარასკევ საღამოს „ნიუკასლთან“ შეხვედრაში გუნდს ვერ დაეხმარება.

5 დეკემბერს „კრეივენ კოტეჯზე“ ჩადენილი საქციელის გამო ურუგვაელი 20 ათას ფუნტსაც გადაიხდის. ცნობისთვის: სუარესმა დანაშაული აღიარა.

**ილია ბაბუნაშვილი**

## აზარი სიტიში, 30 მილიონად?

„მანჩესტერ სიტი“ იანვარში „ლილის“ ბელგიელი ვარსკვლავის, **ედენ აზარის** შეძენას აპირებს. საამისოდ ინგლისური კლუბი, არც მეტი არც ნაკლები, 30 მილიონი ევროს გადახდას აპირებს 20 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ. ფეხბურთელის აგენტის, **მარკ ფორმოს** სიტყვებით, განიხილება ასეთი ვარიანტიც - აზარს იანვარში ყიდულობენ და შემდეგ სეზონის ბოლომდე იჯარით ისევ „ლილში“ უშვებენ. თქვენ წარმოიდგინეთ და, ამ ცნობამ შეიძლება არ გაახაროს „ლილის“ პრეზიდენტი **მიშელ სეიდუ**, რომელიც აზარის საშუალებით 40 მილიონი ევროს შემატებას გეგმავს.

## ჩრდილოელთა ახალი თავკაცი

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს ახალი თავკაცი ჰყავს - **მაიკლ ონილი.** გუშინ მას ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. „ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილი ნახევარმცველი მუშაობას თებერვლიდან შეუდგება. **ნაიჯელ უორტინგტონის** შემცვლელად სამი კანდიდატი მოიაზრებოდა, საბოლოოდ, **იან დოუის** და **ჯიმ მეჯილტონს** ონილი არჩიეს. 42 წლის ონილი ბოლოს „შემროკ როვერსს“ ხელმძღვანელობდა და გუნდი უეფას ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. ეს კი ნახევრადსამოყვარულო გუნდისთვის დიდებული მიღწევაა. ონილი თვის დასაწყისში გადადგა, ჯერ კიდევ მაშინ ლაპარაკობდნენ, რომ ეს მან სანაკრებო კარიერისთვის გააკეთა.

## რონალდოს ინგლისს ესპანეთი ურჩევნია

**კრიშტიანო რონალდო** სამობაო არდადეგებზე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში იმყოფება, თუმცა ხანდახან „რეალის“ პორტუგალიელ ვარსკვლავს მაინც უწევდა პრესასთან ურთიერთობა. აი, რა თქვა გუშინ დუბაიში რონალდომ, როცა იმ ორი ტოპლიგის შედარება სთხოვეს, სადაც მას უთამაშია: *„პრიმერა დივიზიონი მსოფლიოში საუკეთესო ლიგაა, სადაც ინდივიდს ტექნიკისა და უნარჩევების წარმოჩენის საშუალებას აძლევს. პრემიერლიგაში ბევრი ვისწავლე, მაგრამ ესპანური ლიგა მირჩევნია“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბომბარდირი

# 49 გოლი 2011 წელს

## აჯობებს გომესი მიულერებს?



2011 წელი მარიო გომესის კარიერაში საუკეთესო იყო

ეს არის შედეგი, რომელიც 2011 წლის შეჯამების თვალსაზრისით ძალიან საამაყოა, 2012 წლის პერსპექტივაში კი მთელი საფეხბურთო გერმანიისთვის იმედის მიმცემი. „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების 26 წლის გოლეადორ **მარიო გომესს** შეუძლია, თამამად თქვას, რომ 2011 წელი მის კარიერაში საუკეთესო იყო. წელს მან საერთო ჯამში 53 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 49 გოლი გაიტანა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია მას მერე, რაც ფეხბურთის თამაში პროფესიულ დონეზე (2003 წელს) დაიწყო.

32 გოლი ბუნდესლიგაში (16 გასული სეზონის მეორე წრეში, 16 მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში), 2 გოლი გერმანიის თასზე (1/1), 8 გოლი ჩემპიონთა ლიგაში (2/6) და 7 გოლი გერმანიის ნაკრებში – საერთო ჯამში, წელს გომესს საშუალოდ ერთ შეხვედრაში 0.9 გოლი გაჰქონდა, რაც, დაგვეთანხმებით, ბრწყინვალე შედეგია. თუ მარიო ასე გააგრძელებს, შეუძლია, რომ უდიდესი და ერთი შეხედვით დაუმხობი რეკორდები დაამხოს.

შეგახსენებთ, რომ გომესი ბუნდესლიგის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და საუკეთესო შანსი აქვს, ეს ტიტული შეინარჩუნოს. სხვათა შორის, „ბაიერნის" ბოლო თავდამსხმელი, რომელიც ზედიზედ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, მიუნხენური გრანდის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგეა** – მან ეს 1980 (26 გოლით) და 1981 (29) წლებში მოახერხა. უკანასკნელი ფორვარდი, რომელიც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი 30-ზე მეტი გოლით გახდა, „კიოლნის" გოლეადორი **დიტერ მიულერი** გახლდათ, რომელმაც 1976/77 წლების სეზონში ბუნდესლიგაში 34 გოლის გატანა შეძლო. უფრო მეტიც: თეორიულად, გომესს **გერდ მიულერის** 40-გოლიანი ბარიერის დამხობაც შეუძლია.

ბავარიული გრანდის თავკაც **იუპ ჰაინკესს** ეს ყველაფერი რეალურად მიაჩნია. *„რაც მთავარია, გომესმა კომბინაციური თამაში გააუმჯობესა და ზოგადად, ბოლო დროს უდიდესი პროგრესი განიცადა. ახლა მას მხოლოდ მაშინ უჭირს გოლის გატანა, როცა საგოლე მომენტი კართან ზურგით მდგომს ექმნება,"* - აცხადებს ჰაინკესი.

### კირსტენი: რონალდოს გომესი მირჩევნია!

„ბილდმა" ბუნდესლიგის სხვადასხვა სეზონის საუკეთესო ბომბარდირებს მარიო გომესის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვა. ცხადია, ყველაზე საინტერესო ნაციის ბომბარდირად წოდებული გერდ მიულერის მოსაზრებაა, რომელიც 1967-დან 1978 წლამდე შვიდჯერ იყო გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი და რომელსაც ბუნდესლიგის 427 შეხვედრაში 365 გოლი აქვს გატანილი.

*„ჩემი აზრით, ნამდვილად არ არის არარეალური ის, რომ მარიომ სეზონში 40 გოლზე მეტი გაიტანოს და ამით ჩემი მიღწევა გაიმეოროს ან სულაც გააუმჯობესოს. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ახლა პერსონალურ დაცვას აღარ თამაშობენ,"* - აცხადებს 66 წლის გერდი.

*„მარიო არ არის ისეთი ფეხბურთელი, რომელიც პუბლიკას დრიბლინგებით გაანებივრებს, მაგრამ ასეთი არც გერდ მიულერი იყო. გომესი სრულყოფილი საგოლე მანქანაა,"* - ამბობს 40 წლის **ფრედი ბობიჩი**, რომელიც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი 1996 წელს, „შტუტგარტის" რიგებში 17 გოლით გახდა.

*„მარიო არა მარტო გერმანული ფეხბურთის, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავია და მე ვიტყოდი, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორიცაა. პირადად მე კრიშტიანო რონალდოს გომესი მირჩევნია – მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელი არ არის კლასიკური ცენტრფორვარდი. მარიო ჯერ მხოლოდ 26 წლისაა და დარწმუნებული ვარ, რომ პროგრესს განაგრძობს,"* - ეს 46 წლის **ულფ კირსტენის** სიტყვებია, რომელიც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი 1997 და 1998 წლებში (22-22 გოლით) იყო.

**ჰანეს ლიორი** (69 წლის, ბუნდესლიგის ბომბარდირი 1968 წელს 27 გოლით): *„გომესმა სენსაციური პროგრესი განიცადა და ახლა თავდაჯერებულიცაა, რაც ყველა თავდამსხმელს სჭირდება. ვფიქრობ, ამ სეზონში მინიმუმ 30 გოლს გაიტანს, რაც არა მარტო მისი, არამედ იმის დამსახურებაცაა, რომ „ბაიერნში" ბრწყინვალე პასეები ჰყავს."*

**ბუნდესლიგის ბომბარდირების რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | წელი | გოლები |
|---|---|---|---|
| 1. გ. მიულერი | ბაიერნი | 1972 | 40 |
| 2. გ. მიულერი | ბაიერნი | 1970 | 38 |
| 3. გ. მიულერი | ბაიერნი | 1973 | 36 |
| 4. დ. მიულერი | კიოლნი | 1977 | 34 |
| 5. ლ. ემერიხი | დორტმუნდი | 1966 | 31 |
| 6. უ. ზეელერი | ჰამბურგი | 1964 | 30 |
| 7. გ. მიულერი | ბაიერნი | 1969 | 30 |
| 8. გ. მიულ./ი. ჰაინკესი | ბაიერნი/გლადბახი | 1974 | 30 |
| 9. ი. ჰაინკესი | გლადბახი | 1975 | 29 |
| 10. კ. ფიშერი | შალკე | 1976 | 29 |
| 11. კ.ჰ. რუმენიგე | ბაიერნი | 1981 | 29 |
| 12. ლ. ემერიხი/გ. მიულ. | დორტმ.-ბაიერნი | 1967 | 28 |
| 13. აილტონი | ვერდერი | 2004 | 28 |
| 14. გრაფიტე | ვოლფსბურგი | 2009 | 28 |
| 15. მ. გომესი | ბაიერნი | 2011 | 28 |




თავდამსხმელი



# კურანი იმედს არ კარგავს

## არადა, ლიოვს ნათქვამი აქვს, ეგ კაცი აღარ დამანახვოთო...

გერმანიის ნაკრებიდან 2008 წელს მოკვეთილი თავდამსხმელი **კევინ კურანი** ბუნდესგუნდში დაბრუნების იმედს არ კარგავს. *„გამორიცხული არასდროს არაფერია. არც ის, რომ გერმანიის ნაკრებში დამაბრუნონ. ვიცი, რომ შეცდომა დავუშვი და ამ შეცდომის გამო ბოდიშიც არაერთხელ მოვიხადე. მეტი რა უნდა ვქნა?"* - აცხადებს 29 წლის თავდამსხმელი, რომელიც ახლა მოსკოვის „დინამოს" ღირსებას იცავს.

2008 წლის შემოდგომაზე, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** კევინი ბუნდესგუნდიდან იმის გამო მოკვეთა, რომ იმხანად „შალკეს" თავდამსხმელმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის (რუსეთთან) დროს, სტადიონი ჯერ კიდევ შეხვედრის დასრულებამდე დატოვა. კურანი მაშინ იმის გამო განაწყენდა, რომ ლიოვმა 18-კაციანი განაცხადის მიღმა დატოვა. ლიოვმა თქვა, სანამ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ვარ, კურანი ბუნდესგუნდში ველარ ითამაშებსო. მიუხედავად იმისა, რომ მას მერე კევინმა ბოდიში მართლაც არაერთხელ მოიხადა, იოგი „შტუტგარტისა" და „შალკეს" ყოფილ ფორვარდს, რომელსაც გერმანიის პირველ გუნდში 52 მატჩი აქვს ჩატარებული (19 გოლი), ყურადღებას არ აქცევს.

2010 წლის მუნდიალის შემდეგ კურანიმ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე თამაში დაისახა მიზნად. რაც უნდა იყოს, კევინს ბუნდესგუნდში მოსკოვის „დინამოდან" მოხვედრა მაინც გაუჭირდება. თანაც, რუსული კლუბის დატოვებას არ აპირებს...

ვერდერი



# ორად ორი მეგობარი

## დღე კი, ღამე არა და ბრემენში 13 წელია, ერთად არიან

წინა კვირის დასაწყისში „ვერდერის" განუყრელმა ხელმძღვანელებმა, სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** და მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** როგორც იქნა, ბრემენულ კლუბთან კონტრაქტები გააგრძელეს. 55 წლის ალოფსმა „მუსიკოსებს" თავისი ბედი 2015 წლამდე, ხოლო 50 წლის შააფმა კი 2014 წლამდე დაუკავშირეს. შეგახსენებთ, რომ ეს დუეტი ბრემენულ კლუბს 1999 (!) წლიდან ხელმძღვანელობს. მათთან ახალი კონტრაქტების გაფორმების შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ვილი ლემკემ** თქვა, ამით ყველაზე მთავარი საკითხები მოვაგვარეთო. ვითომ ასეა?

შესაძლოა, ლემკესთვის მართლაც ასე იყოს, რადგან კლაუსისა და თომასის საკითხები პირადად მისი საქმე იყო, ფაქტი კი ის არის, რომ თავად „განუყრელ მეგობრებს" ძალიან ბევრი საქმე აქვთ. ზაფხულში „ვერდერის" 11 (!) ფეხბურთელს უმთავრდება კონტრაქტი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კადრი 33 წლის პერუელი გოლეადორი **კლაუდიო პისაროა** და ალოფსი ამბობს, მასთან პირველი მოლაპარაკება უკვე გავმართეთო. ბრემენელებს მთავარი თავდამსხმელისა და ფაქტობრივად გუნდის სავიზიტო ბარათად ქცეულ პისაროსთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება კი უნდათ, მაგრამ საამისოდ ბიუჯეტია საჭირო. შესაბამისად, პისაროს დარჩენა-არდარჩენის საკითხი იმაზეა დამოკიდებული, მოახერხებს თუ არა „ვერდერი" ჩემპიონთა ლიგის ან თუნდაც ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას. ლემკემ უკვე თქვა, რომ „ვერდერს" ვალებში ჩასაძირად ვერაფრის ფასად ვერ გაწირავს – მათ შორის, ვერც პისაროს შენარჩუნების ფასად.

### ქამრები შემოიჭირეს, საქმე ბევრია

თავად ალოფსი ხელფასის შემცირებას დათანხმდა და მისი შემოსავლის გაზრდა მხოლოდ წარმატების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ცხადია, კლაუსი პისაროსგან ხელფასის შემცირებაზე დათანხმებას არ უნდა ელოდოს. პრინციპში, იგივე ეხებათ 30 წლის მეკარე **ტიმ ვიზეს** და 31 წლის კაპიტან **კლემენს ფრიტცსაც**, რომლებსაც კონტრაქტები ასევე სეზონის ბოლოს უმთავრდებათ და რომლებსაც ალოფსი იანვარში დაელაპარაკება. ამ ფეხბურთელებთან ერთად, „ვერდერს" აუცილებლად უნდა არენდით აყვანილი 23 წლის მცველის, **სოკრატის პაპასტატოპულოსის** შენარჩუნებაც. სამაგიეროდ, კითხვის ნიშნის ქვეშაა **სებასტიან პრიოდლის** (24 წლის), **მარკუს როზენბერგის** (29), **ლენარტ თაისა** (19) და **სებასტიან ბიონიშის** (24) პერსპექტივები. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ **ტიმ ბოროვსკი** (31), **მიკაელ სილვესტრი** და სათადარიგო მეკარე **კრისტიან ფანდერი** (31) გუნდიდან წავლენ.

ერთი სიტყვით, „განუყრელ მეგობრებს" საქმეები თავზე საყრელად აქვთ. ალოფსი ამბობს, მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, მაინც შევეცდებით ისეთი გუნდის ჩამოყალიბებას, რომელიც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებსო. შააფი კი აცხადებს, რომ გუნდი სწორ გზას ადგას, მაგრამ ჯერ ვერ თამაშობს ისე, როგორც თუნდაც შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა თამაშობდეს. *„შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ ვთამაშობთ, რაც სატურნირო ცხრილზეც აისახა, მაგრამ „შალკესთან" 0:5-მა დამარწმუნა, რომ ილუზიებში არ უნდა ვიყოთ,"* - აცხადებს თომასი.

ამ ყველაფრის შემდეგ უკვე ზედმეტიცაა იმაზე ლაპარაკი, რომ ალოფსი შააფს უსიტყვოდ და ისევ ასი პროცენტით ენდობა. მეტიც, კლასი ამბობს, შააფს კონტრაქტი რომ არ გაეგრძელებინა, ამ ნაბიჯის გადადგმა მეც ძალიან გამიჭირდებოდაო. ალოფსმა და შააფმა „ვერდერში" ერთად ბევრი რამ გადაიტანეს და მზად არიან, კიდევ ბევრი გადაიტანონ. შესაბამისად, საკმაოდ გაიზარდა იმის შანსიც, რომ თომას შააფმა **ოტო რეჰაგელის** ძველი და გრანდიოზული რეკორდი დაამხოს. „მეფე ოტო" „ვერდერს" 1981-დან 1995 წლამდე, სულ 14 წლის განმავლობაში წვრთნიდა. თუ სასწაული არ მოხდა, ამ რეკორდს შააფი 2013 წლის აგვისტოში გაიმეორებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალისო საკითხავი

# საშობაო ოცნებები კალჩოში
## და არა მარტო...



**სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში საშობაო პაუზაა და გვეგონა, მწვრთნელები, მოთამაშეები თუ გულშემატკივრები ცოტა ხანი ისვენებდნენ ფეხბურთისგან. თუმცა, ასე არ ყოფილა საქმე და თურმე, ფიქრები მაინც სპორტის უპირველეს და უსაყვარლეს სახეობას დასტრიალებს. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ გაეცნოთ, რა სურვილები ჩაუთქვეს საშობაოდ სერია A-ს გუნდებმა...**

### ატალანტა

ბერგამოულ კლუბში ისეთ კაპიტანზე ოცნებობენ, რომელიც ვირის აბანოში არ აღმოჩნდება და რომლის გამოც გუნდს ქულებს არ დააკლებენ.

### ბოლონია

„ბოლონიაში" მართლა ოცნებობენ და ამ ოცნებებში გუნდი სამი ფორვარდით უტევს: ერთი **მარკო დი ვაიოა**, მეორე **ბეპე სინიორი** და მესამე **რობერტო ბაჯო**. მხოლოდ ეს თუ უშველიდა „როსობლუს" წარსული დიდების დასაბრუნებლად. არ გაგიკვირდეთ, გასული საუკუნის 30-იან წლებში „ბოლონიას" სწორედაც რომ დიდების ხანა ედგა, როდესაც გუნდმა სამი სკუდეტო მოიპოვა.

### კალიარი

სარდინიაზე ოცნებობენ, რომ 2012 წელს მაინც გამოჩნდეს ახალი **ლუიჯი რივა**, რომელიც „კალიარის" ლიდერებში დააბრუნებს. კუნძულელთა უფრო მიწიერი ოცნება კი გუნდის ამჟამინდელ ფეხბურთელს, **რაჯა ნაინგოლანს** უკავშირდება, რომელსაც „მანჩესტერ სიტი" 300 000 ფუნტს სთავაზობს კვირაში - სარდინიელთა ოცნებაა, რაჯამ ინგლისში გადასვლაზე უარი განაცხადოს.

### კატანია

სიცილიის ამ ქალაქში არაფერზე ოცნებობენ, რადგან დერბიში „პალერმო" სულ ახლახან უკვე დაამარცხეს. თუმცა, მეორე წრე წინ არის და შესაძლოა, კატანიელებს სანტას არსებობა გაზაფხულზე გაახსენდეთ.

### ჩეზენა

ამ პატარა ქალაქში ოცნებობენ იმაზე, რომ **ადრიან მუტუმ** არასდროს დაარღვიოს რეჟიმი, აღარ გაეხვიოს საპირისპირო სქესთან დაკავშირებულ სკანდალებში, აღარ მოწიოს ათასი უბედურება და ზოგადად, არ მიეკაროს აკრძალულ პრეპარატებს. სანტა საგონებელშია...

### კიევო

„კიევოში" ერთი ოცნება აქვთ: „ვერონამ" სერია B-ში წარმატებული ასპარეზობა შეწყვიტოს და ელიტას არ დაუბრუნდეს. მაგრამ, სანტას „ვერონელებიც" აწუხებენ და ვნახოთ, ვისი აჯობებს...

### ფიორენტინა

ფლორენციაში ოცნებობენ, რომ **არტურ ბორუცმა** ჭამას მოუკლოს და წონაში დაიკლოს. თავის დროზე, ანალოგიური სურვილი ტოსკანელებს **სებასტიან ფრეისთან** დაკავშირებით ჰქონდათ, მაგრამ მაშინ სანტამ ფლორენციელთა თხოვნა ყურად არ იღო.

### ჯენოა

„ჯენოაში" ოცნებობენ, რომ სებასტიან ფრეიმ ნაკლები ჭამოს და წონაში დაიკლოს... სანტას ეს სურვილი ყელში აქვს ამოსული და სავარაუდოდ, ისევ უყურადღებოდ დატოვებს.

### ინტერი

„ინტერში" თერთმეტ **ხავიერ ძანეტიზე** ოცნებობენ, მაგრამ მისი ასაკის გათვალისწინებით, მალე ერთიც აღარ ეყოლებათ. ერთი ოცნება პერსონალურად გულშემატკივრებს აქვთ: იქნებ **მასიმო მორატი** 2012 წელს მაინც მიხვდეს, რომ **მარკო ბრანკა** არაფრის მაქნისია.

### იუვენტუსი

ტურინში ოცნებობენ, რომ „იუვენტუსი" რაც შეიძლება მალე დატოვონ **კარვალიო ამაურიმ, ლუკა ტონიმ** და **ვინჩენცო იაკვინტამ**. თუ სანტა კიდევ უფრო მოწყალე იქნება და **მარკო ბორიელოს** ტრანსფერსაც ჩიხში შეიყვანს, ტურინელ გულშემატკივართა ბედნიერებას საზღვარი არ ექნება.

### ლაციო

„ლაციოს" ოცნებები უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება - ამ ოცნებებში კი **მიროსლავ კლოზე ერიკ ლამელას** უცვლის ასაკს, **ტომაზო როკი** კი **ბოიან კრკიჩს**. სანტა ამის შემსრულებელი არაა და იქნებ **ჯიბრილ სისეს** მაინც ასწავლოს ფეხბურთის თამაში.

### ლეჩე

„ლეჩეში" ოცნებობენ, რომ გუნდის მთელი შემადგენლობა შეიცვალოს. თუ ეს ასე მოხდება და **კევინ პრინს ბოატენგსაც** ფეხი მოსტყდება, ამ ქალაქში უზომოდ გაიხარებენ.

### მილანი

„მილანში" ოცნებობენ, რომ მათ ფეხბურთელებს აღარასოდეს შეექმნათ პრობლემები სხვადასხვა ორგანოსთან დაკავშირებით, იქნება ეს თვალი, გული თუ სხვა... ამასთან, იქნებ **დანიელე ბონერამ, მარიო იეპესმა, ლუკა ანტონინიმ** და **ტაიე ტაოვომ** ინებონ და **პაოლო მალდინის** „ბესტსელერი" „როგორ უნდა გახდე კარგი მცველი" წაიკითხონ.

### ნაპოლი

ნეაპოლში ოცნებობენ: წელმა ისე ჩაიაროს, რომ თამაშის დროს, „ნაპოლის" არც ერთი ფეხბურთელის სახლი არ გაიძარცვოს.

### ნოვარა

„ნოვარაში" ოცნებობენ, რომ მომდევნო შობას მაინც შეხვდნენ ბუნებრივი მინდვრის საფრით.

### პალერმო

სიცილიაში ოცნებობენ, რომ **მაურიციო ძამპარინიმ** მთელი წლის განმავლობაში ერთი მწვრთნელიც არ შეცვალოს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 2011 წელს „პალერმოს" პრეზიდენტმა 5 მწვრთნელი გააგდო, მაშინ ოცნების ახდენის ალბათობა ნულის ტოლია.

### პარმა

„პარმაში" ოცნებობენ, რომ **ანტონიო კონტეს** მეხსიერებიდან სამუდამოდ წაიშალოს ფეხბურთელი გვარად **ჯოვინკო**.

### რომა

„რომაში" ახალ „ბარსელონაზე" ოცნებობენ, რომელიც სწრაფ, ტექნიკურ და ჰარმონიულ ფეხბურთს ითამაშებს. თუ **ფრანჩესკო ტოტი** სხვა გუნდში გადასვლაზე საბოლოოდ აიღებს ხელს, „ჯალოროსიში" სანტას სიკეთეს არასოდეს დაივიწყებენ.

### სიენა

„სიენაში" ოცნებობენ, რომ ანტონიო კონტეს ანიელების ოჯახთან კონფლიქტი მოუვიდეს, დატოვოს „იუვენტუსი" და ტოსკანურ გუნდს დაუბრუნდეს.

### უდინეზე

იტალიურად DI NATALE საშობაო დღესასწაულს ნიშნავს და ამით, ყველაფერია ნათქვამი.

## პრანდელის ოცნება ყველას აერთიანებს

**ჩეზარე პრანდელის საშობაო ოცნება იტალიური ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს აერთიანებს... „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელი „რაი სპორტს" ესტუმრა, სხვადასხვა საკითხზე თავისი კომპეტენტური მოსაზრება დააფიქსირა, ბოლოს კი საახალწლო სურვილები გაამხილა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სიტყვა პირდაპირ მას გადავცეთ...**

### სერია A

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ძალიან მომწონს, რადგან გუნდებს შორის ძალები დაბალანსებულია და ყველა პოზიციისთვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. რთულია იმის თქმა, ვინ დაეუფლება სკუდეტოს, ვინ მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს და ვინ გავარდება ელიტიდან. სწორედ ეს არის ის, რამაც სტადიონებზე გულშემატკივართა ზრდა განაპირობა. ჩემი აზრით, იტალიის ჩემპიონატი იმაზე უფრო ადრე დაიბრუნებს ლიდერის პოზიციას ევროპაში, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია.

2011 წლის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა „იუვენტუსის" ახალი სტადიონის გახსნა გახლდათ - ეს არის ახალი ერის დასაწყისი იტალიურ ფეხბურთში და ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ახალი სტადიონების აშენებას სხვა კლუბებიც აპირებენ და იმედია, სიტყვები საქმედ იქცევა.

საგულისხმოა, რომ კალჩოიპოლის პროცესი გრძელდება და ახალ-ახალი ფაქტები გამოდის სააშკარაოზე. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ იტალიურ ფეხბურთში წმენდის პროცესი გრძელდება. დამნაშავეები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არის. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კალჩოს გაძლიერებას, რაზეც ზემოთ ვისაუბრე.

### იტალიის ნაკრები

მთლიანობაში, წელმა კარგად ჩაიარა, რადგან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი წარმატებულად დავძლიეთ და უკრაინა-პოლონეთის საგზური დამაჯერებელი თამაშით მოვიპოვეთ. ახალი წლიდან მზადების უფრო ინტენსიურ ეტაპზე გადავალთ, როდესაც აქცენტი არა ახალი მოთამაშეების ძიებაზე, არამედ არსებული ბირთვის შეთამაშებაზე გაკეთდება. ძალიან სანყენია, რომ ანტონიო კასანო და ჯუზეპე როსი ფეხბურთს ჩამოშორებულნი არიან, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ევროფორუმამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებენ.

ისე არ გაიგოთ, რომ ახალ მოთამაშეებს საერთოდ აღარ გამოვიძახებ - მაგალითად, თებერვალში აშშ-ის ეროვნულ გუნდთან გვიწევს პაექრობა და ამ მატჩისთვის „სკუადრა აძურას" განაცხადში აუცილებლად იქნება ანტონიო დი ნატალე. ტოტო ფანტასტიკურ სეზონს ატარებს და დიდი იმედი მაქვს, რომ თავს ეროვნულ ნაკრებშიც გამოიჩენს.

### 2012

2012 წელი ძალიან მნიშვნელოვანია პირადად ჩემთვის, რადგან იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში ევროპის ჩემპიონატზე მივემგზავრები. ორად ორი სურვილი მაქვს სანტასთან: ჯანმრთელობა ჩემი ოჯახის წევრებს და ევროპის ჩემპიონატის ტიტული.

**ლაშა ნიკლაური**






ლევერკუზენი

# ბერბა ისევ ბაიერში?

გერმანულ და ინგლისურ მედიას თუ დავუჯერებთ, დიდი შანსია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ ბერბატოვი** „ლევერკუზენში" დაბრუნდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მანკუნიანელები ფორვარდის კონტრაქტში ჩადებულ პუნქტს პირველ იანვრამდე არ გამოიყენებენ.

30 წლის ბერბატოვი „ბაიერში" 2001-დან 2006 წლამდე თამაშობდა და საფეხბურთო ევროპამ სწორედ მაშინ გაიცნო. მეტიც: ბერბატოვი იმ პერიოდში ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გახლდათ, რაც იმით დასტურდება, რომ გერმანიის ჩემპიონატის 154 შეხვედრაში 69 გოლი აქვს გატანილი (32 საგოლე პასი). დიმიტარი „ლევერკუზენიდან" ჯერ „ტოტენჰემში" გადავიდა, სამი წლის წინ კი „მანჩესტერ იუნაიტედში" აღმოჩნდა. ბულგარელი იანვარში 31 წლის ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ როცა თამაშობს, თავის შესაძლებლობებს თითქმის ყოველთვის ამტკიცებს, **სერ ალექს ფერგიუსონი** ბერბატოვს იშვიათად ათამაშებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფერგისთვის ის მხოლოდ მეოთხე ფორვარდია. თუმცა აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგის წინა ტურში ფერგიუსონმა ბერბატოვი ათამაშა და ამ უკანასკნელმა „უიგანთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა – „იუნაიტედმა" 5:0 მოიგო.

რაც შეეხება პირველ იანვარს და კონტრაქტში ჩადებულ პუნქტს: ბერბატოვს მანკუნიანელებთან ხელშეკრულება სეზონის ბოლოს ეწურება, ხსენებული პუნქტის თანახმად კი, მანჩესტერელებს შეუძლიათ, კონტრაქტი პირველ იანვარს ავტომატურად გააგრძელონ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბერბატოვის დაბრუნების შემთხვევაში, 23 წლის შვეიცარიელი თავდამსხმელი **ერენ დერდიოკი** „ლევერკუზენიდან" წასვლის უპირველესი კანდიდატი გახდება.

*„ეს სპეკულაციაზე მეტია. „ლევერკუზენს" ნამდვილად უნდა ბერბატოვის დაბრუნება. „ბაიერთან" კონტაქტი გვაქვს, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერი თქმულა, რადგან დიმიტარის მომავალი „მანჩესტერ იუნაიტედის" გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული, - აცხადებს ფეხბურთელის აგენტი და იქვე დასძენს, - ბერბას „ლევერკუზენი" არ დავიწყებია და ეს კლუბი დღემდე ძალიან უყვარს."*

**გოტფრიდ ლენცი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის მონაგარი

# სამინისტროს ლაურეატები და შეჯამებული სეზონი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ აწ უკვე ჩავლილი სპორტული სეზონი გუშინ სასტუმრო „რედისონში“ შეაჯამა და გამოავლინა ლაურეატები. თუმცა შეხვედრის პერიპეტიების აღწერამდე მთავარზე ვთქვათ - 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენი კვლავაც მორაგბე გახდა, ამჯერად - **მამუკა გორგოძე.**

შემაჯამებელი სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო - დარბაზი ფეხზე წამოუდგა გუშინ დილით გარდაცვლილი სახელოვანი არბიტრის, „საუკუნის მსაჯად“ აღიარებული ანატოლი მილჩენკოს ხსოვნას. ამის შემდეგ ტრიბუნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილს** დაეთმო, რომელმაც დაწვრილებით მიმოიხილა როგორც წლეულს გაკეთებული საქმეები, ასევე - საგაისოდ დაგეგმილი პროექტები. ვფიქრობთ, მის მოხსენებაში ყველაზე აქტუალური სპორტის უნივერსიტეტის დაარსების თემა იყო. ეს საკითხი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთანაც შეთანხმებული ყოფილა და მისი ამუშავება დროის საკითხია. ის მთლიანად სპორტზე იქნება ორიენტირებული და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს მოამზადებს.



წლევანდელ სეზონში ქართველი სპორტსმენების მიერ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირებში სამივე ასაკობრივ ჯგუფში - უფროსებში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში სულ მოპოვებულია 475 მედალი. აქედან 121 ოქროა, 162 - ვერცხლი და 192 - ბრინჯაო. ამ ჯილდოებიდან 377 ოლიმპიურ სახეობებზე მოდის, 98 - არაოლიმპიურებზე. ოლიმპიურებში ეს მედლები ხარისხობრივად ასეა გადანაწილებული - 90 ოქრო, 131 - ვერცხლი და 156 - ბრინჯაო. არაოლიმპიურებში, შესაბამისად, მოპოვებულია 31-31 და 36 მედალი. ამასთან, წლეულს სამინისტრომ სპორტის 41 სახეობაში 530 სპორტული ღონისძიება დააფინანსა. მთლიანად ქართული სპორტის სამსახურში 2652 სპორტული ობიექტია. ამათგან 947 თავიდან აიგო ან საფუძვლიანად გარემონტდა. საერთოდ, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხრივ წლეულსაც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა - დაიწყო საფეხბურთო მოედნების კეთილმოწყობა ქობულეთში, ფოთში, გორში, თბილისში, რასაც ჯამში 2 500 000 ლარი დასჭირდა. მინისტრი დაგვპირდა, რომ მალე სახელმწიფოს დახმარებით არც ერთი საფეხბურთო კლუბი არ დარჩება მოედნის გარეშე. ამასთან, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში აშენდა საცურაო აუზები, ყინულის მოედნები, საჩოგბურთო კორტები, კალათბურთის აკადემია...

მინისტრმა თავის გამოსვლაში ქებით და მადლობით მოიხსენია რაგბის კავშირი, კალათბურთის, ჭიდაობის, ძალოსნობის, ჭადრაკის, მშვილდოსნობის, წყალბურთის, ფეხბურთის, სამბოს, მკლავჭიდის ფედერაციები, კრივი და ძიუდო კი გააკრიტიკეს და აღნიშნეს, რომ მეტი შეუძლიათ. თან გამოითქვა იმედი, რომ ისინი საოლიმპიადოდ მდგომარეობას გამოასწორებენ. კიდევ ერთხელ გაიხსენეს მშვილდოსანთა მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ჩვენებს მოგებული შეხვედრა გადაათამაშებინეს, რომელიც დათმეს და მოპოვებული ლიცენზიებიც დაკარგეს. ვარძელაშვილმა წყალბურთში დაწყებული სასიკეთო ძვრებიც საგანგებოდ გამოჰყო, სადაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ აღსდგა შეჯიბრებები. სახელმწიფომ მსოფლიოს თასზე ზედიზედ მესამედ გასული მორაგბეებისთვის, რომლებმაც ამჯერად ერთი შეხვედრაც მოიგეს პრინციპულ მეტოქე რუმინეთთან, და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად მოხვედრილი კალათბურთელებისთვის, რომლებიც ამასაც არ დასჯერდნენ და იქაც პირველი ჯგუფური ეტაპი წარმატებით გაიარეს, უხვად გაიკრა ჯიბეზე ხელი - პირველნი 1 174 000 ევროთი დააჯილდოვა, მეორენი - 1 700 000 ლარით.

სამომავლო ანუ 2012 წლის გეგმებიდან მინისტრმა სპორტის უნივერსიტეტის გარდა, ფეხბურთზეც არანაკლებ საინტერესო ინფორმაციები გაახმოვანა ბავშვთა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, სადაც მეცადინეობა ესპანური პროგრამით წარიმართება. ესპანური მოდელი აირჩა, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო. ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით ცვლილებებია განზრახული საჯარო სკოლებში სპორტის გაკვეთილებთან დაკავშირებით. კერძოდ, დაიწყება მასწავლებელთა გადამზადება და მათ მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ სკოლებში მუშაობის უფლება. რვა ფედერაცია აქამდეც თანამშრომლობდა სამინისტროსთან და საჯარო სკოლებში შეჯიბრებებს ატარებდა, თუმცა მათი რიცხვი 5-მდე შემცირდება.

საგაისო პრიორიტეტებად ასევე დაასახელეს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დახმარების და ანტიდოპინგური პროგრამა, სტუდენტური სპორტის მხარდაჭერა, რაც თავისთავად ნიშნავს მასობრიობის წახალისებასაც, მთავარი საზრუნავი კი ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადება იქნება.

შემაჯამებელი სხდომის კულმინაცია მაინც ნომინანტების დასახელება იყო. ამჯერად სამინისტრომ გამოარჩია 10-10 საუკეთესო გუნდი ახალგაზრდებსა და უფროსებში, რომელთაგანაც დაასახელა თითო საუკეთესო სპორტსმენი. ახალგაზრდებში 20-წლიანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი **მერი არაბიძე** (ჭადრაკი), 17-18-წლიანთა შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები **ნანა გოგაშვილი** და **თამარ კაკაშვილი** (ბატუტზე ხტომა), ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **სლავა რეზესიძე** (სამბო), ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე** (ძალოსნობა), ამავე ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი **შოთა გოგისვანიძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული და ახალგაზრდებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ბექა ღვინიაშვილი** (ძიუდო), ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ვიცე-ჩემპიონი **ლაშა ღულელაური** (მძლეოსნობა), **თორნიკე შენგელია** (კალათბურთი), **კოტე მიქაუტაძე** (რაგბი) და **დავით თარგამაძე** (ფეხბურთი) აღიარეს, თუმცა ამ ათეულის გარდა სხვებიც დაასახელეს, რომლებმაც თავის ასაკში ასევე კარგ წარმატებებს მიაღწიეს: ახალგაზრდა ძიუდოისტებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ლაშა შავდათუაშვილი,** ევროპის ჩემპიონი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის **ვანო მამისაშვილი;** თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** და **დავით მარსაგიშვილი,** რომელიც, დამატებით, უფროსებში მსოფლიოს მესამე პრიზიორიცაა, ამავე სტილით მოჭიდავე **გენო პეტრიაშვილი,** რომელიც ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი გახდა, რასაც ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონობა დაუმატა; ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებში მსოფლიოს ჩემპიონი **რევაზ ნადარეიშვილი,** ხოლო ჭაბუკებში - ევროპის ჩემპიონი **რამაზ ზოიძე;** ჭაბუკ მოფარიკავეთა შორის მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **მიხეილ მარდალეიშვილი.**

უფროსებში 10 საუკეთესო გუნდის რჩეულებად **დიმიტრი ბასილაია** (რაგბი), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** (მშვილდოსნობა), მსოფლიოს ჩემპიონი **გენადი კვიკვინია** (მკლავჭიდი), ევროპის ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (ბერძნულ-რომაულ ჭიდაობა), მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **გია მაჭავარიანი** (ძალოსნობა), მსოფლიოს ჩემპიონი **ავთანდილ ცინცაძე** (სამბო), მსოფლიოსა და ევროპის მესამე პრიზიორი **ირაკლი ცირეკიძე** (ძიუდო), **ზაზა ფაჩულია** (კალათბურთი) და **ლევან კობიაშვილი** (ფეხბურთი) მიიჩნიეს. სამინისტრომ წლეულს პირველად დაასახელა საუკეთესო მენეჯერთა სამეული - **ბაჩო ხურციძე** (რაგბი), **მერაბ რატიშვილი** (კალათბურთი) და **არტემ სანიშვილი** (მშვილდოსნობა). მეორედ დაასახელეს მსაჯთა სამეული: **ედიშერ მაჩაიძე** (ჭიდაობა), **ვლადიმერ ნუცუბიძე** (ძიუდო), **მაკა კუპატაძე** (კალათბურთი). ასევე პირველად დაასახელეს საუკეთესო პარალიმპელი სპორტსმენი - მსოფლიოს მესამე პრიზიორი ცურვაში **ნიკოლოზ თვაური.** საუკეთესო გუნდად კალათბურთის ნაკრები სცნეს, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად - ხინჩეგაშვილი. ამჯერად მწვრთნელის ნომინაცია გამოყოფილი არ ყოფილა, თუმცა კალათბურთელთა ხორვატი დამრიგებელი **იგორ კოკოშკოვი** და მორაგბეთა შოტლანდიელი ექსთავკაცი **რიჩი დიქსონი** მაინც დაასახელეს, რადგან ისინი ქვეყნის ხელისუფლებამ „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენებით“ დააჯილდოვა. მათი დაფასებაც კარგია, მაგრამ, ვფიქრობთ, მწვრთნელის ნომინაცია ოფიციალურად უნდა ყოფილიყო, რადგან ამ უმნიშვნელოვანესი პროფესიის გარეშე არანაირი წარმატება არ იქნება. ასევე ერთგვარი სინანულით შევნიშნავთ, რომ შემაჯამებელ ღონისძიებაზე არც სპორტული მედიცინის პრობლემატიკაზე და კონკრეტულად, სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობაზე თქმულა. არადა, ამ პრობლემის მოგვარებაზე დაპირება ლამის ყოველწლიურად გვესმის. ვიმედოვნებთ, ეს საკითხი, უბრალოდ, გამორჩათ მხედველობიდან, თორემ პრაქტიკული ნაბიჯები არ დააყოვნებს.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული მედიცინა



# ექიმები სპორტის სამსახურში

წლის ბოლოს ტრადიციული შემაჯამებელი სხდომა გამართა სპორტული მედიცინის ასოციაციამ, რომელზეც შეაჯამეს წლევანდელი სეზონი და იმსჯელეს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე. დღის წესრიგში იდგა ასოციაციის პრეზიდენტ **ზურაბ კახაბრიშვილის** შემაჯამებელი მოხსენება, რამდენიმე სამკურნალო პრეპარატის კომბინირებული მოქმედების შესწავლა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ზოგადი მუშაობის უნარიანობაზე (მომხსენებელი: მედიცინის დოქტორი, პროფესორი **ლელა მასხულია**), ნოზოჰემი და ცხვირიდან სისხლდენა, რაზეც ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვალერი ახალკაცმა** ისაუბრა და საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს თავმჯდომარის, დოქტორ **პავლე კასრაძის** საანგარიშო მოხსენება.

ცხადია, ყველა ამ საკითხზე ხანგრძლივი და ამომწურავი დისკუსია გაიმართა, თუმცა კონფერენცია მხოლოდ ამ საკითხებით არ შემოფარგლულა. სამწუხაროდ, სპორტულ მედიცინას საქართველოში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება ანუ პრობლემები დასაშვებზე მეტია. აქედან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ სხვა თემებზეც საინტერესო დისკუსია გაიმართა. კიდევ ერთხელ და ვინ იცის, უკვე მერამდენედ ისაუბრეს სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე, რომელსაც არა და არ დაადგა საშველი. არადა, უცხოეთში სპორტი მედიცინის გარეშე წარმოუდგენელია. მედიცინა ქართულ სპორტშიც ასრულებს გარკვეულ როლს, ოღონდ ევროპულთან შედარებით - მიზერულს, იქ კი ეს თანამშრომლობა მეცნიერულ დონეზეა აყვანილი და დიდი ხანია გასცდა ჩვენში ჯერ კიდევ აქტუალურ პრეპარატულ-ფონეიდოსკოპურ დახმარებას.

ასევე ფართო განხილვის საგნად იქცა ბავშვთა სპორტი, როგორც დიდი სპორტის საძირკველი. ამ კონტექსტში 2015 წელს თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალიც ახსენეს და ითქვა, რომ აუცილებელია, იმ ასაკის ბავშვები ახლავე აიყვანონ გამუდმებულ სამედიცინო კონტროლზე და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი თამაშებისთვის უკეთ მომზადებაში. ცხადია, იქ რაც უფრო კარგად გამოვალთ, ეს ქვეყნის ინტერესშიცაა და გამონაკლისი არც სპორტული მედიცინის სფეროს წარმომადგენლები არიან. ასოციაცია მზადაა, სპეციალისტთა სათანადო ჯგუფებით დაეხმაროს გუნდებს.

ითქვა საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავების საჭიროებაზეც და კონკრეტული მაგალითიც დაასახელეს, როცა უკრაინიდან თანამშრომლობის თხოვნით საელჩოც კი ჩარიეს საქმეში. ლაპარაკია ახალგაზრდა ექიმების მივლინებაზე იქაურ თეორიულ სემინარზე, რაში დახმარებაც ასოციაციამ შეკრებილთ აღუთქვა. შემაჯამებელი სხდომის დასასრულს გაიმართა ტრადიციული დაჯილდოება, როცა სპორტული გუნდების სამსახურში ჩამდგარ არაერთ ექიმს, რომლებიც საზოგადოებისთვის ხშირად უცნობი არიან, დიპლომები გადასცეს.

**ირაკლი თავაძე**

კარატე

# გუნდური პირველობა და უხვი ოქრო ქართველებს

მოსკოვში დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება კარატეში 18 ქვეყნის 6-დან 20 წლამდე 800-ზე მეტი სპორტსმენის მონაწილეობით. ასეთ პრესტიჟულ ასპარეზობაზე საქართველოს სპორტული დელეგაცია, კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის **კახა ბასილიას** ხელმძღვანელობით სოლიდურად იყო წარმოდგენილი - 30 სპორტსმენი, 10 მსაჯი და 10 ოფიციალური პირი. *„ამ ჩემპიონატზეც დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა. ეს იყო ხუთჯვრიანების ნამდვილი სპორტული ზეიმი მოსკოვში. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩვენი კარატისტები მსოფლიო დონეს პასუხობენ“* - თქვა მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ დელეგაციის თავკაცმა.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის გახსნაზე, ისრაელის წარმომადგენელმა, ამ ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების აკადემიის სახელით, საბრძოლო ხელოვნებების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის კახა ბასილიას მე-8 დანი გადასცა კარატეს ამ ერთ-ერთი უმაღლესი წოდების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად.

ქართველების მიერ დამსახურებულად მოპოვებული საერთო გამარჯვება 18-20 და 16-17-წლიანებში პირველობამ; 10-11 წლებში მეორე და 14-15-წლიანებში მესამე ადგილებმა განაპირობა.

გამარჯვებულები: **შოთა გორელაშვილი, გიორგი ქარელი, გიორგი ჯიქია, დათა ბასარია, ნიკა ჩხაპელია, ლუკა თოდაძე, ნიკა ხვედელიძე, ირაკლი ბერაია, ზვიად არაბული, ზურაბ ლანიაშვილი, ნესტორ ჩიკვილაძე, ოლია ჭუმბურიძე, ნოდარ შველიძე, ნიკა მამაგულაშვილი, გიორგი ტოტიკაშვილი** (ორი I ადგილი); მეორე პრიზიორები: **გიორგი გაზაშვილი, გიორგი ბაძალუა, ზვიად არაბული, ლევან რურუა, ხვიჩა თათრიაშვილი, ნიკა მამაგულაშვილი, გიორგი გოჩიტაშვილი, ირაკლი ბერაია;** მესამე პრიზიორები: **ალექსანდრე ტყაცირია, ლევან რურუა, ხვიჩა თათრიაშვილი, გიორგი აბაშიძე, ოლია ჭუმბურიძე, ნოდარ შველიძე, გევორგ აკოფიანი, ვლადიმერ ჯენისიანი, ტიგრან მგდესიანი, გიორგი გიორგაძე, გიორგი გოჩიტაშვილი.**

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი**



## ქართული სპორტი




რუბრიკას უძღვება
ალექსანდრე ჟღენტი

# ქართული ფეხბურთი 110 წლისაა

მიმდინარე წელი და ჩვენი რუბრიკის ამ სეზონის ბოლო მასალა ეძღვნება ფილმ-ალმანახს „ქართული ფეხბურთი 110 წლისაა". ეს შემთხვევით არ ხდება - სწორედ ამ ფილმმა წლეულს მილანის სპორტული ფილმების XXIX საერთაშორისო ფესტივალზე „ღირსების ჯილდო" დაიმსახურა. ფილმი შედგება ალექსანდრე ჟღენტის 5 ფილმისგან, რომლებიც 20 წლის განმავლობაში გადაიღო. როგორც იტალიური პრესა წერდა, ამ ფილმებში ნაჩვენებია „სპორტი, როგორც დამოუკიდებლობის შემქმნელი". როგორც ფილმის რეჟისორმა აღნიშნა - შეუძლებელია ავტორმა ინტერესის თავისი ნაწარმოების უკეთესი შეფასება. მართლაც სურათში ასახულია ფეხბურთის პრიზმაში დანახული გზა თავისუფლებისაკენ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, 1990 წლის 30 მარტამდე, როდესაც **ზვიად გამსახურდიამ** ეროვნულ სტადიონზე წარმოთქვა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" ეს იყო „მართლაც ღირსსახსოვარი, ამაღელვებელი დღე. საქართველოს დამოუკიდებლობა დაიწყო ფეხბურთით და ამ ფაქტს ვერავინ გააქცევს (№74. 2007 „ლელო"). „საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო საქართველოდან, პირველი ნაბიჯი ამისა კი იყო თბილისის „დინამოს" გამოსვლა სსრკ-ს ჩემპიონატიდან. 23. V. 2011. „ნეზავისიმაია გაზეტა").

სცენარის ავტორი და რეჟისორია ალექსანდრე ჟღენტი. პროექტის ხელმძღვანელი - **მანანა არჩვაძე-გამსახურდია**. სტუდიები: „მემატიანე" და „საქტელეფილმი".






### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# ვლადიმერ აფციაური



დაიბადა 04.02.1962, მანგლისში. **ფარიკაობა**, რაპირა. სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1988), მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (1982), მეორე (1988) და სამგზის მესამე პრიზიორი (1982, 86, 90), ევროპის თასის მფლობელი გუნდურ ასპარეზობაში (1985), საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში (1984), უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1986), სსრკ ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში (1984). ქუვეითის ნაკრების (რაპირა) მთავარი მწვრთნელი (1998-იდან), მისი ხელმძღვანელობით ქუვეითელებმა ხუთჯერ გაიმარჯვეს არაბული ქვეყნების ჩემპიონატებში. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი

### სათავეები

# წყალბურთი

გუნდური თამაში წყალში ბურთით.

წყლის ფეხბურთი, წყლის რაგბი, წყლის ხელბურთი - თავდაპირველად ასე მონათლა ინგლისის საკურორტო ქალაქ ბორნმუთის ნიჩბოსანთა კლუბის წევრების მიერ გამოგონილი თამაში, რომელსაც ამჟამად ჩვენებურად წყალბურთი, ინგლისურად კი ვატერპოლო, ანუ წყლის პოლო ჰქვია. 1869 წელს ნიჩბოსანთა ვარჯიშის დროს წყალში სალაღობოდ გაჩაღებულმა ფეხბურთის ბურთით თამაშმა მალე ლონდონშიც ჩააღწია. 1874 წელს ლონდონში ჩატარდა პირველი ოფიციალური მატჩი. სწრაფად გავრცელდა ევროპის ქვეყნებსა (უნგრეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია) და აშშ-ში.

ქალები წყალბურთს XX საუკუნის დასაწყისიდან თამაშობენ. ცურვის საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1908 წელს. ფედერაციაში შექმნილია ცურვის, წყალში ხტომის, წყალბურთისა და ყვინთვის კომიტეტები. აერთიანებს 189 ქვეყნის ფედერაციას.

ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1926 წლიდან, ქალთა შორის 1985-იდან; მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის 1973-იდან, ქალთა შორის 1986-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1900-იდან კაცები, 2000-იდან ქალები.

საქართველოში წყალბურთი XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში გაიცნეს. პირველი შეჯიბრება 1927 წელს გაიმართა ბათუმში. წყალბურთს ზღვის წყალჯომარდობის სადგურებში თამაშობდნენ ბათუმში, ფოთში, სოხუმში, მოგვიანებით - თბილისში. პირველი წყალბურთელები იყვნენ მოცურავეები, მათ შორის საქართველოს მრავალგზის რეკორდსმენები - პეტრე მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია და პეტრე ბრეუსი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი მოცურავის, წყალბურთელისა და მწვრთნელ-ორგანიზატორის, ლუკა იოაკიმიდის ღვაწლი საქართველოში ამ სახეობათა განვითარებაში. მოგვიანებით ქართველმა წყალბურთელებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო, მათ შორის ოლიმპიურ სარბიელზე.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს. 1992 წელს წყალბურთი გამოეყო ცალკე ფედერაციად, ხოლო 1996 წელს, შეიქმნა საწყლოსნო სპორტის სახეობათა (ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა) კონფედერაცია, შემდგომში - ფედერაცია.

1992 წლის 24 ივლისიდან ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციისა და ევროპის საწყლოსნო ლიგის წევრია.



### იყო ასეთი შემთხვევა...

ევროპის პირველი ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში გაიმართა 1972 წელს ლატვიის დედაქალაქ რიგაში. ევროპელების გარდა მონაწილეობდნენ იაპონიის, ირანისა და მონღოლეთის ათლეტები.

როგორც ცნობილია, სამბოს ფუძემდებლებმა სპორტის ამ ახალ სახეობას საბჭოთა რესპუბლიკების ჭიდაობის ეროვნული სახეობების, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობის ილეთები დაუდეს საფუძვლად. რიგაში გამართულ ზემოხსენებულ ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე სწორედ მხოლოდ ქართული ჭიდაობის მდიდარი და მრავალფეროვანი საჭიდაო არსენალი იყო წარმოდგენილი, რაც ჩვენი სპორტის ეროვნული სახეობის უნიკალურობის აღიარება იყო.

### ჭადრაკი

# ლიდერებს მდევართა სუნთქვა ესმით

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ცნობილი ქართველი მწვრთნელის თეიმურაზ ლომაიას ტრადიციული მემორიალი, რომელშიც უფროსი ასაკის მოჭადრაკეების პარალელურად 8-12 წლის გოგო-ბიჭებიც იბრძვიან საპრიზო ადგილებისთვის. შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა. გუშინ მე-5 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. უფროსებში 4,5 ქულით ნინო ხომერიკი დაწინაურდა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვს ექვს მოჭადრაკეს (მათგან სამი გოგოა) - ანა კუჭავას, ნატა ჯიბუტს, დეა გოგიშვილს, ვეფხვია ხუბულავას, ალექსანდრე ებრალიძეს და ირაკლი კელეპტრიშვილს.

**8-წლიანებში** შესანიშნავად თამაშობენ დიანა ლომაია და გუბაზ ქუხილავა, რომლებიც გათამაშების ცხრილს უდანაკარგოდ უდგანან სათავეში. გოგონებში 4-4 ქულას მოუყარეს თავი ლალი გარსიაშვილმა, ქეთი დავითურმა, სალომე მჭედლიშვილმა და მარი მირიანაშვილმა. ვაჟებში 4,5-4,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს საბა ლომსაძე, ნიკა კაჭარავა და ლაზარე ლომსაძე ინაწილებენ.

**10-წლიან** ვაჟებში, ასევე, 5 ქულით ნიკოლოზ პეტრიაშვილი ლიდერობს. იგი ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებს გიორგი აზნარაშვილს, კოკა ბუკიას და ცოტნე მამულაიშვილს. გოგონებში 4,5 ქულით ეკატერინე ცომაია პირველობს. მეორე ადგილზე მყოფ სალომე სანიკიძეს 4 ქულა აქვს.

**12-წლიან** გოგონებში 5 ქულით ნატა ჯიბუტი დაწინაურდა ერთპიროვნულად. დალი ნანეიშვილმა 4, მარიამ თვალავაძემ და მარი ჯანიაშვილმა 3,5-3,5 ქულას მოუყარეს თავი. ვაჟებში სამხელისუფლებიანობაა - საბა ამირიძე, ნიკოლოზ ცომაია და გიორგი თავზარაშვილი 4,5-4,5 ქულით პირველ-მესამე ადგილებს ინაწილებენ.

დღეს მე-6 ტურის პარტიები გაიმართება, გამარჯვებულები და პრიზიორები კი ხვალ გამოვლინდებიან.

# თეთრებმა სამი პარტია დათმეს

იტალიურ რეჯო ემილიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა თბილისელმა დიდოსტატმა **სოფიკო გურამიშვილმა**, რომელიც ქალთა ასპარეზობის რეიტინგფავორიტია. ჩვენებურმა მე-2 ტურში შავი ფიგურებით 42-ე სვლაზე იტალიელ მარიაგრაცია დე როზას გააჩერებინა საათი. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ქალები.** მარია ბრუნელო (იტალია) - ივა ვიდენოვა (ბულგარეთი) 0,5:0,5, მარიანა ჩერიკი (იტალია) - ანა შარევიჩი (ბელარუსი) 0:1; **ვაჟები.** ანიშ გირი (ჰოლანდია) - ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 0:1, ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) - ფაბიანო კარუანა (იტალია) 0,5:0,5, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) - ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი) 0,5:0,5.

**ვაჟა დანელია**

### თარიღი

**29 დეკემბერი - 04 იანვარი, 2012 წ.**

**29. 1924 წ.** დაიბადა **გალინა შარაბიძე** (მინაიჩევა) - ტანვარჯიში.

**29. 1971 წ.** დაიბადა **მურთაზ თურქია** - სამბო.

**30. 1922 წ.** დაიბადა **ავთანდილ ღოღობერიძე** - ფეხბურთი. დაბადებიდან 90 წ. გარდაიცვალა 1980 წელს.

**31. 1915 წ.** დაიბადა **გრიგოლ გაგუა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2001 წ.

**31. 1931 წ.** დაიბადა **ავთანდილ ჭკუასელი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1994 წ.

**01. 01. 1938 წ.** დაიბადა **შოთა ქვლიაშვილი** - სასტენდო სროლა. გარდაიცვალა 2004 წელს.

**01. 01. 1947 წ.** დაიბადა **კახი ასათიანი** - ფეხბურთი. დაიღუპა 2002 წელს.

**01. 01. 1957 წ.** დაიბადა **რამაზ შენგელია** - ფეხბურთი.

**01. 01. 1974 წ.** დაიბადა **ხათუნა ქერიაშვილი** - მშვილდოსნობა.

**02. 01. 1937 წ.** დაიბადა **ვაჟა კაჭარავა** - ფრენბურთი. დაბადებიდან 75 წელი.

**02. 01. 1938 წ.** დაიბადა **ნოდარ ახალკაცი** - ფეხბურთი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1998 წელს.

**02. 01. 1948 წ.** დაიბადა **გივი ნოდია** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**02. 01. 1978 წ.** დაიბადა **დავით მუჯირი** - ფეხბურთი.

**03. 01. 1963 წ.** დაიბადა **დავით გობეჯიშვილი** - თავ. ჭიდაობა.

**03. 01. 1985 წ.** დაიბადა **სანდრო იაშვილი** - ფეხბურთი.

**04. 01. 1949 წ.** დაიბადა **ფირუზ კანთელაძე** - ფეხბურთი.

**04. 01. 1973 წ.** დაიბადა **გიორგი ანჩაბაძე** - ფეხბურთი.

### ვიქტორინა

**1. რომელ უცხოურ კლუბში თამაშობენ ქართველი მორაგბეები ვასილ კაკოვინი და დავით ხინჩაგიშვილი?**

ა - „ბაიონში"
ბ - „ბრივში"
გ - „ტულონში"

**2. რამდენჯერ დასახელდა ძალოსანი გიორგი ასანიძე საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად?**

ა - ერთხელ
ბ - ორჯერ
გ - სამჯერ

**3. რომელი წლიდან გამოდის სპორტულ სარბიელზე საბერძნეთის სახელით თავისუფალ ჭიდაობაში ემზარ ბედინეიშვილი?**

ა - 1999 წლიდან
ბ - 2002 წლიდან
გ - 2004 წლიდან

**4. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" მონაწილეობის 53-წლიან ისტორიაში, ვინ გაიტანა ბოლო, 2176-ე გოლი?**

ა - სვანაძემ
ბ - გოგიჩაიშვილმა
გ - ქეცბაიამ

**5. ვინ იყო ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაციის მედროშე?**

ა - ზურაბ ზვიადაური
ბ - გიორგი ასანიძე
გ - რამაზ ნოზაძე

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ბ, 4 - გ, 5 - ა

### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საცდელი ვარჯიშები ბატუტზე ხტომაში საქართველოში მოეწყო თბილისში კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე სპორტულ დარბაზში 1930-იან წლებში. 1941 წლიდან მოვარჯიშეებმა მუშთაიდის ბაღში გადაინაცვლეს.

**პირველმა** საქართველოს მოფარიკავეებიდან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **ნუგზარ ასათიანმა** (1965 წ.) იგი იყო აგრეთვე პირველი ვერცხლის (1961) და ბრინჯაოს (1962) პრიზიორი.

**პირველად** ჭიდაობა სამბოში ქართველი ათლეტები 1939 წელს გავიდნენ საკავშირო სპორტულ სარბიელზე. ეს იყო სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი (მოსკოვი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი NBA-ში

# ფოტოც ადასტურებს: ატლანტა დიდია, ნიუ ჯერსი - პატარა

## ზაზამ გახსნა და მოხსნა

**ზაზა ფაჩულიამ** NBA-ს ზედიზედ მეორე სეზონი გახსნა ორმაგი დუბლით. მან „ნიუ ჯერსისთან" გასვლით მატჩში ყველაზე მეტი, 11 მოხსნა მოაგროვა, ხოლო მექულე ლიდერებში მესამე ატლანტელი იყო - 13 ქულა. ზაზა მხოლოდ **ვლადიმირ რადმანოვიჩსა** (17) და **მერვინ უილიამსს** (14) ჩამორჩა. სხვათა შორის, მატჩის განაცხადში ერთბაშად ხუთი უილიამსი იყო (სახელების ჩამოთვლას არ მოვყვებით) - ოთხი „ნიუ ჯერსიში", ერთი „ატლანტაში". შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად პირველივე მეოთხედში რომ გადაწყდა (28:11), უმთავრესად ატლანტელი უილიამსის დამსახურება იყო, რომელმაც მატჩი მეტად ეფექტურად დაიწყო.

მეორე პერიოდიდან „ჰოქსის" კალათბურთელებს შეტევაში თავდაჯერებულობა კიდევ უფრო შეემატათ, დაცვაში კი მწყობრად იდგნენ და სწორედ ამის შედეგია, „ნიუ ჯერსიმ" გონს მოსვლა უკანასკნელ წამებამდე რომ ვერ მოახერხა. პირველი მეოთხედის ბოლოს მოედანზე თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ თანაგუნდელები ზაზა ფაჩულია და ვლადიმირ რადმანოვიჩი, რომელთა გარჯა გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტმა მოკლედ ასე შეაფასა: „ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს რადმანოვიჩი და ფაჩულია მთელი კარიერის მანძილზე ერთმანეთის გვერდით თამაშობდნენ". მატჩის ყველაზე ეფექტური მომენტიც ამ დუეტზე მოდის: „სერბის მშვენიერი პასით ფაჩულიამ ბურთი **შელდენ უილიამსს** დაატენა, თან ჯარიმაც მიაყოლა და „ატლანტას" ერთი შეტევით 3 ქულა შესძინა. ზაზა ფარქვეშ ჩვეულად სასარგებლო იყო, განსაკუთრებით შეტევისას: ხსნიდა და აგდებდა (8 შეტევითი მოხსნა მიითვალა)", - ამასაც „ჟურნალ კონსტიტუშენში" ვკითხულობთ.

სათაურის გამო ფოტოსაც დიდ ყურადღებას მიაქცევდით. 27-ნომრიან ატლანტელს კარგად იცნობთ. შესაძლოა, მეორეც გეცნობათ: ზაზას წინააღმდეგ „ნიუ ჯერსის" მაისურით **სანდიატა გეინსმა** ითამაშა, რომელმაც მიმდინარე, 2011-12 წლების სეზონი საქართველოს ჩემპიონატში დაიწყო - „არმიას" ღირსებას იცავდა. „ჰოქსთან" გეინსმა 19 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. ქართველთა კიდევ ერთმა ნაცნობმა („ბეშიქთაშიდან") **დერონ უილიამსმა** 25 წუთში 10 ქულა ჩააგდო.

დღეს გამთენიისას „ატლანტა" „ვაშინგტონს" უმასპინძლებდა. ამ მატჩის შესახებ ზაზა ფაჩულიამ ნიუ ჯერსიში ილაპარაკა: „სეზონის პირველ მატჩში ეფექტური გამარჯვებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. აუცილებელია ტემპის შენარჩუნება, ნიუ-ჯერსული მატჩი თვითმფრინავში ასვლისთანავე უნდა დავივიწყოთ. „ვაშინგტონთან" საკუთარი გულშემატკივრის წინაშე მოგვიწევს გამკლავება."



ზაზა ფაჩულია და სანდიატა გეინსი

| ნიუ ჯერსი-ატლანტა | 70:106 |
|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 21:17 წუთი, 13 ქულა (8-დან 5 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო), 11 მოხსნა, 1 პასი, 4 ფოლი, 3 შეცდომა.

### ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:32 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 02:18 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 10:29 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 30:15) |
| 10:00 | ორქულიანი: 4ქ (32:17) |
| 09:27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 07:50 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 07:34 | შეცდომა: 1 |
| 07:34 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 07:46 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 05:21 | პასი: 1 (ჯონსონი 3ქ, 70:41) |
| 04:39 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 |
| 04:37 | ორქულიანი: 6ქ (72:43) |
| 04:21 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:13 | ფოლი: 1 |
| 03:25 | შეცდომა: 2 |
| 03:08 | ფოლი: 2 |
| 02:40 | ფოლი: 3 |
| 00:59 | შეცდომა: 3 |
| 00:43 | ორქულიანი: 8ქ (76:55) |
| 00:43 | საჯარიმო: 1/1 (9ქ, 77:55) |
| 00:01 | მოხსნა: შეტ-4, დაც-1 |
| 00:00 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **IV პერიოდი** | |
| 11:35 | მოხსნა: შეტ-5, დაც-1 |
| 11:35 | ორქულიანი: 11ქ (79:55) |
| 11:10 | მოხსნა: შეტ-5, დაც-2 |
| 10:35 | მოხსნა: შეტ-5, დაც-3 |
| 10:19 | მოხსნა: შეტ-6, დაც-3 |
| 10:18 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:17 | მოხსნა: შეტ-7, დაც-3 |
| 10:16 | ორქულიანი: 13ქ (84:55) |
| 08:21 | მოხსნა: შეტ-8, დაც-3 |
| 07:51 | ფოლი: 4 |
| 06:27 | სტეკჰაუსმა ზაზა შეცვალა |

# 50-ე დუბლის მოლოდინში

სათაურს აქვე განვიმარტავთ: NBA-ში სულ 59 ქართული „დაბლ-დაბლია" შესრულებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენიანები 59 მატჩში ასცდნენ (ერთდროულად) 10-ქულიან და 10-მოხსნიან ნიშნულს. **ზაზა ფაჩულიას** 49 ორმაგი დუბლი აქვს, ხოლო **ვლადიმერ სტეფანიას** - 10. **ნიკა ცქიტიშვილს** 10 მოხსნაც შეუსრულებია და 17 ქულამდეც ასულა, მაგრამ ერთ მატჩში ორივე მაჩვენებლით 10-ისთვის არ გადაუბიჯებია. ამიტომ ამერიკაში დაბლ-დაბლი არ აქვს.

ბოლო ქართულ დუბლზე ამავე გვერდზე წაიკითხავდით - ფაჩულიამ „ნიუ ჯერსისთან" 13 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. NBA-ში ჩვენიანის პირველი ორმაგი დუბლი კი 12 წლის წინათ დაფიქსირდა: ვლადიმერ სტეფანიამ 1999 წლის 4 აპრილს „სიეტლის" მაისურით 17 ქულა, 10 მოხსნა მოაგროვა და თანაგუნდელებს „დალასთან" 110:100 მოაგებინა.

მას მერე ვოვამ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და 2002 წლამდე ისეთ გუნდს ეძებდა, სადაც ნდობას გამოუცხადებდნენ და სათამაშო დროს მისცემდნენ. ასეთი **პატ რაილის** „მაიამი ჰიტი" აღმოჩნდა, რომელშიც სტეფანიამ საკუთარი შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად კარგად გამოავლინა და 9 დუბლი შეასრულა.

სტეფანიამ კარიერა 2004 წელს დაასრულა, 2003-ში კი NBA-ში ფაჩულია მოხვდა და ესტაფეტა ღირსეულად გადაიბარა. მას „ორლანდოში" არ ენდობოდნენ, პირველი დაბლ-დაბლი „მილუოკის" მაისურით 2005 წელს მიითვალა, მაშინაც „ნიუ ჯერსისთან" გამოიდო თავი - 14 ქულა, 12 მოხსნა. იმავე წელს „ატლანტაში" გადავიდა, სასტარტო ცენტრადაც იქცა და დუბლების სარეკორდო რაოდენობაც 2005-06 წლების სეზონზე მოდის - 21.

## ზაზა ფაჩულიას 49

**2011-12**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 27 დეკემბერი | ნიუ ჯერსი-ატლანტა 70:106 | 13 | 11 |

**2010-11**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 8 აპრილი | ინდიანა-ატლანტა 114:102 | 10 | 11 |
| 1 აპრილი | ატლანტა-ბოსტონი 88:83 | 15 | 10 |
| 16 მარტი | ატლანტა-დენვერი 87:102 | 19 | 10 |
| 27 ოქტომბერი | მემფისი-ატლანტა 104:119 | 17 | 10 |

**2009-10**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 31 მარტი | ატლანტა-ლეიკერსი 109:92 | 10 | 10 |

**2008-09**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 27 აპრილი | მაიამი-ატლანტა 71:81 | 12 | 18 |
| 19 აპრილი | ატლანტა-მაიამი 90:64 | 10 | 10 |
| 29 მარტი | ატლანტა-ლეიკერსი 86:76 | 11 | 13 |
| 10 თებერვალი | ატლანტა-ვაშინგტონი 111:90 | 11 | 12 |
| 13 იანვარი | ფინიქსი-ატლანტა 107:102 | 10 | 11 |
| 6 დეკემბერი | დალასი-ატლანტა 100:98 | 13 | 12 |

**2007-08**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 19 თებერვალი | ლეიკერსი-ატლანტა 122:93 | 12 | 12 |
| 14 დეკემბერი | დეტროიტი-ატლანტა 91:81 | 10 | 11 |

**2006-07**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 10 აპრილი | ატლანტა-ბოსტონი 104:96 | 22 | 12 |
| 25 მარტი | ატლანტა-დალასი 97:104 | 14 | 13 |
| 13 მარტი | ატლანტა-ფილადელფია 104:92 | 15 | 10 |
| 10 მარტი | ატლანტა-მინესოტა 99:93 | 16 | 14 |
| 7 მარტი | ატლანტა-ვაშინგტონი 100:97 | 27 | 12 |
| 21 თებერვალი | ატლანტა-სან ანტონიო 96:103 | 23 | 10 |
| 14 თებერვალი | კლიპერსი-ატლანტა 93:96 | 15 | 12 |
| 9 თებერვალი | ფინიქსი-ატლანტა 111:120 | 10 | 11 |
| 22 დეკემბერი | ატლანტა-ინდიანა 90:100 | 10 | 14 |
| 1 დეკემბერი | ატლანტა-კლივლენდი 95:106 | 20 | 11 |
| 29 ნოემბერი | ატლანტა-შარლოტი 99:90 | 12 | 13 |
| 18 ნოემბერი | ატლანტა-მაიამი 88:93 | 12 | 11 |
| 1 ნოემბერი | ფილადელფია-ატლანტა 88:75 | 15 | 12 |

**2005-06**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 15 აპრილი | მილუოკი-ატლანტა 114:120 | 16 | 10 |
| 12 აპრილი | ატლანტა-ჩიკაგო 90:96 | 12 | 10 |
| 9 აპრილი | მინესოტა-ატლანტა 84:83 | 13 | 12 |
| 26 მარტი | ორლანდო-ატლანტა 108:101 | 16 | 12 |
| 20 მარტი | დეტროიტი-ატლანტა 91:84 | 11 | 11 |
| 19 მარტი | ატლანტა-ორლანდო 108:107 | 13 | 18 |
| 17 მარტი | ატლანტა-იუტა 101:111 | 19 | 15 |
| 7 მარტი | ატლანტა-გოლდენ სტეიტი 113:106 | 11 | 10 |
| 27 თებერვალი | ატლანტა-ნიუ ჯერსი 104:102 | 14 | 12 |
| 18 იანვარი | ატლანტა-დეტროიტი 89:117 | 11 | 10 |
| 18 დეკემბერი | ატლანტა-დენვერი 110:107 | 15 | 13 |
| 10 დეკემბერი | ატლანტა-სან ანტონიო 94:84 | 19 | 13 |
| 2 დეკემბერი | ატლანტა-ტორონტო 101:102 | 11 | 14 |
| 30 ნოემბერი | ატლანტა-მაიამი 74:96 | 17 | 11 |
| 27 ნოემბერი | ატლანტა-პორტლენდი 75:77 | 15 | 10 |
| 23 ნოემბერი | ატლანტა-ბოსტონი 120:117 | 19 | 13 |
| 18 ნოემბერი | ნიუ ორლეანი-ატლანტა 95:92 | 10 | 14 |
| 17 ნოემბერი | დალასი-ატლანტა 87:78 | 21 | 12 |
| 12 ნოემბერი | ატლანტა-მემფისი 84:85 | 10 | 12 |
| 10 ნოემბერი | ატლანტა-კლიპერსი 95:102 | 16 | 13 |
| 2 ნოემბერი | გოლდენ სტეიტი-ატლანტა 122:97 | 13 | 12 |

**2004-05**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 23 თებერვალი | მილუოკი-ნიუ ჯერსი 100:81 | 14 | 12 |



## ვლადიმერ სტეფანიას 10

**2002-03**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 2 აპრილი | ბოსტონი-მაიამი 90:62 | 10 | 11 |
| 31 მარტი | მაიამი-მილუოკი 86:91 | 11 | 13 |
| 11 მარტი | კლივლენდი-მაიამი 75:77 | 13 | 11 |
| 12 იანვარი | ლეიკერსი-მაიამი 106:81 | 10 | 12 |
| 1 იანვარი | ატლანტა-მაიამი 73:107 | 16 | 13 |
| 27 დეკემბერი | მაიამი-ბოსტონი 90:70 | 14 | 14 |
| 20 ნოემბერი | დეტროიტი-მაიამი 79:68 | 12 | 13 |

**2001-02**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 20 ნოემბერი | მაიამი-მინესოტა 73:80 | 11 | 12 |
| 16 ნოემბერი | მაიამი-ნიუ ორლეანი 87:96 | 19 | 12 |

**1998-99**

| თარ | მატჩი | ქულ. | მოხ. |
|---|---|---|---|
| 4 აპრილი | სიეტლი-დალასი 110:100 | 17 | 10 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიარება



# მამუკა გორგოძე საუკეთესოა

საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს“ მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.

გორგოძის ეს აღიარება, ცხადია, კანონზომიერი იყო. წლეულს მან შესანიშნავად იასპარეზა როგორც „ბორჯღალოსანთა“ რიგებში, ისე საფრანგეთის ჩემპიონატში. მამუკა ფრანგულმა მედიამ, ჯერ სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“, ხოლო მერე, ოდნავ მოგვიანებით ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელ მორაგბედ დაასახელა.

მსოფლიოს თასის გათამაშებისას კი, ჯგუფურ ეტაპზე, ის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

უკვე ტენდენციად ყალიბდება - 2010 წელს საუკეთესო სპორტსმენად **დავით ზირაქაშვილი** აღიარეს, წლეულს კი - მამუკა გორგოძე. ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენს მონპელიეში დავუკავშირდით.

- ცხადია, ძალიან გახარებული ვარ. სპორტსმენისთვის ამაზე დიდი ჯილდო, როცა საუკეთესოდ შენი ქვეყანა გაღიარებს, სხვა რა უნდა იყოს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

**- როგორ გაიხსენებთ წლევანდელ სეზონს? რას ფიქრობთ, რატომ დაგასახელეს საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად?**

- წლეულს მართლაც შესანიშნავი სეზონი მქონდა. ასე არასდროს მითამაშია. თან ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. საფრანგეთის ჩემპიონატში, „მონპელიეს“ ისტორიაში პირველად გავედით ფინალში. გაზეთებმა „ეკიპმა“ და მიდი ოლიმპიკმა“ საუკეთესო ლეგიონერად დამასახელეს. მოგვიანებით, მსოფლიოს თასზე ვითამაშეთ და ოთხიდან ორ მატჩში საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს. არ ვიცი, ალბათ, სწორედ ყოველივე ამის გამო აღიარეს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად.

**- წლევანდელი სეზონი მიილია. საერთო აღიარებით ის წარმატებული იყო ქართული რაგბისთვის, რაზეც თუნდაც თქვენი ეს გამარჯვება მეტყველებს. რას ჰპირდებით რაგბის ქართველ ქომაგებს?**

- რამდენადაც ეს ამბავი კარგია, იმდენად ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლოა. უფლება არ მაქვს სამომავლოდ თუნდაც ერთი მატჩი ჩავაგდო. რომ ვთქვა, უფრო მეტად მოვინდომებ-მეთქი, არ იქნება სწორი, მე არც აქამდე დამიზოგავს არასდროს თავი ნაკრებში თუ კლუბში თამაშისას.

**- მომავალი წლიდან მორიგი, ახალი ოთხწლიანი ციკლი იწყება. ეროვნულ ნაკრებს ახლა ახალზელანდიელი მწვრთნელები ჰყავს. რა იცით მათზე და როგორი იქნება ჩვენი ეროვნული გუნდის მომავალი?**

- ახალ მწვრთნელებს არ ვიცნობ, თუმცა აქ, საფრანგეთში ახალზელანდიელ მორაგბეებს დავეკითხე და ყველამ აქო, კარგი მწვრთნელები არიანო. მომავალი წელი, მართალია, მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო არ არის, მაგრამ ინგლისის მსოფლიოს თასისთვის მზადება ხვალიდანვე უნდა დავიწყოთ.

პირველი თამაში ერთა თასზე უკრაინაში გვაქვს და, ვფიქრობ, იქ შესუსტებული შემადგენლობით არ უნდა გავემგზავროთ. ყველა თამაში, ნებისმიერ მეტოქესთან გუნდის შენებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ წაგება, ვისთანაც უნდა იყოს, არ შეიძლება, თორემ ეს სიმწრით, დიდი შრომითა და ჯაფით მოპოვებული ქართული რაგბის ავტორიტეტი საპნის ბუშტივით გაქრება.

გამოკითხვა

# ოქროს პერგამენტი საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს

საქართველოში მოქმედი საკონსულტაციო კვლევითი ჯგუფის GPG-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვის შედეგად სპეციალური პრიზი „ოქროს პერგამენტი“, წლის საუკეთესო გუნდის ნომინაციაში, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს გადაეცა.

გამოკითხვაში 2986 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. რეგიონების მიხედვით გამოკითხულთა ოდენობა ასე განაწილდა: თბილისი - 42%, კახეთი - 9%, ქვემო ქართლი - 6%, იმერეთი - 10%, სამეგრელო - 10%, გურია - 3%, მცხეთა მთიანეთი - 3%, აჭარა - 10%.

გამოკითხულთა შორის 53 პროცენტი ქალი იყო, დანარჩენი კი - მამაკაცი.

გამოკითხვის ნომინანტები იყვნენ **მერი არაბიძე** (ჭადრაკი), **დავით მარსაგიშვილი** (ჭიდაობა), **მამუკა გორგოძე** (რაგბი), **ლევან კობიაშვილი** (ფეხბურთი), **ვიქტორ სანიკიძე** (კალათბურთი), ასევე საქართველოს მორაგბეთა და კალათბურთელთა ნაკრებები.

ლეგიონერები

# ტულუზი, ვარსკვლავების ნამდვილი სამჭედლო

საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭმა **აქვსენტი გიორგაძემ** ფრანგული რაგბის გრანდ „ტულუზთან“ ხელშეკრულება გააფორმა - ჩვენებური საფრანგეთის ჩემპიონის შემადგენლობაში სეზონის ბოლომდე ითამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ „გლობუსა“ 35 წლისაა, მიაჩნია, რომ შესანიშნავი შანსი მიეცა, კარიერა გაიხანგრძლივოს.

ქართველი მორაგბის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ჩარიცხვამ, ცხადია, ფრანგულ, და არა მარტო ამ ქვეყნის სპორტულ მედიაში აჟიოტაჟი გამოიწვია. ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ უმალ გამოაქვეყნა გიორგაძესთან ინტერვიუ.

**- „ტულუზთან“ კონტრაქტი უკვე გააფორმეთ. ვფიქრობთ, ეს თქვენს კარიერაში უბრალო ამბავი არ უნდა იყოს...**

- „ტულუზის“ ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ დამიკავშირდნენ, მაგრამ მაშინ ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოვახერხეთ, რადგან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასზე უნდა მეასპარეზა. ამაზე უარს ვერაფრით ვიტყოდი.

თუმცა კონტაქტი ახალი ზელანდიიდან დაბრუნების შემდეგაც არ გაგვიწყვეტია. ახლა, როცა გარი ბოთა დაშავდა, უმალვე დამიკავშირდნენ. ჩავაბარე ფიზმომზადების ტესტი, რომელიც დადებითი აღმოჩნდა და სადილის შემდეგ კონტრაქტიც გავაფორმეთ.

**- გამოდის, ძალიან გაგიმართლათ, სამხრეთაფრიკელი რომ დაშავდა...**

- შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ „ტულუზს“ მაინც სჭირდებოდა ერთი შერკინების კვაჭი. ცხადია, ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის კვართი უნდა ვატარო. ახლა საჭიროა, რაც შეიძლება ბევრი ვივარჯიშო, საქმეს სერიოზულად მივუდგე და ეს ნდობა, რომელიც „ტულუზის“ ხელმძღვანელებმა გამომიცხადეს, გავამართლო.

**- ფიზიკური მზადყოფნა როგორი გაქვთ, შეძლებთ ელიტარული, პირველი დივიზიონის დატვირთვებს გაუძლოთ?**

- მსოფლიოს თასის გათამაშებიდან რომ დავბრუნდი, ერთი ხანობა უგუნდოდ ვიყავი, თუმცა ვარჯიში არასდროს შემიწყვეტია. მერე ფედერალ 2 დივიზიონებში მოასპარეზე „მაზამეში“ ვთამაშობდი. იქ კვირაში სამჯერ გვქონდა ვარჯიში და მატჩს უქმეებზე ვმართავდით. მინდა მადლობა გადავუხადო „მაზამეს“ მორაგბეებსა და ხელმძღვანელებს, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწიეს, რათა სპორტული ფორმა შემენარჩუნებინა.

**- რა ამბიციები გაქვთ“ტულუზთან“ დაკავშირებით?**

- „კასტრში“ ბოლო წელიწადი, ფაქტობრივად არ მითამაშია. არ მინდოდა რაგბიდან ასე უხმაუროდ წასვლა. მსურს კარიერა ამაღლებულ ნოტზე დავასრულო. „ტულუზთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მინდა მაღალ დონეზე კიდევ ერთი წელიწადი ვითამაშო. „ტულუზმა“ კარიერის გახანგრძლივების შესანიშნავი შანსი მომცა. ერთ სეზონს კიდევ აუცილებლად ვითამაშებ, ოღონდ სად, ჯერ არ ვიცი.



აქვსენტი გიორგაძე

დისკვალიფიკაცია

# ერთი მატჩის ოთხი დაზარალებული

საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა „მონპელიეს“ მეორეხაზელი **ტიბო პრივა** და „ტულუზის“ შერკინების კვაჭი **ვილიამ სერვა** 11 იანვარს ამ კომიტეტის ტრიბუნალზე დაიბარა.

რამდენიმე დღის წინ ფრანგულ მედიაში „ტულუზის“ თავკაცმა **გი ნოვემ** აურზაური ატეხა მონპელიელის საქციელის გამო. „ტულუზისა“ და **მამუკა გორგოძის**, **გიორგი ჟღენტის**, **მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** მონპელიესთან მატჩში, პრივა მეტოქის მორკინალ **იანიკ ბრუს** განზრახ ბინძურად ეთამაშა და სამხრეთაფრიკელს ტრავმა მიაყენა.

მატჩის არბიტრმა პრივას მოედანი ათი წუთით დაატოვებინა, თუმცა გი ნოვემ ეს საკმარისად არ მიიჩნია და მისი დისკვალიფიკაციით დასჯა მოითხოვა.



*„ტიბო პრივამ ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. მან განზრახ ბინძურად ითამაშა. შედეგად იანიკ ბრუმ სერიოზული ტრავმა მიიღო. ვფიქრობ, ის გაცილებით მეტ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე მოედნის ათი წუთით დატოვებაა.“* - თქვა გი ნოვემ.

მას მატჩის კომისარიც დაეთანხმა, რის საფუძველზეც სადისციპლინო კომიტეტმა პრივა თავისთან იხმო საქმის ვითარებაში გასარკვევად.

პრივასთან ერთად განიხილავენ „ტულუზის“ შერკინების კვაჭის ვილიამ სერვას საქმესაც. ტულუზელმა იმავე შეხვედრაში, ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან 20 წუთის შემდეგ პრივას დაარტყა, რისთვისაც არბიტრმა ასევე სინბინში გაუშვა. გამორიცხული არ არის, ორივე მორაგბე მკაცრად დაისაჯოს.

მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული გარი ბოთას ნაცვლად „ტულუზმა“ ქართველი **აქვსენტი გიორგაძე** მიიწვია, სერვას დანაკლისი ამ გუნდისთვის საგრძნობლად დიდი იქნება. აღსანიშნავია, რომ „ტულუზში“ ჩვენებურთან ერთად სულ სამი შერკინების კვაჭია, აქედან ერთი, როგორც უკვე ვთქვით, დაშავებულია, მეორეს დიკვალიფიკაცია ემუქრება. ასე რომ, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი აქვსენტი გიორგაძის იმედადღა დარჩება.

არანაკლებ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება „მონპელიეც“, რომელსაც ტრავმირებული მოთამაშეების რიცხვი მატჩიდან მატჩამდე ეზრდება. არადა, ჩვენებურთა გუნდს 31 დეკემბერს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის შინ უშუალო კონკურენტ „მეტრო რასინგთან“.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კალათბურთი

# TOP16 განაწილდა

გუშინ, ბარსელონაში გაიმართა ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრა. TOP16-ის მონაწილეები ოთხ ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

**E ჯგუფი**
ცსკა
ოლიმპიაკოსი
ეფესი
გალათასარაი

**F ჯგუფი**
რეალი
მონტეპასკი
უნიკახა
ბილბაო

**G ჯგუფი**
ფენერბაჰჩე
პანათინაიკოსი
უნიქსი
მილანი

**H ჯგუფი**
ბარსელონა
მაკაბი
კანტუ
ჟალგირისი

მეორე ჯგუფური ეტაპი 18 იანვარს დაიწყება და პირველ მარტს დასრულდება. ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა მეოთხედფინალში.

# ვეტერანები ბრუნდებიან

ორმა ვეტერანმა კალათბურთელმა მოისურვა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნება. 38 წლის ცენტრი **გრეგ ოსტერტაგი** და 32 წლის ფორვარდი **რიკი დევისი** D ლიგის კლუბებში მოეწყვნენ. ისინი ფორმის დაბრუნებასა და NBA-ის რომელიმე კლუბისგან წინადადების მიღებას იმედოვნებენ.

ოსტერტაგი, რომელმაც „იუტასა" და „საკრამენტოში" გატარებული 11 სეზონის შემდეგ 2006 წელს დაასრულა კარიერა, „ტექსას ლეჯენდსში" ითამაშებს.

დევისმა იანვარში ხელი მოაწერა კონტრაქტს ფრანგულ „როანთან". ბოლოს მან NBA-ში 2008-09 წლების სეზონში ითამაშა, როცა „კლიპერსის" შემადგენლობაში ირიცხებოდა. „მაიამის", „შარლოტის", „კლივლენდის", „ბოსტონისა" და „მინესოტას" ყოფილი კალათბურთელი „სელტიქსის" ფარმკლუბში - „მეინ რედ კლოუზში" ჩაირიცხა.


გრეგ ოსტერტაგი

NBA რეგულარული ჩემპიონატი


ნორის კოული

# დებიუტანტის დიდების წუთები

რეგულარული ჩემპიონატის მესამე დღის ცენტრალური შეხვედრა იყო „მაიამისა" და „ბოსტონს" შორის. **პოლ პირსის** არყოფნაშიც „კელტებმა" დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს, რომლებთანაც ზედიზედ ხუთი მატჩი ჰქონდათ წაგებული. „ბოსტონისთვის" სამწუხაროდ, ეს სერია გუშინ გაგრძელდა.

პრაქტიკულად მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა „ჰიტის" „დიდი ტრიო". **უეიდი** და **ჯეიმსი** ფანტასტიკურ ტემპს ავითარებდნენ, კარგად მოქმედებდნენ დაცვაში და ფანტაზია არ აკლდათ შეტევაში. „ბოსტონი" ვერ ასწრებდა სამხრეთელების დაწევას, რომლებიც შორიდან და საშუალო მანძილებიდან სროლებს სამწამიანში რეიდებს უნაცვლებდნენ.

„მაიამი" ამ მატჩში მხოლოდ ერთხელ აგებდა და ეს მხოლოდ 14 წამი გაგრძელდა საწყის წუთებში. **რონდოსა** და **ალენის** წყვილს თუ არ ჩავთვლით, „ბოსტონი" ამჯერად უფრო უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე „ნიუ იორკთან" სეზონის გახსნის მატჩში. ასეთი გამოცდილი გუნდისთვის 24 შეცდომა - კატასტროფული მაჩვენებელია. გასაკვირი არ არის, რომ რეაქტიულმა „ჰიტმა" ეს შეცდომები 33 ქულაში გარდასახა.

და მაინც, ამ შეხვედრას საინტერესო დასასრული ჰქონდა და „სელტიქსმა" კინაღამ სასწაული ჩაიდინა. საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე მასპინძლების უპირატესობა 10 ქულა იყო, როცა „კელტებმა" მომდევნო 59 წამის განმავლობაში ზედიზედ შვიდი ქულა დააგროვეს - შვიდივე „ჰიტის" ყოფილი მოთამაშის **კენიონ დულინგის** ანგარიშზე იყო. უფრო მეტიც, სტუმრებმა „მაიამის" შემდეგი შეტევის მოგერიება შეძლეს და ისევ დულინგის ძებნა დაიწყეს, მაგრამ მისი მისამართით გაგზავნილი პასი უეიდმა ჩაჭრა. შემდეგ იყო დებიუტანტ **ნორის კოულის** ორი მნიშვნელოვანი ზუსტი ტყორცნა საშუალო მანძილიდან, რომელმაც „მაიამის" მეორე გამარჯვება მოუტანა. „ბოსტონმა" კი პირიქით, ორი წაგებით დაიწყო ჩემპიონატი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კოულის თამაში. ბოლო წამებზე ჯარიმების შესრულებისას, ფეხზე ამდგარი მაყურებელი მისი მისამართით სკანდირებდა: „M-V-P! M-V-P!" *„სწორედ ასეთი წამებისთვის ცხოვრობ და იზრდები"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ 23 წლის გამთამაშებელმა, რომელიც წლევანდელ დრაფტზე 28-ე ნომრად აირჩიეს. ამ ბიჭმა დაიმსახურა თავისი 12-წუთიანი დიდება. ბოლო მეოთხედში მან 14 ქულა მიითვალა და სტუმრებს თამაშის გადარჩენის შანსი არ მისცა.

■ ■ ■

პირველი გამარჯვება მოიპოვა „ლეიკერსმა", თუმცა ეს ისედაც მოსალოდნელი იყო. არავის ეგონა, რომ კალიფორნიელები, პირველად 33 წლის განმავლობაში, სეზონის სტარტზე ზედიზედ მესამე თამაშს წააგებდნენ. ამას მარტივი ახსნა ჰქონდა - „იუტას" ლოს ანჯელესში თამაში არასოდეს გამოსდიოდა - ბოლო 28 მატჩში „ჯაზმენებმა" აქ 25-ჯერ წააგეს. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა აღმოჩნდა.

„ლეიკერსმა" მეორე და მესამე მეოთხედში განხორციელებული გაქცევის წყალობით დამაჯერებლად გაიმარჯვა, „იუტამ" კი ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, რადგან ფაქტობრივად მთელმა გუნდმა ჩააგდო თამაში. შეტევა ძალიან სუსტად გამოიყურებოდა და განსაცვიფრებელი იყო „ჯაზის" მხრიდან ფარქვეშ დაშვებული შეცდომების რაოდენობა. ასე რომ, ჯერ რთული სათქმელია - „ლეიკერსმა" მოუმატა ორი წაგების შემდეგ თუ „იუტაა" ძალიან სუსტი.

„მინესოტას" ისევ მცირედი არ ეყო სეზონში პირველი გამარჯვების მისაღწევად. „მგლებმა" სტუმრად „მილუოკის" წინააღმდეგ მოახერხეს 20-ქულიანი ჩამორჩენის ხუთ ქულამდე დაყვანა, მაგრამ „ირმების" დებიუტანტის **ჯონ ლურის** თავგანწირულმა თამაშმა ხაზი გადაუსვა „მინესოტას" ლიდერის **კევინ ლავის** მონდომებას. ამ უკანასკნელმა კარიერაში მეხუთედ დააგროვა ერთ მატჩში მინიმუმ 30 ქულა და 20 მოხსნა. სტუმრები თავიანთი მთავარი მწვრთნელის **რიკ ადელმანის** გარეშე თამაშობდნენ, რომელიც სიდედრის დაკრძალვაზე იმყოფებოდა. მისი ადგილი **ტერი პორტერმა** დაიკავა, მაგრამ ეს ფაქტორი არ გამხდარა „მგლების" მარცხის მიზეზი. ეს გუნდი მატჩის ბოლოს კარგავს კონცენტრაციას. შარშან, „ტიმბერვულვზმა" თამაშების დიდი ნაწილი ბოლო წუთებზე წააგო და ახალ სეზონშიც უკვე ზედიზედ მეორე შეხვედრაში ბოლო წამს გაუშვა ხელიდან გამარჯვება.

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 70:106**

**11:28, 19:24, 25:25, 15:29**

**ნ-ჯ:** ბრუქსი (17), ჰემფრიზი (11+6 მოხსნა), უილიამსი (10), გეინსი (8).

**ა:** რადმანოვიჩი (17+5 პასი+4 ჩაჭრა), უილიამსი (14+9 მოხსნა), ფაჩულია (13+11 მოხსნა), ტიგი (13), მაკგრეიდი (12), ჯონსონი (11), ჰორფორდი (8).

**მაიამი-ბოსტონი 115:107**

**30:27, 39:27, 22:29, 24:24**

**მ:** ჯეიმსი (26+6 მოხსნა+5 პასი), უეიდი (24+8 პასი+4 დაფარება), კოული (20+3 ჩაჭრა), ბოში (18+11 მოხსნა), ჯონსონი (9).

**ბ:** ალენი (28), რონდო (22+8 მოხსნა+12 პასი), დულინგი (18), ბასი (13+5 მოხსნა), გარნეტი (12+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), დენიელსი (9).

**მილუოკი-მინესოტა 98:95**

**32:30, 28:18, 19:20, 19:27**

**მილ:** ჯენინგსი (24+7 პასი), ჯექსონი (16+5 მოხსნა), ბოგუტი (15+9 მოხსნა), ლური (14+8 მოხსნა), უდრიხი (8)

**მინ:** ლავი (31+20 მოხსნა), რიდნური (17), ბიზლი (15+7 მოხსნა), ბარეა (9), ჯონსონი (8).

**პორტლენდი-საკრამენტო 101:79**

**23:25, 23:21, 28:19, 27:14**

**პ:** უოლასი (25+8 მოხსნა+5 პასი), ოლდრიჯი (24+8 მოხსნა), ბატუმი (15+5 მოხსნა), მეტიუზი (8+5 მოხსნა).

**ს:** კაზინსი (16+11 მოხსნა), ტორნტონი (14), ტომპსონი (11), ჰიქსონი (10+5 მოხსნა), ფრედეტე (10), ჰეიესი (4+11 მოხსნა).

**ლეიკერსი-იუტა 96:71**

**18:17, 23:14, 30:15, 25:25**

**ლ:** ბრაიანტი (26+8 მოხსნა+5 პასი), გასოლი (22+9 მოხსნა+5 დაფარება), უორლდ პისი (14+5 მოხსნა), ფიშერი (9), ბლეიკი (8).

**ი:** მილსეპი (18+8 მოხსნა), ჰოვარდი (10) ფეივორსი (8+6 მოხსნა), ჯეფერსონი (4+10 მოხსნა), კანტერი (5+11 მოხსნა).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პიტსბურგის რეკორდი

შვიდი მატჩით გაგრძელდა ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი. აღმოსავლეთის ერთ-ერთი ლიდერი „პიტსბურგი" საკუთარ მოედანზე ხვდებოდა „კაროლინას". „პინგვინებმა" ამ მატჩში სეზონის რეკორდი დაამყარეს - 52-ჯერ ზუსტად დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით. შესაბამისად, სტუმართა კარის დარაჯს **ჯასტინ პიტერსს** დიდი სამუშაო ჰქონდა და საბოლოოდ, 48 დარტყმა მოიგერია.

ასეთი კოლოსალური უპირატესობის მიუხედავად, „პიტსბურგი" კარგა ხანი მდევრის როლში იყო. პირველ პერიოდში „კაროლინა" **ბრენტმა** დააწინაურა და მხოლოდ მეორე პერიოდის მერვე წუთზე შეძლეს მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება - თავი გამოიჩინა „პინგვინზის" საუკეთესო სნაიპერმა **ჯეიმს ნილმა**, რომელმაც სეზონში 21-ე შაიბა გაიტანა.

მასპინძლებმა საბოლოოდ მესამე პერიოდის დასაწყისში გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა - საწყის რვა წუთში პიტერსის კარში სამი შაიბა შევარდა და ანგარიში 4:1 გახდა. „პიტსბურგმა" ოთხ მატჩამდე აიყვანა მოგებათა სერია და ორ ქულამდე მიუახლოვდა აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერ „რეინჯერსს".

პლეი ოფის ზონაში მყოფი გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს ფლორიდაში. ადგილობრივი „პანტერზი" „ტორონტოს" მასპინძლობდა. „ფლორიდა" საკუთარი დივიზიონის ლიდერია და ამ პოზიციის გამყარებას ლამობს. ამ მხრივ, მან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

„პანტერები" მუდმივად წინ იყვნენ. პირველი პერიოდი **გუდბრანსონის** გოლით მოიგეს. მართალია, მეორე პერიოდში „ტორონტომ" **გრაბოვსკის** გოლით აღადგინა თანაფარდობდა, მაგრამ იქვე მასპინძლებმა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს მეტოქეს, როცა ოთხი წუთის ინტერვალით სამი შაიბა გაიტანეს კანადელთა კარში და ანგარიში 4:1 გახდა.

ამის შემდეგ „ტორონტომ" მეკარე შეცვალა და მისი საქმეები გამოსწორდა. **ფანოფმა** და **გრაბოვსკიმ** მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ გრაბოვსკის შაიბას ორ წუთში **ფლიშმანის** გოლი მოჰყვა და 5:3-ზე პრაქტიკულად მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

მოულოდნელად ძალიან იოლად დამარცხდა სტუმრად „ტამპა ბეის" წინააღმდეგ აღმოსავლეთის ერთ-ერთი ლიდერი „ფილადელფია". „მფრინავებმა" მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა მეტოქეს, როცა **ჟერვეს** გოლს **ჰარტნელის** შაიბით უპასუხეს და საწყისი 20 წუთი ფრედ დასრულდა. არადა, ამ პერიოდში „ფილადელფიამ" 17 ზუსტი დარტყმა შეასრულა, „ტამპამ" მხოლოდ - ოთხი.

სამაგიეროდ, სტუმრებმა მეორე პერიოდი ჩააგდეს - 10 წუთის განმავლობაში ერთი დარტყმაც ვერ შეასრულეს და ამით კარგად ისარგებლა „ტამპა ბეიმ". მასპინძლებმა ამ 20 წუთში სამი შაიბა გაიტანეს, მათ შორის ორი **სტივენ სტემკოსის** ანგარიშზეა, რომელსაც 22 გოლი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა სეზონის საუკეთესო სნაიპერს **მარიან გაბორიკს**.

მესამე პერიოდში მხოლოდ ერთი შაიბა გავიდა და ისიც „ტამპას" ანგარიშზეა. მასპინძლებმა მხოლოდ 16-ჯერ დაურტყეს მეტოქეს და მაინც მოახერხეს 5:1 გამარჯვება. თუმცა ეს გუნდი მე-13 ადგილზეა აღმოსავლეთში და ჯერ ბევრი აშორებს პლეი ოფის ზონას. „ფილადელფიამ" კი კონფერენციაში ლიდერობის დაბრუნების შანსი გაუშვა ხელიდან.

სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „დეტროიტისა" და „სენტ ლუისის" შეხვედრას. „ბლუზმენები" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებდნენ გუშინდელ მეტოქეს და დასავლეთში მეოთხე ადგილის შენარჩუნებას ლამობდნენ.

სტუმრებისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა. **დ'აგოსტინიმ** პირველ პერიოდში გახსნა ანგარიში, ხოლო მეორეში **სტინმა** განამტკიცა „სენტ ლუისის" უპირატესობა. თითქოს მეორე 20-წუთეული 2:0 უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლო წუთზე ლეგენდარულმა **ლიდსტრიომმა** ერთი საპასუხო შაიბა გაიტანა და მესამე პერიოდი „ბლუზმენთა" მინიმალური უპირატესობით დაიწყო.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდის შუა ნაწილი, როცა **დაციუკმა** და **კრონვალმა** 56 წამის ინტერვალით ორი გოლი შეაგდეს „სენტ ლუისის" კარში. ანგარიში 3:2 გახდა „რედ უინგზის" სასარგებლოდ. დარჩენილ დროში ბრწყინვალედ თამაშობდა „დეტროიტის" მეკარე **ჯიმი ჰოვარდი**, რომელმაც ჯამში 29 დარტყმა მოიგერია და თავის გუნდს ზედიზედ მე-11 საშინაო შეხვედრა მოაგებინა.

**პიტსბურგი-კაროლინა 4:2**

**0:1, 1:0, 3:1**

**გოლები:** 0:1 ბრენტი-4 (გლისონი-10), 1:1 ჯ. ნილი-21 (კუნიტცი-13, მალკინი-26), 2:1 სალივანი-7 (მალკინი-27, ჯ. ნილი-15), 3:1 დუპუი-11 (ტაილერ კენედი-12, ზ. მიხალეკი-4), 4:1 ჯ. სტაალი-14 (ტაილერ კენედი-13), 4:2 ტ. რუუტუ-14 (ი. იოკინენი-18, პონიკაროვსკი-7).

**კოლამბუსი-კალგარი 1:2 (ბ)**

**0:0, 1:0, 0:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ბრასარი-4 (ლეტესტუ-4, რ. იოჰანსენი-6), 1:1 იგინლა-14 (ო. იოკინენი-19, დ. სმიტი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** იგინლა (კალგარი).

**დეტროიტი-სტ. ლუისი 3:2**

**0:1, 1:1, 2:0**

**გოლები:** 0:1 დ'აგოსტინი-8 (შატენკირკი-14, არნოტი-11), 0:2 ა. სტინი-13 (არნოტი-12, შატენკირკი-15), 1:2 ლიდსტრიომი-8 (დაციუკი-26, ი. უაიტი-13), 2:2 დაციუკი-12 (ი. უაიტი-14, ზერტუცი-12), 3:2 კრონვალი-8 (ფილპულა-17, ზეტერბერგი-17).


ტამპა ბეი-ფილადელფია

**ფლორიდა-ტორონტო 5:3**

**1:0, 3:2, 1:1**

**გოლები:** 1:0 გუდბრანსონი-2 (ტიმ კენედი-1), 1:1 გრაბოვსკი-9 (ფრენსონი-6, კულემინი-11), 2:1 ბ. ტომასი-1 (დადონოვი-1, მარკ კულენი-1), 3:1 გარისონი-11 (ბ. კემპბელი-25, რეპიკი-1), 4:1 ვერსტიგი-17 (ბ. კემპბელი-26, კოპეცკი-10), 4:2 ფანოფი-5 (კესელი-22, ლუპული-23), 4:3 გრაბოვსკი-10 (მაკარტური-7, ფრენსონი-7), 5:3 ფლიშმანი-13 (ბრედლი-3, ბ. კემპბელი-27).

**ტამპა ბეი-ფილადელფია 5:1**

**1:1, 3:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ჟერვე-3 (ა. ჰოლი-2), 1:1 ჰარტნელი-17 (კ. ჟირუ-27, იაგრი-19), 2:1 სტემკოსი-21 (ბ. კლარკი-5, რ. მელოუნი-10), 3:1 დაუნი-5 (პურსელი-13, კუბინა-5), 4:1 სტემკოსი-22 (დაუნი-6, სან ლუი-15), 5:1 ლეკავალიე-12 (სან ლუი-16).

**ოტავა-მონრეალი 2:6**

**1:3, 1:2, 0:1**

**გოლები:** 1:0 ზ. სმიტი-10 (გონჩარი-18, გრინინგი-10), 1:1 ელერი-4 (დარში-2, დიასი-7), 1:2 პლეკანეცი-8 (დარში-3, დიასი-8), 1:3 კამალერი-7 (ლებლანი-3, დიასი-9), 1:4 ლებლანი-2 (კამალერი-13, გილი-5), 1:5 სუბანი-3 (ე. კოული-11), 2:5 სპეცა-13 (მ. მიხალეკი-7, ალფრედსონი-16), 2:6 ე. კოული-14 (პლეკანეცი-21; სუბანი-13).

**კოლორადო-ვინიპეგი 1:4**

**0:1, 0:2, 1:1**

**გოლები:** 0:1 ე. კეინი-16 (ველერი-21, ბურმისტროვი-9), 0:2 სტეპლტონი-5 (ლედი-6, ენსტრიომი-8), 0:3 ე. კეინი-17 (ტორნბური-3, სტეპლტონი-6), 0:4 სლეიტერი-7 (გლასი-8), 1:4 პორტერი-2 (ვან დერ გულიკი-4, მაკლეოდი-2).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წლის შეჯამება



# სპორტული 2011: ივლისი/აგვისტო/სექტემბერი

### ივლისი

როლან გაროსის მსგავსად, მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა უიმბლდონის ქალთა ტურნირზე - კარიერაში „დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატი მოიგო ჩეხმა ჩოგბურთელმა **პეტრა კვიტოვამ**. 21 წლის ახალმა ვარსკვლავმა ყველა მეტოქე დამაჯერებლად ჩამოიცილა გზიდან, ფინალში კი დამაჯერებლად მოუგო რუს **მარია შარაპოვას** - 6:3, 6:4.

უიმბლდონზე გაგრძელდა სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ბრწყინვალე სვლა 2011 წლის სეზონში. კვიტოვას მსგავსად, ნოვაკმაც კარიერაში პირველად მოიგო ბალახის კორტების მთავარი ტურნირი. ფინალში მან ოთხ სეტში მოუგო ესპანელ **რაფაელ ნადალს.**

ალსანიშნავია, რომ ჯოკოვიჩმა გადამწყვეტი მატჩი მსოფლიოს პირველი ჩოგანის რანგში ჩაატარა - ნახევარფინალში ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგას** ძლევით ის პირველად ავიდა რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე.

■ ■ ■

ახალი ჩემპიონი ჰყავდა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ველომარათონს - ტურ დე ფრანსს. დოპინგსკანდალით და სასამართლო პროცესებით განამებულმა **ალბერტო კონტადორმა** ვერ შეძლო ტიტულის დაცვა და მისი ცუდი ფორმის გამო ტურში გამარჯვება ავსტრალიელმა **კეიდელ ევანსმა** მოიპოვა, რომელმაც ბრწყინვალე სტილში აჯობა თავის მთავარ კონკურენტებს, ლუქსემბურგელ ძმებს - **ანდი** და **ფრანკ შლეკებს**.

ტურზე „მთის მეფის" მაისურა მოიპოვა ესპანელმა **სამუელ სანჩესმა,** საუკეთესო ახალგაზრდა ველომრბოლისთვის განკუთვნილი თეთრი მაისურა ფრანგ **პიერ როლანს** ერგო, ხოლო ბრიტანელმა **მარკ კევენდიშმა** მწვანე მაისურა დაისაკუთრა, როგორც ტურის ყველაზე აქტიურმა მრბოლელმა.

■ ■ ■

ივლისში, გერმანიაში დასრულდა ქალებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც პირველად ტიტული იაპონიის ნაკრებმა დაიმსახურა. მან ფინალში პენალტების სერიაში მოუგო ამერიკის ნაკრებს. ტურნირის გმირი აღმოჩნდა იაპონელი **ჰომარი სავა,** რომელიც საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე გახდა.

■ ■ ■

ასევე ივლისში გამოვლინდა სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ნაკრები. არგენტინაში გამართული კოპა ამერიკა სენსაციებით იყო დახუნძლული. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ ფავორიტებმა - არგენტინამ და ბრაზილიამ ნახევარფინალში გასვლა ვერ მოახერხეს.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ურუგვაისა და პარაგვაის ნაკრებები და კოპას საუკეთესო გუნდმა - ურუგვაიმ არანაირი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს. **ფორლანის** დუბლისა და **ლუის სუარესის** ერთი გოლის წყალობით „სელესტემ" 3:0 გაიმარჯვა და მეთხუთმეტედ გახდა კოპა ამერიკას გამარჯვებული.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ლუის სუარესი დასახელდა.

■ ■ ■

საუდის არაბეთის ახალ მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიის ნაკრებისა და „ბარსელონას" ყოფილი დამრიგებელი **ფრანკ რაიკაარდი** დაინიშნა. სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ ჰოლანდიელ სპეციალისტს 11 მილიონ დოლარს გადაუხდიან. რაიკაარდს საუდის არაბეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა დაავალეს.

■ ■ ■

ცვლილებები მოხდა წამყვანი იტალიური კლუბების სამწვრთნელო შტაბებში.

მილანის „ინტერის" გენერალურმა დირექტორმა **სტეფანო ფილუჩიმ** გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელად **ჯანპიერო გასპერინი** და ახალ სპორტულ დირექტორად **მარკო ბრანკა** წარადგინა. გასპერინი მილანური გრანდის მეოთხე დამრიგებელი გახდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში (8).

„რომას" ახალმა პრეზიდენტმა **ტომას დიბენედეტომ** ჟურნალისტებს ახალი მთავარი მწვრთნელი წარუდგინა. დედაქალაქური კლუბი ორი წლით ჩააბარეს ესპანელ **ლუის ენრიკეს**, რომელიც მანამდე „ბარსელონას" მეორე გუნდს წვრთნიდა.

■ ■ ■

ინგლისში „მანჩესტერ სიტიმ" გააგრძელა შემადგენლობის გაძლიერება. ამ მიზნით მან მადრიდის „ატლეტიკოდან" შეიძინა არგენტინელი ვარსკვლავი **სერხიო აგუერო**. ეს ტრანსფერი „სიტის" მფლობელ შეიხს 41 მილიონი ევრო დაუჯდა.

■ ■ ■

ჰამბურგის საფეხბურთო არენაზე გაიმართა საჩემპიონო ბრძოლა სუპერმძიმე წონაში - ორი ვერსიით (IBF, WBO) მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** WBA-ის ჩემპიონს **დევიდ ჰეის** დაუპირისპირდა.

უმცროსი კლიჩკოს დაპირების მიუხედავად, ჰეი ნოკაუტს გადაურჩა, თუმცა მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უკრაინელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და სამი ვერსიით გახდა სუპერმძიმე კატეგორიის ჩემპიონი. კლიჩკოების ოცნება ასრულდა - ამიერიდან მათ საოჯახო კოლექციაში ოთხივე პრესტიჟული ვერსიის საჩემპიონო ქამარი მოიპოვება.

■ ■ ■

ივლისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკრივო ორთაბრძოლა გაიმართა - ლას ვეგასში ნახევრადსაშუალო წონით კატეგორიაში შეხვდნენ ერთმანეთს ბრიტანელი **ამირ ხანი** და ამერიკელი **ზაბ ჯუდა**. მეხუთე რაუნდში გამარჯვება ბრიტანელმა მოკრივემ მოიპოვა და ტიტული შეინარჩუნა.

■ ■ ■

ინგლისში, სენტ ჯორჯის სამეფო გოლფ კლუბში გაიმართა „დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირი - ღია პირველობა გაიმართა. ისევე როგორც წინა ორი „მეიჯორის" შემთხვევაში, აქაც ჩემპიონატს ახალი გამარჯვებული ჰყავდა - ჩრდილოირლანდიელი **დარენ კლარკი.**

ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოვიდა. 42 წლის კლარკმა მხოლოდ სამი დარტყმით მოუგო ორ ამერიკელს - **ფილ მიკელსონსა** და **დასტინ ჯონსონს.** ჩემპიონმა 18 ორმოს გავლას ხუთზე ნაკლები დარტყმა მოანდომა.

კლარკმა ეს გამარჯვება თავის მეუღლეს მიუძღვნა, რომელიც 2006 წელს კიბოთი გარდაიცვალა.

### აგვისტო

ამერიკის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად გერმანელი **იურგენ კლინსმანი** დაინიშნა. 47 წლის ლეგენდამ ამ პოსტზე **ბობ ბრედლი** შეცვალა, რომელმაც ნაკრებში ხუთი წელი იმუშავა და ივლისის ბოლოს გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

■ ■ ■

ახალი მთავარი მწვრთნელი იპოვა არგენტინის ნაკრებმაც. კოპა ამერიკაზე განცდილი ფიასკოს შემდეგ გუნდიდან დაითხოვეს **სერხიო ბატისტა** და მის ნაცვლად **ალეხანდრო საბელია** დანიშნეს. ამ სპეციალისტის აქტივშია „ესტუდიანტესთან" ერთად 2009 წელს ლიბერტადორესის თასის მოპოვება და აპერტურას ჩემპიონატში ტრიუმფი.

■ ■ ■

ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ტრანსფერი „პარი სენ-ჟერმენმა" განახორციელა. მან 42 მილიონ ევროდ „პალერმოდან" შეიძინა 22 წლის არგენტინელი ნახევარმცველი **ხავიერ პასტორე**. ფეხბურთელთან ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

■ ■ ■

ესპანელმა **ხუან-ანტონიო კამაჩომ** კონტრაქტი გააფორმა ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციასთან და ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები სამი წლით ჩაიბარა. თუმცა კამაჩომ ჩინელთა დავალება ვერ შეასრულა - გუნდი უკვე გამოეთიშა 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირს.

■ ■ ■

15 აგვისტოს დასრულდა **სესკ ფაბრეგასის** სატრანსფერო საგა. ესპანელმა ნახევარმცველმა ოცნება აისრულა და „არსენალში" რვა წელი თამაშის შემდეგ მშობლიურ „ბარსელონაში" დაბრუნდა.

კატალონიურ კლუბს ეს ტრანსფერი 29 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამ თანხას კიდევ 10 მილიონი დაემატება, თუ „ბარსა" სეზონის ბოლოს რომელიმე ტიტულს მოიგებს. სესკმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ესპანეთის ჩემპიონთან.

■ ■ ■

რაგბიში ახალი ზელანდიის ნაკრებმა ბლედისლოუს თასი შეინარჩუნა - მან ოკლენდში 30:14 დაამარცხა ავსტრალიის ნაკრები, რომელიც ამ ქალაქში 25 წელია ვერ იგებს.

სამაგიეროდ, ავსტრალიელებმა 10-წლიანი შესვენების შემდეგ მოიპოვეს სამი ერის თასი. „ვოლაბებმა" თასი ბრისბენში ახალი ზელანდიის ნაკრების 25:20 დამარცხების შემდეგ გაინაღდეს.

■ ■ ■

პროფესიულ გოლფში მეოთხე მთავარი ტურნირი - PGA-ის ჩემპიონატი იმით დაიწყო, რომ ტრავმის გამო იქ გამოსვლა ვერ შეძლო ლეგენდარულმა **ტაიგერ ვუდსმა**. ამერიკელის კარიერაში ეს მხოლოდ მესამე შემთხვევა იყო, როცა მას „მეიჯორის" გამოტოვება მოუწია.

PGA-ის ჩემპიონატის ასწლიან ისტორიაში მესამე შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ეს ტურნირი პირველივე ცდაზე მოიგო დებიუტანტმა გოლფისტმა. სწორედ ამგვარი გმირობა ჩაიდინა ამერიკელმა **კიგან ბრედლიმ**. მას გამარჯვებისთვის პლეი ოფის ჩატარებამ მოუწია **ჯეისონ დაფნერის** წინააღმდეგ და მხოლოდ ასე აჯობა თავის მთავარ კონკურენტს.

■ ■ ■

სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში სტარტი აიღო მსოფლიოს ჩემპიონატმა მძლეოსნობაში, რომლის მთავარი სენსაცია გახდა 100 მეტრზე ლეგენდარული იამაიკელი სპრინტერის - **უსაინ ბოლტის** მარცხი. სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს „მოკლე სპრინტის" ფინალში ფალსტარტი ჰქონდა და ამის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

მსოფლიოს ჩემპიონატმა კი ახალი ვარსკვლავი გაგვაცნო - 100 მეტრი დისტანცია ასევე იამაიკელმა, ერთ დროს ბოლტის სპარინგ-პარტნიორმა **იოჰან ბლეიკმა** მოიგო, რომელმაც დაიმუქრა - ლონდონის ოლიმპიადაზე უსაინს „სპრინტის მეფის" ტიტულს ჩამოვართმევო.

რაც შეეხება ბოლტს, მან რეაბილიტაცია 200 მეტრზე შეძლო, როცა დამაჯერებლად მოიგო ოქროს მედალი. გარდა ამისა, ბოლტმა და ბლეიკმა სხვა ორ თანამემამულესთან ერთად 4x100 მეტრზე ესტაფეტა მოიგეს, თანაც ჩემპიონატზე მსოფლიოს ერთადერთი რეკორდი დაამყარეს.

მოკლე სპრინტში ბოლტის წაგების გარდა, მსოფლიოს პირველობის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახდა ქალთა შორის ჭოკით ხტომაში რუსი **ელენა ისინბაევას** კრახი. მან მოკრძალებული მეექვსე ადგილი დაიკავა.

### სექტემბერი

უცნაური ამბავი შეემთხვა ამერიკის ღია პირველობაზე ესპანელ რაფაელ ნადალს. **დავიდ ნალბანდიანთან** მესამე წრის მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ესპანელს კუნთი დაეჭიმა და მაგიდის ქვეშ ჩავარდა. თუმცა ამ ინციდენტს არ უმოქმედია ნადალის თამაშზე და რაფამ ამერიკის ღიას ფინალში გააღწია, მაგრამ იქ ტრადიციულად დამარცხდა ნოვაკ ჯოკოვიჩთან. ეს ჩოგბურთელები 2011 წელს ექვსი ტურნირის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ექვსივეჯერ მოგება სერბს დარჩა.

ჯოკოვიჩმა პირველად მოიგო ამერიკის ღია პირველობა, სულ კი სეზონში „დიდი სლემის" ოთხიდან სამ ტურნირზე გაიმარჯვა.

ასევე პირველად მოიგო ამერიკის ღია პირველობა ავსტრალიელმა **სამანტა სტოსურმა.** „ფლეშინგ მედოუს" კორტებზე გამარჯვებას ამერიკელ **სერენა უილიამსს** უწინასწარმეტყველებდნენ, რომელიც ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა საშინაო ტურნირს, მაგრამ უმცროს უილიამსს ფინალში სრული ფიასკო ელოდა - ორ სეტში მან მხოლოდ ხუთი გეიმი აართვა სტოსურს.

27 წლის სამანტა პირველი ავსტრალიელია 1973 წლის შემდეგ, ვინც ამერიკის ღია პირველობის მოგება შეძლო.

■ ■ ■

სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეებში რამდენიმე საინტერესო გარიგება შედგა. „ინტერმა" მადრიდის „ატლეტიკოდან" გადაიბირა ურუგვაელი დიეგო ფორლანი. ფორვარდმა ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა მილანური კლუბის ხელმძღვანელებმა ვერ გაითვალისწინეს ის, რომ ფორლანს „ინტერის" რიგებში არ ჰქონდა ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება.

■ ■ ■

ლონდონის „ჩელსიმ" „ვალენსიადან" **ხუან მატას** ტრანსფერით დაასრულა შემადგენლობის დაკომპლექტება. 23 წლის ნახევარმცველის ხუთწლიანი კონტრაქტი „არისტოკრატებს" 23 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| არუკა-ბელენენსეში | 2:0 |
| ატლეტიკო-ფრეამუნდე | 2:2 |
| პორტიმონენსე-ოლივეირენსე | 0:1 |
| სანტა კლარა-ეშტორილი | 1:2 |
| ლეიქსოეში-მადეირა | 1:0 |
| პენაფიელი-ავეში | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| აბერდინი-ჰართსი | 0:0 |
| სელტიკი-რეინჯერსი | 1:0 |
| ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1:1 |
| სტ. ჯონსტონი-კილმარნოკი | 2:0 |
| სტ. მირენი-დანდი იუნ | 2:2 |
| მოზერველი-დანფერმლ. | გადაიდო |
| **საბერძნეთი** | |
| ოფი-ლევადია | 0:1 |
| არისი-დოქსა | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (ა) | 2:1 |
| მაკაბი (ფ-თ)-მაკაბი (ნ) | 0:1 |
| ჰაპოელი (ი-ქ)-ჰაპოელი (ფ-თ) | 2:0 |
| ირონი-ბნეი შახნინი | 0:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ი-რ) | 3:1 |
| მაკაბი (ჰ)-აშდოდი | 1:1 |
| ბეითარი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| ზნოიმო-კლაგენფურტი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 4:0 |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 6:2 |
| აუგსბურგი-იზერლონი | 4:0 |
| ჰანოვერი-მანჰაიმი | 3:5 |
| კიოლნი-კრეფელდი | 5:3 |
| ნიურნბერგი-მიუნხენი | 2:4 |
| **დანია** | |
| ესბერგი-ფრედრიკშავნი | 5:3 |
| ოდენსე-ჰერნინგი | 6:2 |
| ოლბორგი-როდოვრე | 4:2 |
| ჰერლევი-კოპენჰაგენი | 5:4 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-სტორჰამარი | 3:2 (ო) |
| ვოლერენგა-რუსენბორგი | 4:3 |
| ლილეჰამერი-სტიერნენი | 9:1 |
| ლორენსკოგი-მანგლერუდი | 4:0 |
| სპარტა-ფრისკ ასკერი | 7:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| მარტინი-ჟილინა | 3:4 (ო) |
| ნიტრა-პოპრადი | 2:4 |
| სკალიცა-სლოვანი | 10:0 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 5:0 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 1:2 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 5:3 |
| პლზენი-ზლინი | 4:3 (ბ) |
| პარდუბიცე-ბოლესლავი | 1:2 |
| სლავია-კლადნო | 3:1 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 1:3 |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფრიოლუნდა | 6:2 |
| ვაქსიო-ლინჩოპინგი | 1:2 (ბ) |
| ლულეა-ფერიესტადი | 5:3 |
| მოდო-ბრინასი | 2:3 |
| ტიმრა-იურგორდენი | 3:7 |
| შელეფტეო-ჰ371 | 5:1 |
| **შპენგლერის თასი** | |
| დინამო (რ)-ვოლფსბურგი | 3:1 |
| დავოსი-კანადა | 8:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ილისიაკოსი-დრამასი | 76:73 |
| რეტიმნო-პანათინაიკოსი | 72:77 |
| კავალა-იკაროსი | 81:67 |
| მარუსი-კოლოსოსი | 60:85 |
| პაოკ-არისი | 92:87 |
| პერისტერი-პანიონიოსი | 49:56 |
| **ესპანეთი** | |
| მურსია-ესტუდიანტესი | 88:75 |
| სარაგოსა-ობრადოირო | 80:71 |
| სევილია-უნიკახა | 68:72 |
| ბარსელონა-მანრესა | 74:61 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| სკა-ატლანტი | 4:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# ივანოვიჩი ისევ გვახარებს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** მონაწილეობა მიიღო ფოტოსესიაში, რომლის ორგანიზატორი გახლდათ ესპანურენოვანი ჟურნალი Vanidades. გადაღებები ლას ვეგასის გარეუბანში, პატარა ქალაქ რედ კოკში მიმდინარეობდა. სურათების ავტორი გახდა ცნობილი ფოტოგრაფი **ჯონ რუსო**.







# ანა ბრუნდება

რუსი ჩოგბურთელი **ანა ჩაკვეტაძე**, რომელსაც 2011 წლის ივნისის შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა ოფიციალურ ტურნირებში, სრულად გამოჯანმრთელდა და მზად არის 2012 წლის სეზონისთვის. ეს ინფორმაცია ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა. ჩაკვეტაძის თქმით, მას გაუჭირდება ძველ დონეზე დაბრუნება, მაგრამ საკმარისი მოტივაცია გააჩნია ძველი სიმაღლეების დასაპყრობად.

რუსი აცხადებს, რომ კარიერას იანვარში განაახლებს. 2012 წელს მისთვის პირველი ტურნირი ავსტრალიის ჰობარტი იქნება, რომელიც 6-14 იანვარს გაიმართება. ამის შემდეგ ჩოგბურთელი ავსტრალიის ღია პირველობაზე ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ჩაკვეტაძემ რამდენჯერმე დაკარგა გონება მატჩის მსვლელობისას და შემდეგ დიდი ხანი მკურნალობდა. ამჟამად, ანა მსოფლიოს რეიტინგში 234-ე ადგილს იკავებს.


ანა ჩაკვეტაძე

# ესპანეთი კორეჩას ჩააბარეს

## ჯეიმს ბლეიკი ავსტრალიას გამოტოვებს

როლან გაროსის ორგზის ფინალისტი **ალექს კორეჩა** დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების ახალ კაპიტნად დანიშნეს. ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციამ 37 წლის სპეციალისტთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ პოსტზე კორეჩამ **ალბერტ კოსტა** შეცვალა, რომელმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ესპანეთის ნაკრებს ორჯერ მოაგებინა დევისის თასი.

*„მინდა მადლობა გადავუხადო ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციასა და გუნდს იმისთვის, რომ ეს პოსტი მომანდეს. ჩემთვის ეს დიდი პატივი და უზარმაზარი პასუხისმგებლობაა“*, - განაცხადა დანიშვნის შემდეგ კორეჩამ.

■ ■ ■

ამერიკელი ჩოგბურთელი ჯეიმს ბლეიკი, რომელიც გუშინ 32 წლის გახდა, მონაწილეობას არ მიიღებს ავსტრალიის ღია პირველობაზე. ამის მიზეზად ამერიკელმა „პირადი მოტივები“ დაასახელა.

ბლეიკმა უკვე ოფიციალურად აცნობა ბრისბენის ტურნირისა და ავსტრალიის ღიას ორგანიზატორებს თავისი უარის შესახებ.

*„ახლახან მივიღე შეტყობინება ჯეიმს ბლეიკისგან იმის შესახებ, რომ ის არ ითამაშებს ავსტრალიის ღია პირველობაზე. ძალიან სამწუხარო ამბავია. მას ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ“*, - განაცხადა ავსტრალიის ღიას დირექტორმა **კრეიგ ტილიმ**.

კალათბურთი

# მეგობარს ცოცხლად წვავდა

წარსულში ცნობილი ლიტველი კალათბურთელი **გინტარას ეინიკისი** საბოლოოდ გაგიჟდა. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება იმ ინფორმაციისგან, რომელიც ლიტვურმა პრესამ გაავრცელა. შობის დღესასწაულზე კალათბურთელმა მეგობარი გოგონას ცოცხლად დაწვა დააპირა.

ყველაფერი ორშაბათს დაიწყო. მთვრალი ეინიკისი **იურგიტა ნარმონტენეს** სახლს საღამოს 11 საათზე მიადგა. ბარსელონას, ატლანტასა და სიდნეის ოლიმპიადების პრიზიორი სახლს გარს უვლიდა და შეყვარებულს მჟავას შესხმით, მოკვლითა და სახლის დაწვით ემუქრებოდა. შეშინებულმა ქალმა პოლიცია გამოიძახა. ხულიგანი დააპატიმრეს, მაგრამ დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

მაგრამ ეინიკისი ამით არ დაკმაყოფილდა. მომდევნო დღეს მან ისევ დალია და კვლავ მეგობრის სახლისკენ გაეშურა. ამჯერად მხოლოდ მუქარით არ დაკმაყოფილდა და მაშინვე საქმეზე გადავიდა. ფანჯარა ჩაამსხვრია და სახლში შეჭრას ლამობდა. იურგიტას მშველელად ისევ პოლიცია მოევლინა. ეინიკისი დანაშაულის ადგილას დააპატიმრეს და ამჯერად ის ორი დღით დაიტოვეს პოლიციის განყოფილებაში.



# სერენა მაიამიში ემზადება

ამერიკელი ჩოგბურთელები - **სერენა და ვენუს უილიამსები** ავსტრალიის ღია პირველობისთვის მაიამის პლაჟზე ემზადებიან.

სერენა საშობაო ციებ-ცხელებას ზღვის პირას პალმების ქვეშ დაემალა. ჩოგბურთელი ოკეანის სანაპიროზე იახტით სასეირნოდ გაემგზავრა. უმცროს უილიამსს თან ახლავს რამდენიმე მეგობარი და უფროსი და ვენუსი. უკვე რამდენიმე დღეა იახტა ფლორიდას სანაპიროსთან ახლოს დაცურავს. პერიოდულად, მეგობრებს ბეზრდებათ მზეზე წოლა, წყალში ნავს უშვებენ და ექსტრემალურ სახეობებს მისდევენ.

დებმა აღნიშნეს, რომ შობა შესანიშნავად გაატარეს და მზად არიან ახალი სეზონის დასაწყებად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



